'ფილმპრინტი'/ ქურნალი ქართულ ქინემატოგრაფზე / შემდგომი, №17 / 2015

3

ნიკი კარიმი | ნანა ჯორჯაძე
თინა გურჩიანი | შტეფან ტოლცი

ფოტოპროექტი: "ცხოვრების წესი"
"ჯვარედინი მეხსიერება"

სპეცპროექტი
ხეთი
მრეწლობა

კინო არის საყრდენი, სივრცეში ორიენტირების ძალიან მარტივი და ჩემთვის გასაგები ინსტრუმენტი. მთავარი, რისიც მჯერა, ეს არის კინოს მაგიური ძალა, რომელსაც ყველაფრის ასახვა და გადმოცემა შეუძლია. ამასთან, იგი მუდამ ტოვებს ჰორიზონტს მიღმა კადრს, რომელიც ერთგვარი ანკესია უფრო მეტი ფიქრისთვის, უფრო მეტი მოქმედებისთვის, ყველა დონეზე, თუნდაც შენს ირგვლივ, შენს პირად სამყაროში.

ამ ძალის გააზრებით, გთავაზობთ შემოდგომის სეზონის ნომერს, რომლის კონცეფციაც სამ ყველაზე ძლიერ სიტყვაში აისახა – ქალები, ლიტერატურა, კინო. ფემინისტი არ ვარ, თუმცა ამ ნომერში იმდენ მაგარ ქალს აღმოაჩენთ, რომ თქვენც აუცილებლად გაგიჩნდებათ სურვილი, შეცვალოთ სამყარო სულ ცოტათი მაინც. ქალები ჩვენი „ლიტერატურული“ ტექსტების მთავარი გმირები იქნებიან და ვეცდებით, ისე მოგიყვეთ ამბებს, როგორც კარგ წიგნებშია მოთხრობილი _ როცა დასწრების ეფექტი იზრდება და სურვილი გიპყრობთ, ავტორთან ერთად იმოქმედოთ.

~ ნინო კალანდია ~

დარწმუნებული ვარ, მსოფლიოში ყველაზე მაგარი პროფესია მაქვს. ამას, განსაკუთრებით მძაფრად ფესტივალებზე ვგრძნობ. მაშინ, როდესაც 10 დღის განმავლობაში ცხოვრებას ვიცვლი, ენას ვიცვლი და ჩაბნელებულ დარბაზში ვაგრძელებ სიცოცხლეს. სადაც შეგიძლია პატარა ნაწილებად დაიშალო და ეკრანზე განათებულ სამყაროებში, ამბებში, ისტორიებსა და ქვეყნებში გაიფანტო, დაიფანტო.

კინოს, ერთი ჯადოსნური უნარი აქვს, არასდროს იცი, სხეულის რა ნაწილში ჩაგისახლდება და როდის გაგახსენებს თავს. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც ბათუმის პორტთან ჩაივლი და უმი თევზის მძაფრი სუნი, კიმ კი დუკთან ჩადენილ სასტიკ დანაშაულს გაგახსენებს; ან თუნდაც მაშინ, როდესაც სუსხიანი ოქტომბრის ქარი დაბერავს და შენი კანი ზუსტად ისევე დაიბურძგლება წვრილი წერტილებით, როგორც იმ დღეს, ლარს ფონ ტრიერის ყურებისას. ჩვენი მეხსიერება მთელ სხეულშია მიმოფანტული და საინტერესოც ზუსტად ეს არის, არასდროს იცი, რა და როდის ამოტივტივდება კალეიდოსკოპის ეკრანზე.

ალბათ სწორედ ამიტომ, თავიდანვე არ გვქონია ამოცანა, რომ ფილმპრინტის ეს ნომერი რაიმე ერთი კონკრეტული თემისთვის მიგვეძღვნა. გვინდოდა აქ ყოფილიყო ყველაფერზე, რაც დღეს ჩვენს კინოში ხდება. გვინდოდა თქვენც ჩვენთან ერთად გემოგზაურათ, გეთვალიერებინათ, გესმინათ.

~ სალომე კიკალეიშვილი ~

ყდის ილუსტრაცია:
თათია ნადარეიშვილი
გამომცემელი: საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრი

აღმასრულებელი მენეჯერი:
ნათია კანთელაძე

მთავარი რედაქტორები:
ნინო კალანდია,
სალომე კიკალეიშვილი
არტ დირექტორი: მანანა არაბული
ლიტ. რედაქტორი \
კორექტორი: ნინო სვანიძე
ფოტოგრაფი: ნიკო ტარიელაშვილი
ილუსტრატორი:
თათია ნადარეიშვილი
პრეპრესი: ალექს კახნიაშვილი
ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო კალანდია, სალომე
კიკალეიშვილი, ინგა ხალვაში,
თაკო კალანდაძე, მაკა
კევლიშვილი, ნიკო ნერგაძე,
გიორგი კეკელიძე, დიანა
ანფიმიადი, მაკა ლდოკონენი,
გიორგი კიკონიშვილი, მაია ცეცაძე,
ქეთო გიორგობიანი, ალექსანდრე
ლორთქიფანიძე, თორნიკე
ბაქაქური, დავით ცარიელაშვილი,
მაია ლევანიძე, ნოშრე ჩხაიძე,
ანა ჩარგეიშვილი, ლიზი ლორია,
ნანუკა წურწუმია, ქეთევან
ჯანელიძე, თეა გაბიძაშვილი,
მერიკო ქაჯაია, ნიკა ესებუა.

რედაქცია ტელ.: +995 32 2 999200
ელ. ფოსტა: info@gnfc.ge
ვებგვერდი: filmprint.ge
დაიბეჭდა „24 საათის“
გამომცემლობაში
ტელ.: +995 32 2 409445

ჟურნალი გამოდის კულტურისა
და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით.

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 4
საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ავრორა“ 10
სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალი 12
საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ბეღელი“ 14
ნიუოზის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი 16
ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი 18
წარმოება დღეს 19
„ვეძებდეს“ რეცენზია 20
ქართული ტელესერიალი „ტიფლისი“ 24
ქალები (ს)ეზოვარზე 28
თინა გურჩიანი 32
ჩვენი კინო 37
საეცაროექტი - ხუთი გრძნობა 38
„ბაბა“ - წარმატება ლოკარნოში და ახალი სახე კინოში 56
ფოტოპროექტი „ცხოვრების წესი“ 60
ვიდეო: ვინოლოგიდან ღიაღოვამდე 74
ინტერვიუ შტეფან ტოლცთან 77
ძველი კადრები ახალი რაკურსით 82
ჭარმიდინი მეხსიერება 86
კინოს ღიაღექტიკა 94
საეციალური რეპორტაჟი 95
ინტერვიუ ნიკი კარიმთან 96
წიგნისა და კინოს ალიანი 100
კინოანიმაციოთეკის ღიდი რვიანი 103
ინდუსტრია და თანამედროვე ტექნოლოგიები 107
საოცარი ახალი საგყარო 108
თავისუფალი თემა 113
ხუთვალეთის ღლიერები 114
1001 რეცეპტი კინოზე ნანა ჭორჭაკისგან 118

BIAFF

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალმა წელს მეათე, საიუბილეო თარიღი აღნიშნა. იუბილე არ იყო პომპეზური და განსაკუთრებული, არაფრით გამოირჩეოდა წინა ფესტივალებისგან, თუ არ ჩავთვლით მსოფლიო კინოვარსკვლავის ნასტასია კინსკის სტუმრობას. წინა წლების მსგავსად, ამჯერადაც მსურველს თავისუფლად შეეძლო შეხვედროდა და გასაუბრებოდა მისთვის საინტერესო კინოხელოვანებს კინოთეატრში, მასტერკლასზე.

ტრადიციის მიხედვით, კონოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის BIAFF-ის პრიზი გადაეცათ მაია კომოროვსკას, ოთარ იოსელიანს,ლანა ღოღობერიძეს, არუთუნ ხაჩატრიანს, ნასტასია კინსკის, ბაადურ წულაძეს.

ჩვენება მოიცავდა როგორც საკონკურსო, ასევე ცნობილი ავტორების ფილმებს. სეანსები ძირითადად კინოთეატრ „აპოლოში“ მიმდინარეობდა. მოკლემეტრაჟიან და დოკუმენტურ ფილმებს სასტუმრო „დივანის“ კონფერენსდარბაზში აჩვენებდნენ.

მიუხედავად დიდი ლოდინისა, გასპარ ნოეს ფილმზე „სიყვარული“ დასწრება ტრეილერის ნახვის შემდეგ გადავიფიქრე; ზედმეტად პურიტანელი გამოვდექი არგენტინელი რეჟისორის ფანტაზიების გასაზიარებლად. მაყურებელთა უმეტესობა უკმაყოფილო იყო. მათთვის ორსაათიან ფილმში საათნახევრიანი საწოლის სცენები შემაწუხებელი აღმოჩნდა.

კიმ კი დუკის „ერთი ერთში“ ფიქრებს აღძრავს ძალადობის ძალადობითვე აღმოფხვრის შედეგიანობაზე. სამყაროს გაკეთილშობილებისათვის ბრძოლა, თუ მას საფუძვლად შურისძიების წყურვილი ასაზრდოებს, კარგს ვერაფერს მოიტანს. დამცირებული და შეურაცხყოფილი, თავადაც დამნაშავე და მოძალადე ხდება. მისი ქმედება ერთი ერთში ემსგავსება თავად მოძალადეს.

თურქული ფილმი „მუსტანგი“ თავისუფლებისმოყვარე მოზარდ გოგონებზე მოგვითხრობს, რომლებსაც ოჯახური ღირსების სახელით და, „რას იტყვის ხალხი“ მოსაზრებით, სახლში პატიმრებად

აქცევენ. გოგონები წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ, ერთ-ერთი თავისუფლებას თვითმკვლელობით აღწევს, ყველაზე პატარა კი თავისი დაუმორჩილებელი ბუნებით ჯაჭვების გაწყვეტას ახერხებს და გარბის. ფილმი ჟიურის სპეციალური პრიზით აღინიშნა და ქალის საუკეთესო როლის შესრულებისათვის ფილმის მსახიობთა გუნდს მიაკუთვნეს, სრულიად დამსახურებულად.

„დედები არ უნდა კვდებოდნენ“, – ეს ალბათ პოლონური ფილმის „ქიმიოთერაპია“ მთავარი სლოგანია. სიმსივნით დაავადებული ქალი აღმოაჩინეს, რომ ფეხმძიმედაა და შვილის გაჩენას გადაწყვეტს. მეუღლესთან ერთად იგი ომს უცხადებს დაავადებას და სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვის. ამ ომში დიდ გამარჯვებას (ბავშვის დაბადება), დიდი დამარცხება (ქალის სიკვდილი) მოსდევს. ორი საათის განმავლობაში თვალს ვადევნებთ, როგორ იცვლება ახალგაზრდების დამოკიდებულება ავადმყოფობის და ერთმანეთის მიმართ. ფილმი რეალურ ისტორიას ეყრდნობა და რეჟისორის ბიოგრაფიის ნაწილს წარმოადგენს.

საუკეთესო რეჟისურისათვის პრიზი გადაეცა შარუნას ბარტასს ფილმისთვის „მშვიდობა მხოლოდ გვესიზმრება“. ვერაფრით დავეთანხმე ჟიურის გადაწყვეტილებას. საათნახევრიანი ფილმი გაწელილი კადრებით, ინტერესსმოკლებული დიალოგებითა და სიუჟეტით. ამ საკითხებს შვედი ინგმარ ბერგმანი ნახევარი საუკუნის წინათ თავის ფილმებში ოსტატურად შლიდა და მაყურებელსაც ფიქრის სურვილს უჩენდა, რასაც ვერაფრით ვიტყვი ლიტველ რეჟისორზე. სეანსის ბოლოს დარბაზი თითქმის ცარიელი იყო.

ერთი შეხედვით, თხრობის მსგავსი რიტმი ჰქონდა ბაკურ ბაკურაძის სურათს „ძმა დეიანი“; განსხვავება ის გახლდათ, რომ ქართველმა რეჟისორმა ნამდვილი კინო შემოგვთავაზა. ფილმი რეალურ ისტორიას ეყრდნობოდა – სამხედრო დამნაშავე წლების განმავლობაში მართლმსაჯულებას გაურბოდა და გამუდმებით იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. ერთ დროს მრისხანე, დღეს უკვე გასაცოდავებულ გენერალს საკმაო

„ბაკურ ბაკურაძის ფილმი „ძმა ღეიანი" ფესტივალის გამარჯვებული გახდა.“

დრო ჰქონდა განვლილი ცხოვრების შესაფასებლად. დევნით დაღლილი გულის სიღრმეში ალბათ ნატრობდა კიდეც, მდევარს დანებებოდა და ამ გზით სიმშვიდე მაინც დაებრუნებინა. „ძმა დეიანი“ ფესტივალის გრან-პრით აღინიშნა.

სხვა პრიზები: საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – იოაჰიმ ფელსტრუპი ფილმში „პაწაწინა“, ოლე ქრისტიან მადსენი, დანია / ხორვატია / შვედეთი / არგენტინა, 2014წ.

საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – „ორმაგი უცხოები“, უგის ოლტე, ლატვია/საქართველო, 2015

ჟიურის სპეციალური პრიზი – „კარტელის მიწა“, მეთიუ ჰეინმანი, აშშ/მექსიკა, 2015 წ.

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – „წიწილა“, უნა გუნიაკი, გერმანია/ხორვატია, 2014 წ.

ჟიურის სპეციალური პრიზი – „ადამი“, იულია ჰანჩარი, ბელარუსია, 2014წ. და „მზადება“, გიორგი წილოსანი, საქართველო, 2015 წ.

BIAFF ინდუსტრიული პლატფორმა – „ალტერნატიული ტალღა 2015“ პროგრამის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები, რომელსაც ლაშა ხალვაში და თინათინ ყაჯრიშვილი ხელმძღვანელობდნენ. უორქშოპების მიზანი ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისათვის დაფინანსების ახალი, ალტერნატიული წყაროების მოძიებაში დახმარება და გამოცდილების გაზიარება იყო.

ლაშა ხალვაში: ადამიანის გონება ერგება გარკვეულ გარემოს და გამოსავალს ეძებს. ჩვენ მოვიწვიეთ სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისათვის. ჩვენ უნდა გავერკვეთ ჩვენს პროექტებში და შესაძლებლობებში, გავაღრმავოთ ეს ცოდნა და ინფორმაცია იმისათვის, რომ ალტერნატიული ფორმით გავაკეთოთ კინო. დაფინანსების მოპოვების ერთ-ერთი გზა ქაუთფანდინგია, როდესაც ფილმის დაფინანსებაში მაყურებელი იღებს მონაწილეობას. მაგალითად, მინდა გადავიღო ფილმი ტურისტზე, რომელიც ბათუმში ისვენებს. მყავს აუდიტორია, რომელიც დაინტერესებულია ამ ფილმით. ვაკეთებ ინტერნეტში გვერდს, ვთავაზობ ხალხს მონაწილეობა მიიღოს დაფინანსებაში, ვითვალისწინებ მათ რჩევებს. ამ გზით მაყურებელი ფილმის თანამონაწილე და თანაშემქმნელი ხდება. ეს ადამიანები არა მარტო ფინანსურად ეხმარებიან ფილმის შემქმნელებს, არამედ მერე მაყურებლებიც ხდებიან, აინტერესებთ, რაში გადაიხადეს ფული. ამრიგად, მწარმოებლისთვის ორმაგი ინტერესია – იღებს დაფინანსებას და ავტომატურად იძენს მაყურებელს.

არის სხვა გამოცდილებაც. ფრანგი რეჟისორი, სცენარისტი და კომპოზიტორი ზიგფრიდი უბიუჯეტო ფილმებს, მარტო, თავისი კამერით, ყველა წესის გათვალისწინებით თუ დარღვევით იღებს. მისი ფილმები კანის, ვენეციისა და ლოკარნოს ფესტივალებზე ხვდება, რაც ფილმების მაღალმხატვრულ ხარისხზე მიანიშნებს. ეს იმის მაგალითია, თუ ადამიანს უნდა ფილმის შექმნა, იგი ამას მაინც გააკეთებს, თუნდაც ბიუჯეტის გარეშე.

უორქშოპზე სცენარის განვითარების მხრივ, არასტანდარტული და ერთ-ერთი საინტერესო მეთოდი შემოგვთავაზეს – მეფინგი, რაც სცენარის დრამატურგიისათვის რუკის შექმნას გულისხმობს. ჩვენმა ექსპერტმა პოლ ტაილერმა ამისათვის ლეგოს სათამაშოები გამოიყენა. სხვადასხვა ფორმისა და ფერის სათამაშოებით (თავად რეჟისორს უნდა აერჩია რატომ და რისთვის) იქმნებოდა სცენარის დრამატურგიული ნახატი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფორმა იყო იმ მხვრივ, რომ ვიზუალურად ხედავ ფილმის დრამატურგიას და ხედავ, რა და რატომ არის ასეთი.

თანხებისა და ფინანსების მოპოვების კიდევ ერთი შესაძლებლობა შესთავაზა პრეზენტაციაზე დამსწრეებს ნოშრე ჩხაიძემ, პროგრამა

ფოტო: ლაშა ფალავანდიშვილი

„კრეატიული ევროპა“ ევროკავშირის პროექტი, რომელიც კინოპროდუქციის შემქმნელებს დაფინანსების მოპოვების საშუალებას აძლევს.

მედიის ყურადღების მიღმა დარჩა მაია კომოროვსკა, თეატრისა და კინოს ცნობილი პოლონელი მსახიობი. მუშაობდა ისეთ ცნობილ რეჟისორებთან, როგორიცაა ქშიშტოფ ზანუსი, ქშიშტოფ კიშილოვსკი, ანჯეი ვაიდა, იშტვან სზაბო, თეატრში კი ეჟი გროტოვსკის დასის წევრი იყო. ამ ქალბატონს ერთნაირი ოსტატობით შეუძლია განახორციელოს როგორც დრამატული, ასევე კომედიური როლებიც, რისი მოწმეც მის მასტერკლასზე გავხდით, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო BIAFF-ის პროგრამაში.

სომეხი კინოდოკუმენტალისტის, რეჟისორისა და სცენარისტის ჰარუთუნ ხაჩატარიანის სახელი ჩემთვის წელს გახდა ცნობილი. მასტერკლასზე რეჟისორმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კინოდოკუმენტალისტის პასუხისმგებლობის საკითხს. „ყველაფერი მოქმედებს ჩემს ფსიქიკაზე, მსოფლმხედველობაზე, ძალიან მნიშვნელოვანია, გაუძლო ამ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და დარჩე ჯანსაღ ადამიანად“.

კინომოყვარულები დიდხანს ველოდით უკვე ლეგენდად ქცეული ნასტასია კინსკის პრესკონფერენციის დაწყებას. ერთსაათიანი დაგვიანების შემდეგ დარბაზში აღელვებული მსახიობი შემოვიდა, სევდიანი ღიმილით და სევდანარევი ხმით. მისი პასუხები დასმულ შეკითხვებზე ცოტათი დაძაბულიც იყო. მსახიობის მღელვარება და დაძაბულობა დარბაზსაც გადაედო.

ნასტასია კინსკიმ მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს მოწვევისა და პრიზის გადაცემისათვის: „ჩემთვის სასიამოვნოა, შევხვდი აქ მოსულ ხალხს. მინდა მადლობა გადავუხადო იმათ, ვინც ამის შესაძლებლობა მომცა. ეს ფესტივალის მეათე წელია. სამწუხაროდ, მგონი, ვაწყენინე ორგანიზატორებს. მიუხედ ვად იმისა, რომ არის გაუგებრობები, მაინც მადლობელი ვარ. ეს ჩემი შრომის დაფასებას ნიშნავს“.

ბათუმური შთაბეჭდილებები – „ქუჩის ხელოვნება მომეწონა, ეს ძა-

ლიან ლამაზია. ბევრი ფერი გაქვთ, განსაკუთრებით ღამით, ოცნებას ჰგავს. დელფინებს შევხვდი, მათთან ერთად გავცურე, დაუჯერებელი ემოციები მივიღე“.

ფილმები და როლები, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს, – „თითოეულ ჯერზე ყველა როლს აქვს მნიშვნელობა. მაგრამ მაინც გამოვარჩევ „ტესს“ და „პარიზი ტეხასს“. როცა პირველად აკეთებ რამეს, იგი სამუდამოდ იბეჭდება მეხსიერებაში და მომავალსაც განსაზღვრავს“. აღნიშნა, რომ იღბლიანი გამოდგა, კარიერის დასაწყისშივე გაუმართლა, როდესაც კარგ გუნდს, სწორ ადამიანებს შეხვდა, რამაც განაპირობა კიდეც მისი პროფესიული წინსვლა.

პოპულარობის დადებითი და უარყოფითი მხარეები – „პოპულარობას კარგი მხარე უფრო მეტი აქვს, ვიდრე ცუდი. მთავარი ხიბლი მოგზაურობაა, რაც ახალი ადამიანების, ქვეყნების, კულტურის, რელიგიის გაცნობის საშუალებას იძლევა. პოპულარულმა ადამიანმა შეიძლება მნიშვნელოვანი განცხადებაც გააკეთოს და მას დიდი აუდიტორია მოუსმენს და მხარსაც დაუჭერს. უარყოფითი ის არის, რომ გარკვეული საზღაურის გადახდა გიწევს და ზოგჯერ, ეს ძალიან დამღლელია“.

თეატრალური სცენა – „მიყვარს თეატრი, სურვილი მაქვს ვითამაშო. ამას გავაკეთებ. როცა ადამიანები არ ნებდებიან, მაშინ ყველაფერი შესაძლებელი ხდება“.

ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი წელს მეათედ ჩატარდა. 10 წლის განმავლობაში ფესტივალს უამრავი საინტერესო სტუმარი ეწვია – იოს სტელინგი, კშიშტოფ ზანუსი, აბას კიაროსტამი, ზბიგნევ რიბჩინსკი, ნური ბილგე ჯეილანი, ბელა ტარი, ნასტასია კინსკი, ოთარ იოსელიანი, მიხეილ კობახიძე, ლანა ღოღობერიძე და სხვები. მასზე ნაჩვენები იყო საავტორო კინოს საუკეთესო ნიმუშები და ამ ფესტივალმა თავისი ნიშა უკვე დაიკავა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

[ინგა ხალვაში]

ფოტო: ლაშა ფალავანდიშვილი

„ამირანი“

მე-9 საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი

თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი“ წელს უკვე მეცხრედ ჩატარდა და 2-დან 6 ივნისის ჩათვლით ქართველ მაყურებელს არაერთი საინტერესო საერთაშორისო ნამუშევარი შესთავაზა.

წლევანდელი ფესტივალის გრან-პრი გადაეცა აგა ვოსზჟინსკას ფილმს „ფრაგმენტები“ (პოლონეთი), ხოლო ოთხ მთავარ ნომიანაციაში გამარჯვებულები გახდნენ: სალომე ვეფხვაძე მხატვრული ფილმით „მე, ისინი და მამა“ (საქართველო), ბაქარ ჩერქეზიშვილი დოკუმენტური ფილმით „ტოროლები და ბუები“ (საქართველო), ნატალია ჩერნიშევა ანიმაციური ფილმით „ორი მეგობარი“ (საფრანგეთი) და დენის კოლეროვი ექსპერიმენტული ფილმით „ჩვენებური“ (რუსეთი).

წლევანდელი ფესტივალის შესახებ ვესაუბრეთ ფესტივალის ორგანიზატორებს: კინორეჟისორ დავით ჯანელიძეს, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს – ჯაბა სიხარულიძეს.

ჯაბა სიხარულიძე: „ამ წლების მანძილზე მიღებული გამოცდილების შედეგად მივხვდი, რომ სტუდენტურ ფესტივალს სრულიად განსხვავებული სპეციფიკა აქვს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს სასწავლო პროცესთან, სადაც შესაძლებელია შემოქმედებითი თავისუფლება, ექსპერიმენტები. ფესტივალი არის საშუალება შევაფასოთ და გავეცნოთ სხვადასხვა სკოლებსაც. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, ვიყოთ ობიექტურები, მიუკერძოებლები როგორც სელექციის, ასევე კონკურსის პერიოდშიც და ფესტივალის პრესტიჟის მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად ძირითადი აქცენტი ხარისხზე გავაკეთოთ.

დათო ჯანელიძე: „სელექციაზე 52 ქვეყნის 300-ზე მეტი სტუდენტური ფილმი იყო წარმოდგენილი. ჩვენი ფესტივალისთვის მნიშვნელოვანია, წარმოვაჩინოთ ახალგაზრდა თაობის განსხვავებული ხედვა, ფორმისეული, ექსპერიმენტული ძი-

ებები; ის, თუ რამდენად განსხვავებულად აღიქვამენ ისინი სამყაროს. წელს ვეცადეთ პროგრამაში ქართული ფილმების ფართო სპექტრი წარმოგვედგინა, რათა სტუმრებს ჰქონოდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ ქართული კინოსკოლის სხვადასხვა ჟანრისა და სახეობის ნამუშევრებს.“

ფესტივალის ფარგლებში არაერთი საინტერესო მასტერკლასი ჩატარდა, თუმცა სტუდენტებისთვის მაინც ყველაზე საინტერესო მიუნხენის უმაღლესი კინოსკოლის ტექნიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, პიტერ სლანსთან შეხვედრა აღმოჩნდა, რომელმაც ქართველი მსმენელისთვის ჯერ კიდევ უცხო, უახლესი კინო-ტელე ტექნოლოგიების გზამკვლევის როლი შეასრულა.

წლევანდელ ფესტივალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო CILECT-ის სტუმრობა, ჩამოსული იყო მისი ძირითადი ბირთვი. აქვე ჩაისახა ურთიერთობის ახალი პერსპექტივებიც – კერძოდ კი დაიგეგმა მომავალი წელი, რომელიც ერთდროულად საიუბილეოა „ამირანისთვის“ (ფესტივალს 10 წელი უსრულდება), კინო-ტელე ფაკულტეტისთვის (მას დაარსებიდან 40 წელი უსრულდება) და CILECT-ის შვილობილი ორგანიზაციის გეექტისთვის, რომელიც 20 წელია, არსებობს. ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად „ამირანის“ ფარგლებში, მომავალ წელს ჩატარდება მასშტაბური კონფერენცია, რომელსაც ევროპული კინოსკოლების დიდი წარმომადგენლობა დაესწრება. ამ კონფერენციის მიმდინარეობისას გავეცნობით ევროპულ კინოსკოლებში სასწავლო პროცესის დაგეგმის სპეციფიკას; ამ დროისთვის ფიქრობენ კინო-ტელე ფაკულტეტის ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასაც.

კარგი იქნება, თუ სახელმწიფოც გამოთქვამს სურვილს, თავისი წვლილი შეიტანოს ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში. უკვე დიდი ხანია, რაც საერთაშორისო ორგანიზაციები დაინტერესდნენ აქამდე ნაკლებად ცნობილი ყაზახური, ირანული, აზერბაიჯანული და სომხური კინოსკოლებით. ვფიქრობთ, ასეთი ტიპის მასშტაბური კონფერენცია აღარ იქნება უბრალოდ კინოგანათლების მნიშვნელობის მქონე, არამედ იქ ზოგადად, კინოხელოვნების აქტუალურ პრობლემებს განიხილავენ,რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტისთვის, არამედ მთავრობისა და ზოგადად ჩვენი ქვეყნისთვის.

[მაია ლევანიძე]

WELCOME TO SARAJEVO

სარაევოს 21-ე საერთაშორისო კინოფესტივალი

ოთხწლიანი ალყის მიწურულს, 1995 წელს სარაევოს კინოფესტივალი ქალაქის ისტორიული მრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით შეიქმნა.

დღეს, ორი ათწლეულის შემდეგ ფესტივალი სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენაა და მთელ მსოფლიოში განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობითა და „ჰუმანურობით“ გამოირჩევა. სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულებს პრიზად სარაევოს გული გადაეცემათ. მრავალრიცხოვან სტუმრებს შორის ევროპისა და საერთაშორისო კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს შეხვდებით; ასევე, ხშირად იხილავთ ჰოლივუდის კინოვარსკვლავებს.

ფესტივალი საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: რეგიონული ფორმატის მიუხედავად, ამ ფესტივალმა ქართულ კინოსაც ფართოდ გაუხსნა კარი. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სარაევოში მრავალი ქართული ფილმი და პროექტი იყო წარდგენილი, მათ შორის: „გრძელი ნათელი დღეები“ (სარაევოს 3 გული: გრან-პრი და მთავარი როლის შემსრულებლები), „პატარძლები“ (სარაევოს 2 გული: ჟიურის პრიზი და მთავარი როლის შემსრულებელი), „შემთხვევითი პაემნები“ (კონკურსგარეშე) და „მე ვარ ბესო“ (მსოფლიო პრემიერა).

წლევანდელი საკონკურსო პროგრამის 10 ფილმიდან 6 სარეჟისორო დებიუტს წარმოადგენდა. მსოფლიო პრემიერებთან ერთად სელექციაში მრავლად იყო წლევანდელი კანის კინოფესტივალის მონაწილე ფილმები.

ქართული ფილმები წელს მოკლემეტრაჟიან პროგრამაში იყო წარდგენილი: დავით ფირცხალავას „მამა“ (კონკურსი) და მარიამ ხაჭვანის „დინოლა“ (კონკურსგარეშე). ასევე, სექციაში „ახალგაზრდა ტალანტების პლატფორმა“ მიწვეულები იყვნენ რეჟისორები – კონსტანტი-

ნე კალანდაძე და შორენა თევზაძე. ინდუსტრიულმა სექციამ Cinelink-მა რამდენიმე ქართულ პროექტს უმასპინძლა: თინათინ ყაჯრიშვილის „მანჯი“, რეზო გიგინეიშვილის „მძევლები“ და იოსებ ბლიაძის „ოთარის სიკვდილი“. Docu Rough Cut Boutique სექციაში IDFA პრიზით დაჯილდოვდა თომა ჩაგელიშვილის ფილმი „ბერლინის ახალი კედელი“.

ფესტივალის პარალელურად, გაიმართა Creative Europe-ის ღონისძიება „ევროპული კინოფორუმი“, სადაც მოწვეულმა ექსპერტებმა და ფესტივალის სტუმრებმა კინოგაქირავებისა და ციფრული ერთიანი ბაზრის გამოწვევებზე, ასევე კო-პროდუქციების ხელშეწყობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს. მიწვეულ ექსპერტებს შორის იყო საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში, თამარ ტატიშვილი.

ფესტივალზე განსაკუთრებული მოწონება და საუკეთესო მხატვრული ფილმის ჯილდო დაიმსახურა დენიზ გამზეერგუვენის ფილმმა „მუსტანგი“, რომელიც ჩრდილოეთ თურქეთის პატარა შავიზღვისპირა სოფელში მცხოვრები ლალეს და მისი ოთხი დის თვალთახედვით მოთხრობილი ამბავია. როდესაც ჟიურის წევრმა, პროდუსერმა მაიკ დაუნიმ საუკეთესო მსახიობის ჯილდო ფილმის ხუთ ახალგაზრდა მსახიობს გადასცა, სტუმრებს ორი წლის წინათ „გრძელი ნათელი დღეების“ მსახიობების წარმატება მოაგონდათ, როდესაც ფესტივალმა ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია დააჯილდოვა.

ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე მაიკ დაუნიმ უკრაინელი რეჟისორის ოლეგ სენცოვის სიტყვები წაიკითხა და ევროპული კინოაკადემიის სახელით დარბაზთან ერთად მოითხოვა მისი გათავისუფლება. 2014 წლის მაისში ყირიმში დაპატიმრებულ რეჟისორს რუსეთის სამხედრო სასამართლომ 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. პროცესმა საერთაშორისო საზოგადოების პროტესტი გამოიწვია და პეტიციას, მისი გათავისუფლების მოთხოვნით, მრავალმა კინოორგანიზაციამ და მხარდამჭერმა მოაწერა ხელი. მათ შორის არიან: მაიკ ლი, კენ ლოუჩი, აგნეშ კაჰოლანდი და პედრო ალმადოვარი. გათავისუფლების მოწოდებას ასევე შეუერთდნენ უკრაინისა და რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირები და რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი.

[ნოშრე ჩხაიძე]

"მუსიკის ჰანგები" ოქროს პეპელაზე

საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალის შესახებ

„...რიგით მეხუთე საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს პეპელა"-ს გამარჯვებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მუსიკის ჰანგები" – „სტუდია პიონერფილმი" – აცხადებს ჟიურის თავმჯდომარე კინომსახიობი და რეჟისორი ბაადურ წულაძე და გრანპრის ფილმის რეჟისორს, 15 წლის ნაიკო მოდებაძეს გადასცემს. მართალია, ფილმის სახელწოდება „მუსიკის ჰანგები" ასოციაციით 50 წლის წინანდელ კინოშედევრს გვახსენებს, თუმცა „პიონერფილმის" სტუდიის მოსწავლეთა მიერ შექმნილი ამბავი სულ სხვა სიუჟეტს და ისტორიას გვიყვება.

„ვცდილობთ, ყოველი ახალი კინოფესტივალი გამორჩეული და განსხვავებული იყოს. გადავწყვიტეთ, რომ 50 წლის წინ გადაღებული ოსკაროსანი ფილმი „მუსიკის ჰანგები" ლაიტმოტივად გაჰყოლოდა წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიას, – გვიყვება ირაკლი ჯაოშვილი, კინოფესტივალის დირექტორი, – სწორედ ამიტომ დაიწერა სცენარი, შეიქმნა სიუჟეტი, შევარჩიეთ ფილმის მთავარი გმირების „ორეულები", რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ნომინანტების დაჯილდოებაში და ასევე ასრულებდნენ ცნობილ სიმღერებს „მუსიკის ჰანგებიდან."

წლევანდელი 4-დღიანი ფესტივალი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. ჩვენების გარდა, იმართებოდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები სხვადასხვა ჯგუფისთვის – სცენარისტები, ოპერატორები, რეჟისორები. ფესტივალის ახალგაზრდა მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ ცნობილ ამერიკელ რეჟისორს მაიკლ ჰოფმანს, ესაუბრათ ქართველ კინორეჟისორ ბაადურ წულაძესთან (ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე) და გასცნობოდნენ ნელი ნენოვას, რომელიც ბულგარეთიდან ჩაერთო მასტერკლასზე „სკაიპით"; „უნიკალური თანამედროვე კინო – ვიდეოტექნიკა" ასეთი სახელ-

წოდებით წარუდგინა მოზარდებს სტუდია „ვიდეოსკოპის“ დირექტორმა ვალერი ოდიკაძემ საინტერესო ლექცია; პრაქტიკული კინოგადაღებების დღეს კი მონაწილეებისთვის ახალგაზრდა რეჟისორი და მსახიობი თორნიკე ბზიავა ხელმძღვანელობდა. „წელს ჩვენი ამოცანა იყო, რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი ბავშვი ჩაგვერთო ჩვენს ფორუმში, – განაგრძობს მოყოლას ფესტივალის დირექტორი, – სწორედ ამიტომ შევქმენით „ოქროს პეპელას“ მობილური შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც ფესტივალის დაწყებამდე 3 თვით ადრე სტუმრობდნენ: ბავშვთა სახლებს, მოზარდთა სასჯელაღსრულების დაწესებულებას, ბავშვთა ინკლუზიური განათლების ორგანიზაციებს; სადაც ჩავატარეთ პრეზენტაციები და უორქშოფები, რამაც ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია. ბავშვებმა იდეები, სცენარები და მოკლემეტრაჟიანი ფილმებიც კი გამოგვიგზავნეს.“ ამ საინტერესო წამოწყებას უკვალოდ არ ჩაუვლია – ანა ჩიქოვანი ჟიურიმ საუკეთესო ოპერატორად აღიარა.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წელს გაფართოვდა „ოქროს პეპელას“ საერთაშორისო გეოგრაფიაც – რიგით მეხუთე ფესტივალში მონაწილეობდნენ მოზარდები ბულგარეთიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან, მოლდოვადან, აზერბაიჯანიდან, სამხრეთ კორეიდან და ბელარუსიიდან. სულ 52 მოკლემეტრაჟიანი (7 წუთამდე) ფილმი იყო წარმოდგენილი მხატვრულ, ანიმაციურ და დოკუმენტურ პროგრამებში, საიდანაც პროფესიონალთა ჟიურიმ და ბავშვთა ჟიურიმ ნომინაციების მიხედვით გამარჯვებულები დაასახელა.

ბაადურ წულაძე, ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე: არ ველოდი, რომ ასეთ სიამოვნებას მივიღებდი. ვხედავ და გაოცებულიც ვარ, ისეთი მონდომება და ფანტაზია დავინახე, მეც რომ გამიკვირდება. რასაკვირველია, ყველა ვერ გამოვა რეჟისორი, მაგრამ ყველა ბავშვს მინდა ვუთხრა, – ნუ უყურებთ, რა იქნება მომავალში, მიიღეთ სიამოვნება იმისგან, რასაც აკეთებთ. მე, საბედნიეროდ, მთელი ცხოვრება ვაკეთებდი იმას, რაც მიყვარდა. რაც შეეხება იმას, ვინ გაიმარჯვებს და ვინ არა, ეს არ არის მთავარი. ეს თამაშია.“

[ანა ჩარგეიშვილი, ლიზი ლორია, ნანუკა წურწუმია]

კიდევ ერთხელ ნიქოზის ფესტივალის შესახებ

„ანესის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ამაყობს, რომ „ნიქოზის“ პარტნიორია“, – აღნიშნავს ანესის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი მარსელ ჟანი. მოგეხსენებათ, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“ წელს უკვე მეხუთედ ტარდება შიდა ქართლში, სოფელ ნიქოზში. ფესტივალის ჩატარების იდეა ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიას ეკუთვნის, რომელიც განათლებით ანიმაციური კინოს რეჟისორია. ფესტივალთან ერთად სოფელ ნიქოზში დაარსდა ანიმაციის სკოლა, სადაც ბავშვები ხელოვნების სხვადასხვა დარგს ეუფლებიან.

წლევანდელ ფესტივალს უამრავი საინტერესო სტუმარი ეწვია – გამოჩენილი ანიმატორები და ანიმაციის ცნობილი სკოლის წარმომადგენლები; პროგრამაში წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ანიმაციურ ფესტივალებზე გამარჯვებული ფილმები, რომელთა ნაწილი თავად ავტორებმა წარმოადგინეს. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სცენარის განვითარების, თანამედროვე ქორეოგრაფიიის და ანიმაციის უორქშოფები.

ჟული როი, კანადის ეროვნული კინოცენტრი, ფრანგული ანიმაციური სტუდიის პროდუსერი:

„ეს უფრო მეტია, ვიდრე ანიმაციური ფილმების ფესტივალი. მე აღმოვაჩინე ახალი კულტურა ჩემთვის და ახლა მინდა უფრო მეტი შევიტყო საქართველოს, თქვენი ხელოვნების და კულტურის შესახებ. ვისურვებდი, რომ აქ ისევ ჩამოვიდე შემდეგ წელს. არა მხოლოდ იმისათვის, რომ როგორც პროდუსერმა წარმოვადგინო ჩემი ფილმები, არამედ ჩამოვიდე ჩემთვის საინტერესო ახალი ფილმების სანახავად. აპრილში აქ ჩატარდა ანიმაციური პროექტების განვითარების უორქშოფი, რის შედეგადაც ქართველი მხატვარი ანა ჩუბინიძე გახლდათ საფრანგეთში, სადაც მან თავისი პროექტი წარადგინა. ეს იყო ძალიან კარგი გამოცდილება. ვფიქრობ, რაც უფრო ხშირად მოხდება ასეთი რამ, ეს საფუძველს ჩაუყრის გამოც-

ფოტო: დავით ჩაჩანიძე

დილი ჯგუფის, სტუდიის შექმნას საქართველოში. თუ ეს იქნება წარმატებული პროექტი, სხვა ანიმატორებს და დარგის წარმომადგენლებს მისცემს სტიმულს, რომ შექმნან საინტერესო ახალი ფილმები. მნიშვნელოვანია, რომ ანიმაციის წარმომადგენლები, ანიმაციის ხალხი იცნობდეს ერთმანეთს. ანიმაციის ხელოვნება არ არის მხოლოდ სწავლების საგანი, ეს არის ურთიერთობების ხელოვნება. საჭიროა ბევრი მოგზაურობა და ის, რომ ექსპერიმენტული კინოს ავტორები შეხვდნენ ხოლმე ერთმანეთს. მომავალ წელს ისევ ჩამოვლენ პროდუსერები, სცენარისტები, რეჟისორები, ანიმატორები, თქვენც უნდა ჩამოხვიდეთ. ურთიერთობები, ეს ჩემთვის პირველ ადგილზე დგას“.

მარკ მაიერი, სცენარისტი:

„ანიმაციური ფილმის სცენარის განვითარების უორქშოფი – ეს საკმაოდ რთულია, ყოველთვის რთულია და საპასუხისმგებლო სცენარზე მუშაობა. რაც შეეხება ფესტივალზე წარმოდგენილ ქართულ პროექტებს, ყველა თავისებურად საინტერესოა, თუმცა სამი დღე ასეთი უორქშოფისათვის საკმაოდ ცოტაა – სცენარის განვითარებას დრო სჭირდება“.

ალექსეი დიომინი, რეჟისორი:

„მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ თითქმის ერთნაირი გზა გავიარეთ – გავიარეთ პერიოდი, როდესაც იყო სახელმწიფო დაფინანსება, და ბოლოს აღმოვჩნდით პრობლემის პირისპირ. ჩვენ გადავინაცვლეთ სახლებში; ვისაც ანიმაცია გვიყვარდა, ყველამ გავაგრძელეთ შიშველი ხელებით. რადგან ეს ისეთი ხელოვნებაა, რომლის შეჩერებაც არ შეიძლება. სამწუხაროდ, დღეს ვკარგავთ ხელოვანებს, დაფინანსების სიმცირის გამო, ისინი მიდიან სხვაგან, მიდიან კომერციულ კინოში. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ანიმაციის ხელოვნების განვითარებას, ეს ხომ თვითგამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ვისურვებდი, რომ ანიმაცია იყოს სულის ამსახველი, აუცილებად არსებობდეს საბავშვო კინო, ეს ყველაზე მართალია და ყველაზე რთულია და ის უნდა იყოს პროფესიონალების ხელში. მჯერა, რომ თანდათან ყველაფერი აეწყობა. მინდა გისურვოთ ყველაფერი საუკეთესო, და ვისურვო, რომ მეტი ვიყოთ ამ დარგის წარმომადგენლები. ანიმაცია ხომ ერთგვარი შემაკავშირებელი გზაა, რომელიც ყველას გვაერთიანებს.

[ქეთევან ჯანელიძე]

68 FESTIVAL DEL FILM LOCARNO

ხარისხი და მრავალფეროვნება – ეს ლოკარნოს კინოფესტივალის კრედოა. ლოკარნო, ეს არის კინოს დღესასწაული ტრადიციული წითელი ხალიჩით, უამრავი მოელვარე ვარსკვლავით და საინტერესო საღამოებით; Piazza Grande-ზე შეკრებილი, საგანგებოდ გამოწყობილი სტუმრებით,რომლებიც ღია ცის ქვეშ, კინოჩვენებებისთვის ემზადებიან და „დიდების კედელზე“ დატოვებული უამრავი ნაცნობი ავტოგრაფით.

წლევანდელ კინოფესტივალზე საკმაოდ დიდი დოზით იყო წარმოდგენილი ქართული კინო. ფესტივალის მაყურებელი განსაკუთრებით ელოდა ოთარ იოსელიანს, რომელსაც შვეიცარიელებმა სიყვარულით Il Grande Ioseliani-ც კი შეარქვეს. მისი ახალი ქართულ-ფრანგული ფილმის „ზამთრის სიმღერა“ (Chant d’hiver) პრემიერა, სადაც რეჟისორი მისთვის ჩვეული ირონიით გვიამბობს თანამედროვეობაზე, Auditorium FEVI-ს 2000 მაყურებლიან სავსე ღია დარბაზში, კინომოყვარულების აპლოდისმენტებით გაიმართა.

ფესტივალის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსში, წარმოდგენილი იყო რუსეთში მომუშავე ქართველი რეჟისორის ბაკურ ბაკურაძის რუსეთ-სერბეთის კო-პროდუქცია, ფილმი „ძმა დეიაინი“.

გარდა ამისა ყველაზე მთავარია, რომ ლოკარნოს 68-ე კინოფესტივალზე კიდევ ერთხელ გაისმა ქართული გვარი, ამჯერად, უკვე როგორც პრიზიორის. დათა ფირცხალავას ფილმი „მამა“, რომელიც მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსში Pardi di domani (“ხვალინდელი ლეოპარდები“) იყო წარმოდგენილი, მთავარი პრიზის, „ოქროს ლეოპარდის“ მფლობელი გახდა. როგორც ჟიურის წევრებმა პირად საუბარში აღნიშნეს, მათ ეს გადაწყვეტილება ერთსულოვნად მიიღეს. „მამა“ ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურში გამარჯვებული პროექტია, რომლის გადაღება „თიბისი ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერით მოხდა. ეს იყო კინოცენტრის ინიციატივა და პირველი შემთხვევა, როცა ფილმწარმოებაში სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კერძო ბიზნესიც ჩაერთო. ლოკარნოს, აღმოჩენების ფესტივალსაც უწოდებენ და იმედია, ახალგაზრდა რეჟისორისთვის, დათა ფირცხალავასთვის ეს წარმატებული შემოქმედებითი სტარტი იქნება.

[თეა გაბიძაშვილი]

წარმოების დღეს

ჩემი მეძეღეხე ნანახი გაქვს?!

[ნინო კალანდია]

თემქისკენ მიმავალ გზაზე მოხუცთა თავშესაფარია, იქ რამდენჯერმე ვყოფილვარ. ვიცი, რომ სენსიტიური თემაა, გულქვა ხომ არ ხართ, მე აქ მოხუცთა თავშესაფარი ვახსენო და თქვენ ცრემლი არ მოგადგეთ თვალზე?!

ყველა თქვენი შიში არაფერია იმასთან შედარებით, რასაც იქ იგრძნობთ, სიბერის შეგეშინდებათ, ეს კი ნიშნავს, რომ დროის გაჩერება მოგინდებათ, დროს კიდევ ვერაფერს მოუხერხებთ, ამიტომ შეიძლება საუკუნო დეპრესიაში ჩავარდეთ და სანამ სიბერემდე მიხვალთ, მანამდე „გაჩერდეთ“. თავშესაფარში ადგილები შეზღუდულია, ხალხი წინასწარ „იბევებს“ იქაურობას, წლებით ადრე, ვაიდა, ოთახი გათავისუფლდეს.

თავშესაფარში ინტელიგენტების ადგილი არ არის. ასე სჯერა ახალგაზრდა კინორეჟისორს, ასეთი, ზედაპირზე მოტივტივე პრობლემები გამხდარა მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისთვის და ჩვენ ეს გამოგვეპარა. თორნიკე ბზიავამ გადაწყვიტა, რომ აი, ახლა მაინც ყველას აგვიჩუყებს გულს და ისეთ ფილმს გადაიღებს, რომ ქვითინით და ტაშით დავანგრევთ დარბაზს. ტაშისთვის გვექნება მოკლემეტრაჟიანი ფილმის ბოლო 4 წუთი, მთელი ფილმის მეოთხედი, რომელიც სტატიკური კადრია: თავშესაფრის ორი მობინადრე პატარა სცენაზე დგას და მღერის, შუალედებში ცეკვავს, ეს კი ის კადრია, რომელიც მილიონჯერ გინახავთ „პროფილებში“, „ნანუკას შოუებში“ და გული დაგწვიათ. თანამედროვე მედიამ თავშესაფრის მცხოვრები ეს ორი ქალბატონი „ვარსკვლავებად“ აქცია, ბაზარზე გაყიდა, დიასახლისებს მიასაღა, მე და თქვენ მოგვყიდა, ვაღიაროთ!

ცრემლებისთვისაც დაგრჩებათ ადგილი, იმ მოკლემეტრაჟიანი ფიმლების ნახევარზე მეტში, რომელიც „ამირანის“ დიდ დარბაზში ერთდროულად აჩვენეს, მოხუცები კვდებიან, ან ჯერ არ გარდაცვლილან და უკვე ჭურჭელს უმზადებენ, ან სიკვდილამდე თავშესაფარში იქნებიან. თორნიკე ბზიავამ თავის გმირს, ოდესღაც ცნობილ მოცეკვავეს, რომელიც გაჭირვებულ 90-იანებშიც კი, ბავშვებს ავარჯიშებდა, ანუ საქმეს, თავს და მამულს არ ღალატობდა, თავშესაფარში ადგილი უშოვა. ეს გმირი თავისი კეთილშობილებით გაგაოცებთ, ჯერ მარტო რა „ასანკა“ აქვს, ეტყობა რომ მოცეკვავეა, კარგი დროიდან მოყოლებული ხარისხიანი პალტოც აქვს, ჰალსტუხიც, რომელსაც ქელეხებში იკეთებს, სახე რომ არ დაკარგოს. მოკლედ ფილმი სტერეოტიპებით

დახუნძლულია, მაგრამ ეს არ არის ჩემი რეცენზიის მთავარი მიზანი. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების სტერეოტიპულ აზროვნებაზე თუ შევჩერდებით წყლის ნაყვა იქნება, რეჟისორებს ეს არ შველით, უფრო რადიკალურ ხერხს უნდა მივმართოთ, შუალედში ფილმზეც მოგიყვებით და ჩემს ცხოვრებაში პირველად რეჟისორს რჩევასაც მივცემ. ეს იქნება რეცენზია მიმართვა!

1. რეჟისორმა იმდენი უნდა მოახერხო, რომ პირველივე სცენიდან მაყურებელს მთელი ფილმი არ უამბო. როგორც კი მთავარი გმირი გაზეთში ნეკროლოგებს გადაშლის და ამოწერს, ყველაფერი ნათელია, დანარჩენი 15 წუთი თორნიკე მაიმუნობს, ტყუილად წვალობს ბოლო სცენამდე, რომელზეც ტაშით დაინგრა დარბაზი, რომელიც ასე იყო გათვლილი. ბებოებს უკრავდით ტაშს, თუ 21-ე საუკუნის სასტიკ მარკეტინგს? სიბერის შიში გადაფარეთ ხმაურით? არა, თქვენ ის მოწვეული სტუმრები ხართ, რომლებიც შოუების გადასაღებ მოედანზე კამერის უკან სხედხართ და ტექნიკური პროდუსერის ხელის აწევაზე ტირით, იცინით, ტაშს უკრავთ. თორნიკემ გაგაცურათ, მეგობრებო.

2. ახალი თაობა კინოში ზედაპირულია, ეს ზოგადი სენია, ამის გამო, მხოლოდ თორნიკეს ვერ „გავაკრავთ“ კინოჟურნალის ფურცლებზე, თუმცა თორნიკესავით ყველას არ აძლევენ დაფინანსებას, იმისთვის, რომ ის, რასაც ფიქრობს ათასობით სხვას გაანდოს ეკრანიდან. ზედაპირულობა-თქო, – ვახსენე, ვხედავთ მარტო იმ პრობლემებს, რომელიც აქვე ჩვენს გარშემო ჭაობში ტივტივებს, არავის უნდა სიღრმეში ჩასვლა, არავის სურს ხელების გასვრა. გასაგებიცაა, ჩვენ ადვილ ცხოვრებას მივეჩვიეთ, ნარკომანიასა და ჩარჩენილ თაობაზე ფილმის გადაღება უფრო იოლია, რადგანაც ჩვენ ამას ვხედავდით, ჩვენს გვერდით ხდებოდა და გვგონია, რომ ამ საკითხში უკვე ექსპერტები ვართ, ვფიქრობთ, – იმდენი განვიცადეთ და გადავიტანეთ, რამდენიც სხვას არ უნახავს. სიღრმეში ჩასვლა კი, პირველ რიგში სითამამეს მოითხოვს, ხოლო იმისთვის, რომ გარისკო და დამარცხების არ შეგეშინდეს, უნდა აღიარო, რომ არაფერიც არ იცი, დასვა კითხვები და ამ კითხვების პასუხები მარტო შენს წინ კი არა, შენს უკან, გვერდით, ქვეშ და შეიძლება შენს სიღრმეშიც კი ეძებო. კითხვების დასმა კი მხოლოდ განათლებულ ადამიანებს შეუძლიათ, განათლებაში წიგნების კითხვას ნუ გაიგებთ, თუმცა არც ეგ გვაწყენდა, განათლება ამ სამყაროში სხვისი დანახვის, სხვების შემჩნევის

სიღრმეში ჩასვლა პი, პირველ რიგში სითავაკეს ეოითხოვს, ხოლო იმისთვის, რომ გარისკო და დამარცხების არ შეეშინდეს, უნდა ალიარო - არაფერი იცი

შესაძლებლობაა, იმის გაგება, რომ რაც არის, რასაც ხედავ, შეიძლება იცვლებოდეს სხვისი თვალებით, სხვების პოზიციიდან.

ახალგაზრდები იღებენ კინოს, რომელშიც აკრიტიკებენ არა სისტემის სტრუქტურასა და ქმედებას, არამედ იმ კრიტერიუმებს, რომლითაც ამ სისტემაში „მსხვერპლი“ ირჩევა. და ეს ხდება იმ თაობაში, რომლის ერთადერთი გადარჩენის გზა კრიტიკული აზროვნებაა, არა მშობლის გაკვალული გზით სიარული, თეატრალური მანერების გადაღება, ხალხისათვის პურისა და სანახაობის მიწოდება, არამედ ძველი ტრადიციებით გადაღებული ქართული ფილმების ფირზე დატოვება, ძალად რომანტიული, გაიდეალებული, „ობივატელებთან მებრძოლი“ გმირების მეხსიერებიდან ამოშლა. იქნებ მშობელი ცდება, იქნებ მშობლის ღირებულებები მერყევია და წლიდან წლამდე იცვლება და ეს მიდგომა მისი ხელწერაა, იქნებ მშობელი „ალამაზებს“, როცა ამბობს, რომ ნიჭიერი ხართ, უარყავით და დაიწყეთ თავიდან, დაინახეთ რეალური პრობლემები თქვენს ირგვლივ და თუ მოხუცების ბედი გაწუხებთ, თუ ეს ქვეყნის სატკივარია, ჩადით უფრო ღრმად, სცენაზე ნუ გამოიყვანთ, თეატრს ნუ დადგამთ; შეგიძლიათ რამე შეცვალოთ?! ტირილის ნაცვლად მოქმედების სურვილი გააღვიძეთ! რთულია? კი, ვიმეორებ განათლება სხვისი დანახვის შესაძლებლობაა, მისი ხედვის აღიარებაა, და არამარტო მშობლის.

3. დახვეწეთ ტექნიკა. თუ გინდათ მიაღწიოთ რამეს, სხვისი აღიარების შემდეგ თქვენს ობიექტივში მოხვედრილ სამყაროზეც დატოვეთ კითხვები. სტატიკური კადრების გამოყენება თეატრალური უნივერსიტეტის ხელწერაა, ამას ასწავლიან პირველივე ლექციაზე კინორეჟისორებს, ამას იმეორებენ მესამე წელს და ამ ტექნიკით გადაღებას იწონებენ სადიპლომოებში; მოძრაობის გადაღება რთულია, ამას სჭირდება ცოდნა, რომ იყო ბუნებრივი, შენს ობიექტივში ადამიანებმა იმოძრაონ და იმეტყველონ ისე, როგორც ჩვეულ გარემოში. მთავარ გმირს ქელეხიდან წამოსვლა სურს, მაგრამ ერთ-ერთი ჭირისუფალი

თავშესაფარში წასაღებ საგზალს გაუმზადებს, ჯერ დაეწევა გმირს, ეტყვის, – თქვენთვის რაღაც მაქვსო; აქვე ამოიცნობს ამ გმირში „წარსულ დიდებას“ და მთავარი გმირი თეატრალურად დახრის თავს; გადაღებული ფილმი სამონტაჟოდან გამოსულზე პირდაპირ კინოთეატრში რომ არ გაეცუნცულებინათ და კიდევ ერთხელ შეეხედათ მისთვის, ეს კადრი აუცილებლად მოხვდებოდათ თვალში, და თუ მშობლის გავლენას დაივიწყებდნენ, ალბათ შეელეოდნენ კიდეც. ჭირისუფალი გაიქცევა საგზლის მოსატანად, გმირი ქართულ თეატრს გაიხსენებს, მერე თავის ყოფილ მოსწავლეს აიკიდებს, რომელიც არ ეშვება, გინდა თუ არა ჩემს შვილს მოგიყვან და ცეკვა ასწავლეო, ეს დაჟინებული ადევნება გმირზე ასევე ხელოვნურია; ეს გმირები რომ ბუნებრივები იყვნენ, ნამდვილი განცდები ჰქონდეთ, მთავარ გმირს პირველივე შეხვედრისას დაეხსნებოდნენ, მაგრამ თუ გავაუქმებდით ყველა ხელოვნურ სცენას, დაგვრჩებოდა მარტო ფინალური კადრი, დაგვრჩებოდა ორი მოცეკვავე ბებო და ტიტრები დიდი ასოებით: „რეჟისორი თორნიკე ბზიავა“.

4. ინტელიგენტებიც ხვდებიან თავშესაფარში და ამ ქვეყნის უბედურება მიღწევების მქონე ადამიანების გაუბედურებაში კი არა, ინდივიდების განადგურებაშია. მათი, ვინც წლები ქარხანაში მუშაობდა, არც თქვენ და არც მე არ ვიცნობთ, ცნობილ პრემიერებზეც არ ყოფილან, ეს რიგითი მედდების და მასწავლებლების უგულვებელყოფის, მათი განწირული სიბერის მქონე უბედური ქვეყანაა, რომელიც მათზეც დგას, არამარტო ბროლის ჭაღებიან, წითელ ხავერდიან, რუსული ტომეულებით გამოჭედილ სახლში მცხოვრებ ინტელიგენტებზე, არამედ ინდივიდებზე, ადამიანებზე, რომლებიც ჩვენს გარშემო არიან, განსხვავებული მიზნებით, განვლილი წლებით, მარტოობით და სიბერით.

5. მოეშვით კინომცოდნეებთან მეგობრობას, კინო ისედაც ცოცხალ-მკვდარია, კრიტიკა დავივიწყეთ და მხოლოდ სულელურ მიმოხილვებს ვწერთ, ამაში კარგად გვიხდიან. ყველა ერთმანეთს ვიცნობთ და არავის გვინდა გული ვატკინოთ, „ის ჩემი ნათლულია“, „ჩემი ძმაკაცის შეყვარებულია“, „ერთად მოვწიეთ“, დაივიწყეთ, ტაში არ გაგზრდით, თუ ეს ოდესმე გდომებიათ. ფილმის კრიტიკული თვალით დანახვა, არგუმენტები და მოსაზრებები, შენიშვნები და რჩევები ერთადერთი შანსია გადარჩენისთვის.

6. „მექელეხე“ ცუდი ფილმია, გაუმართავი შინაარსით და ტექნიკით, ცუდი სამსახიობო შესრულებით და ყალბი დიალოგებით; „მექელეხე“ სტანდარტულად ცუდი ფილმია, გაუაზრებელი სათქმელით და მონტაჟზე დაზოგილი ფულით, „მექელეხე“ რეჟისორის შიშებზე და ავისმომასწავლებელ წინათგრძნობებზე გადაღებული ფილმია, რომელიც არ ცდილობს გათავისუფლდეს უკვე ცნობილი წნეხისგან, არამედ წლიდან წლამდე ეფლობა მასში; მაგრამ ბევრი ცუდი ფილმი უნდა გადაიღო ადამიანმა, მთავარი მოძრაობის სურვილია, უკეთესის შექმნის სურვილი, შესაძლოა, ვერასდროს შეძლოთ შედევრის გადაღება, ესეც სხვების დანახვის და მათი აღიარების შესაძლებლობა იქნება, სხვებს დაუთმობთ გზას.

და რა მოხდება თუ ოდესმე რომელიმე ცნობილი ქართველი რეჟისორი თავშესაფარში მინი თეატრალური ეტიუდების დადგმას დაიწყებს. იქაური მაცხოვრებლები აქტიურად ჩაერთვებიან თავიანთი როლის დაზეპირებაში, რადაგან კარგად იცნობენ. მისი ოთახი კორიდორის ბოლოშია, რამდენიმე წლის წინათ „დაიბევა“ და როგორც კი მოცეკვავე გარდაიცვალა, მისთვის გააღეს. მაშინაც იქნება საინტერესო ამ ეტიუდების გადაღება, ზედ ტიტრების დადება და მაყურებლის რეაქციაზე დაკვირვება, მაშინაც მოგეწონებათ ტაში, რომელიც გამხნევებას, მოწონებას და გულისტკივილს გამოხატავს – „ინტელიგენტი ქალი/კაცი იყო, ამის პრემიერებზე ინგრეოდა დარბაზი, რა არის ეს ცხოვრება, სად შეიძლება მოხვდეს კაცი!“ ⣿

ტიფლისი – ქაღაქს ახალი მკვდრების ღასი ესტუმრა

[თორნიკე ბაქაქური]

გასულ წელს GDS-ს სამი მცდელობა ჰქონდა, ჩვენი ყურადღება ქართულ პროდუქტზე შეეჩერებინა, მაგრამ დანარჩენებს აშკარად „ტიფლისმა“ გადაუსწრო. სერიალი, „პანიკის გარეშე“, პირველივე საკმაოდ სახალისო და საინტერესო ეპიზოდის შემდეგ მინავლდა, ხოლო „პარადოქსის“ შემქმნელებმა მთელი მუღამი „ცარიელი თბილისისა“ და გლუხოვსკისეული „საშიში რამეებით“ სავსე მეტროს ატმოსფეროს მიანდეს და გადაწყვიტეს, რომ სცენარის არსებობა რატომღაც საჭირო არ იყო. ამ უკანასკნელს კიდევ ერთი უზარმაზარი მინუსი ჰქონდა – გაწელილი, არაფრისმთქმელი კადრები. სამსახიობო შესრულებაზეც რომ აღარაფერი ითქვას, აღნიშნული პრობლემა პოსტაპოკალიპტურ ჟანრთან დიდ ანტაგონიზმს ქმნის; ასე რომ, ტელეკომპანიის გადაწყვეტილება სერიალის ახალი სეზონის გადაღებასთან დაკავშირებით ჩემთვის ნამდვილად გაუგებარი იყო.

სანამ დეტალებს და შენიშვნებს ჩავუღრმავდებოდეთ, დავუბრუნდეთ იმას, თუ რით მოხიბლა „ტიფლისის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა მაყურებელი. „ვეფხისტყაოსნისა“ და დავით აღმაშენებლის შესახებ გადაღებული პოტენციური ფილმები, რომლებზეც უკვე, თითქმის ათი წელია, საუბრობენ, ფანტაზიის და უტოპიის დონეზე დარჩა, ქართველები კი ტელეეკრანზე ისევ „ბაში-აჩუკსა“ და „მაია წყნეთელს“ ხედავენ. ამ დროს არსებულ ვაკუუმს მე-19 საუკუნის თბილისი ავსებს თავისი ძველი უბნებით, საქართველო რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის, თავისი ჭავჭავაძეებით, ამილახვრებითა და ორბელიანებით. პირველივე სერია დინამიკურობით გამოირჩევა, მუსიკა შესამჩნევი და სახასიათოა, აღდგენილია შესაბამისი ჩაცმულობის სტილი, შენობების მორთულობა და სხვა დეკორაციები, კამერა კოლორიტულ უბნებსა და ქართულ ბუნებას შთამბეჭდავად გადმოსცემს. მოკლედ რომ ვთქვათ, სერიალი იმთავითვე განწირული იყო მაყურებლის ყურადღებისათვის. მან დაიწყო ქართული ისტორიიის რეგენერაცია ტელე-ეკრანზე, რომელიც, სიზუსტისა და ფიქტიურობის ხარისხის მიუხედავად, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ

მიუხედავად აღნიშნული სიკეთეებისა, „ტიფლისი“ სრულყოფილებისგან შორსაა, შეიძლება ითქვას, ძალიან შორსაც. პირველი რამდენიმე სერიის შემდეგ მუხტი ვარდება, რადგან სიუჟეტი არ მიჰყვება კონკრეტული პერსონაჟების ღრმა პიროვნულ განვითარებას, სასპენსი არასაკმარისია, დინამიკა კულმინაციისკენ არ მიგვაქანებს. პრობლემა ისაა, რომ პერსონაჟების სიმრავლიდან გამომდინარე, მთავარი გმირების ბადე პანორამის სახეს იღებს, სადაც ძნელია, ემოციური კავშირი დაამყარო მათთან, უთანაგრძნო და ბოლომდე ყურადღებით ადევნო თვალი მათი ბედის განვითარებას. ეს კარგად ჩანს თავად სერიალის ქუდში, ე.წ. ინტროში, რომლის გრაფიკული სტილი და მუსიკა პირდაპირ გვეუბნება, რომ დრამატული ისტორიის სანახავად კი არ უნდა მოვემზადოთ, არამედ მე–19 საუკუნის მიწურულის ტფილისის ხედებს ვუყუროთ, სადაც სხვადასხვა ჯურის ადამიანები ბუზებივით ირევიან; თან ამ ტფილისში ზოგან თანამედროვე ასფალტის ქუჩებს ვხედავთ და ზოგან ნაგვის ურნებს ე.წ. მუშტაიდის ბაღში, გაურკვეველ ნისლზე თუ სმოგზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელიც მუდამ თან სდევს ქალაქის ფართო ხედს.

ბევრი არ დამეთანხმება და სერიალ „სამეფო კარის თამაშებს“ შემახსენებს იმის ხაზგასასმელად, რომ კარგი დრამისათვის პერსონაჟების სიმრავლე სულაც არაა პრობლემა, მაგრამ აღნიშნულ სერიალს თითოეული პერსონაჟის ტკივილი და ისტორია უზუსტესად, დეტალურად მიაქვს მაყურებლამდე, აძლევს მას საშუალებას, აირჩიოს ფავორიტი და გააცნობიეროს მისი მნიშვნელობა ლამის გეოპოლიტიკური მასშტაბით, მიჰყვეს მის ცხოვრებას მინიმუმ იქამდე, სანამ ჯ. რ. რ. მარტინი არ გადაწყვეტს მის მოკვლას. „ტიფლისში“ არც ერთი ისტორია არ ვითარდება ნათლად, მსუყედ. სცენარი უბრალოდ არ იძლევა მსჯელობის და კამათის საშუალებას. ავტორები, სამწუხაროდ, ვერ გვაწვდიან ერთ დასამახსოვრებელ ფრაზასაც კი, რომლის ციტირებასაც მოვახდენთ მეგობრებთან, თანამშრომლებთან ან სოციალურ ქსელებსა თუ ფორუმებში. სერიალში იმდენჯერაა „ქალაქი“ გაპიროვნებული, რომ ზოგჯერ მთავარ პერსონაჟად სწორედ ტფილისს ვხედავთ – ქალაქს, რომელშიც უამრავი უბედურება ხდება, მაგრამ არც ერთი არ მიდის მოქალაქეთა გულებამდე. სწორედ ამ პრობლემას ქმნის ქალაქისა და სიუჟეტის პანორამიზაცია.

პერსონაჟებიდან, რა თქმა უნდა, მივდივართ მსახიობურ ოსტატობამდე. მათ მეტ-ნაკლებად ვენდობით, ნამდვილად არ გვაგრძნობინებენ კამერის არსებობას, მაგრამ სადაც გვაქვს გიორგი გიორგანაშვილის „სისოდ“ გარდასახვის მშვენიერი მაგალითი, იქვე ელდას გვცემს ჟანდარმები „გიგო“ და „მორდეხიჩი“, რომლებიც თითქოს დოდო აბაშიძისა და მისი სათამაშო ჯარისკაცების რეპლიკაციაა „ვერის უბნის მელოდიებიდან“, მაგრამ ღიმილის მომგვრელიც კი არაა. ესაა საშინელი მაგალითი „ვარდისფერი პანტერის“ და მისი მსგავსი სულელი პოლიციელების კინო-კლიშესი, რომელთაც უბრალოდ არაფერი ესაქმებათ დრამატულ სერიალში. გარდა ამისა, პერსონაჟების ლექსიკა ხშირად არ განსხვავდება ერთმანეთისგან – ერთ ეპიზოდში ტყეში გავარდნილი ლუკა ამბობს: „სამზარეულო ფრანგული, ყავა ოსმალური, იარაღი გერმანული, რამე დარჩა ქართული?“, მეორეგან კი პროკლამაციების ავტორი ინტელექტუალი ჩივის „ყველანი თუ წავედით ამ ქვეყნიდან, აქ ვინღა დარჩება“, – თანაც ამ აზრებს დღესაც გადავაწყდებით ნებისმიერ ქუჩასა თუ ორღობეში, რაც თავისი სტერეოტიპული სტილით ჩამოშორებულია დისტინქტურობასა და ინტელექტუალურ საზომს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეროვნული მოტივები ისევ მოკლებულია განსჯას, ახლებურ პლანში განხილვას, კამათს, მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ თურმე დამოუკიდებლობისთვის იარაღი გვინდა, მაგრამ ამ იარაღს ჭკვიანური მოხმარება სჭირდება, თანაც აჯანყებულებს გეგმა არ აქვთ, ტყვია რომ გავარდება, თურმე ხალხიც

მერე აჰყვებათ და საქართველოს ხსენებას მუდამ სენტიმენტალური მუსიკალური აკომპანიმენტი უნდა ერთვოდეს თან.

ნაძალადევი დიალოგების გარდა, პირველ ორ ეპიზოდში გადაჭარბებულადაა გამოყენებული მუსიკაც და იგი ზოგჯერ მთავარი გმირების საუბარს ფარავს, თუმცა მომდევნო ეპიზოდებში ეს გამოსწორებულია. ის რაც ვერ დაიფარა, ესაა რამდენიმე ისტორიული უზუსტობა. არ ვფიქრობ, რომ პერსონაჟებს ზუსტად ძველი ეპოქის ენით უნდა ელაპარაკათ; არც იმის წინააღმდეგი ვარ, რომ საქართველოს და უკრაინის ბედის თანაგანცდის გადატანა მომხდარიყო მე-19 საუკუნეში, არც ის ქმნის პრობლემას, რომ მეეტლე იმავე დამღლელ და უინტერესო ამბებს ჰყვება, რასაც დღევანდელი თბილისელი ტაქსისტები. მაგრამ სერიალის შემქმნელებმა „ჟიულ ვერნის ეფექტი“ გადაჭარბებულად გამოიყენეს და მომავლის გამოგონებანი საკმაოდ მოუქნელად ჩართეს სერიალში. ერთ ეპიზოდში ზაზა კოლელიშვილის პერსონაჟი აღნიშნავს: „სიზმარში ხომ იმას ვხედავთ, რაც ჩვენს ქვეცნობიერშია“, – ეს კი ზიგმუნდ ფროიდის შეხედულებაა, რომელმაც წიგნი, სახელწოდებით „სიზმრების ინტერპრეტაცია“, მხოლოდ და მხოლოდ 1899 წელს გამოსცა, მაშინ როცა სერიალის სიუჟეტი რამდენიმე წლით ადრე 1895 წელს ვითარდება. ასევე ერთ ეპიზოდში გამომძიებელი სისო დამნაშავეების მიმართულებით ისვრის მის მიერ მომზადებულ მოლოტოვის კოქტეილს, რომელსაც სისოს კოქტეილად მოიხსენიებს, არადა აღნიშნული ასაფეთქებელი საშუალება 1936-1939 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომამდე არ ყოფილა გამოყენებული.

რა არის შესაცვლელი ახალი სეზონიდან სერიალში? ჩვეულებრივ, ყოფით საუბარს მუსიკა უნდა ჩამოშორდეს. პერსონაჟების ფსიქო-პორტრეტები დასახვეწია, სცენარი კი მთლიანად რევოლუციას საჭიროებს.

რა არის შესაცვლელი ახალი სეზონიდან სერიალში? ჩვეულებრივ, ყოფით საუბარს მუსიკა უნდა ჩამოშორდეს. პერსონაჟების ფსიქო-პორტრეტები დასახვეწია, სცენარი კი მთლიანად რევოლუციას საჭიროებს. თუ საქართველოს ბედზე საინტერესოს ვერაფერს გვთავაზობს და უკვე ფურცელზე დატანილი ქართველი მწერლების აზრების გადმოცემაც არ უნდა რეჟისორს, სჯობს, დამოუკიდებლობის თემატიკა გვერდით გადადოს. მზის ენერგიაზე მოსაუბრე ჟურნალისტი საკმარისია, ხოლო ის, რაც ქართველებს არ გამოუგონიათ, ჯობს, ასევე გვერდზე გადავდოთ ჟანდარმერიის „იუმორისტულ“ ჩანართებთან ერთად. GDS-ს სერიალების პროდუსერთა და კრეატორთა კიდევ ერთი დიდი ნაკლი ისაა, რომ თითქმის პარალელურად მიმდინარე სერიალებში მსახიობების რეკრუტირება ხდება ერთიდან მეორეში, ეს კი ნაკლებად მომგებიანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე წამყვან როლებს ეხება.

საბოლოო ჯამში, აღნიშნული სერიალების და სხვა სამომავლო პროდუქციის წარმატება მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მოახერხებს GDS დამოუკიდებელ, კომერციულ ერთეულად ჩამოყალიბებას, რომელიც კონკურენციასა და ქართული პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანაზე იქნება ორიენტირებული.სხვა შემთხვევაში, „შეცდომებზე სწავლა“ და „განვითარება“ უბრალოდ ცარიელ ტერმინებად დარჩება. ⣿

ქალები (სა)ზღვარზე

[ნინო კალანდია]

წყლის ძალას ყველა ვაღიარებთ. წყლის ნაპირზე სიცოცხლე იწყება. ადამიანი ცდილობს, წყალთან ახლოს დასახლდეს, თუმცა წყალს სიცოცხლის წაღებაც შეუძლია. წყალზე გადებული ხიდი ორ ნაპირს აკავშირებს, ან კონფლიქტის ზონაში წყალგამყოფად იქცევა.

მდინარე ენგური დასავლეთ საქართველოში მოედინება, სათავეს მყინვარ ენგურზე იღებს და სწორედ აფხაზეთის ე.წ საზღვარს მიუყვება. უკვე ორ ათეულზე მეტი წელია, ეს წყალი აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილ ქართველებს ჩახერგილი გზის გადალახვაში ეხმარება. ეს ჰგავს ცურვას, რომელიც აგერ უკვე წლებია, უსასრულოდ გრძელდება და, ძირითადად, ეს წყალი ქალების ისტორიებს ინახავს – მათ ამბებს, ვინც გადაადგილებაში მამაკაცებზე ნაკლებად შეზღუდულები არიან, წყალს უფრო მიჩვეულებიც და წყლის იმედზე მყოფნიც. ენგურის ხიდი მათ წარსულსა და აწმყოს აკავშირებს, იმას, რაც ოდესღაც ჰქონდათ, ახლა არ აქვთ, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და ახალი ცხოვრების გზა ენგურის წყალშივე გადის.

ჟურნალისტისა და რეჟისორის ანუნა ბუკიას დებიუტი, დოკუმენტური ფილმი „ქალები, რომლებიც ცურავენ“ სწორედ ენგურის წყლის ორივე ნაპირზე მიმდინარე მოვლენების ასახვაა, ადამიანური ისტორიებით, რომელთა ყოვედღიურობა ენგურის ხიდზე გადის: საარსებო მინიმუმისთვის, ახლობლების მონახულების, ჯანმრთელობის და ცხოვრების გაგრძელების სახელით.

ფილმის იდეა ანუნას მისი მეგობრის ქცევამ მიაწოდა, როდესაც ისინი ერთად სეირნობდნენ სვანეთში, ენგურის ნაპირზე.

„ენგურის ნაპირს გავუყევით. რაღაც მომენტში დავინახე, რომ ჩემი მეგობარი წყლის პირზეა, ზის და ელაპარაკება წყალს: „ჩემო წყალო, ჩემი ეგნური ხარ, არ მიღალატებ, მომეხმარები“. ეს წყლის შელოცვა ძალიან ემოციური იყო. დავიწყე ამ აზრის მომწიფება, ფიქრით მივედი საზღვრთან და ქალებთან, რომლებიც ენგურს სახლებამდე მიჰყვებიან“.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ 2015 წელს სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოების დასაფინანსებლად გამოცხადებული კონკურსის გამარჯვე-

ბულები 29 აპრილს გამოვლინდნენ. ანუნა ბუკიას ფილმი შერჩეული 10 პროექტიდან ერთ-ერთი იქნება, რომლის პროდუსერიც თინათინ ყაჯრიშვილია. ფილმის გადაღებები კონფლიქტის ზონაში, საზღვრისპირა სოფელში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის რეჟისორს ძირითადი მასალა გადაღებული აქვს, თუმცა პროცესი, რომელიც კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების ისტორიას ასახავს, მანამდე გაგრძელდება, სადამდეც იქნება კონფლიქტი, რადგანაც თითოეული დღე იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რამდენადაც განსხვავდება:

„ეს ადამიანები შინაგანად უკვე მიეჩვივნენ, რომ რაღაც რთულდება... რთულდება და ყოველთვის პოულობენ გასასვლელს. იქ გავაცნობიერე, თუ რამდენი სიმძიმის, შრომის, ჯაფის გადატანა უწევს ამ ხალხს, ეს არის თვითგადარჩენისთვის ბრძოლა“.

გადამღები ჯგუფი ზაფხულში სოფელ ხურჩაში ცხოვრობდა, რათა იქაურ მოსახლეობას ბარიერი არ შექმნოდა. დოკუმენტური ფილმის სპეციფიკიდან გამომდინარე, საჭირო იყო ადამიანების მაქსიმალური ნდობა, რათა კამერას არა წინასწარ დაყენებული და მომზადებული, ფასადური რეალობა გადაეღო, არამედ ის, რაც ახლა და ამ წუთას იქ ხდება.

„კონფლიქტურ ზონაში მუშაობა ურთულესი პროცესია, სულ სხვა ტემპია, სხვა თავდაცვის საშუალებები და პასუხისმგებლობა; დოკუმენტური ფილმისთვის რესპოდენტების გახსნა ისედაც რთულია, ხოლო როცა ადამიანის სიცოცხლე დევს სასწორზე, მისი კონკრეტული მოსაზრების ან თუნდაც ერთ კადრში გამოჩენის გამო – ორმაგად რთულდება. მუდამ გაფიქრებს მათი უსაფრთხოების საკითხი, რადგანაც მე ფილმს გადავიღებ და წამოვალ, ისინი კი იქ რჩებიან, მათი ცხოვრება იქ გრძელდება. ამიტომ, სულ ვფიქრობდი იმაზე, რომ არ ჩამედინა რაიმე, რაც ხვალ პრობლემას შეუქმნიდა მათ. არაფერი მიღირს ამად.

ადგილი სავაჭრო-ეკონომიკურ ზონად არის ქცეული – ბევრი სავაჭრო ობიექტით, ხშირ შემთხვევაში, ეს არალეგალური გარიგებებია. ამის გამოც, გადამღების მიმართ აგრესია აქვთ, არ სურთ კამერით გადაღება და გაშუქება. თუმცა იმასაც ხვდები, რომ ამ ადამიანებს არჩევანის უფლება არ აქვთ, სოციალურმა პრობლემებმა აიძულა ისინი იმ გარემოს და სიტუაციას მოერგონ და იმოქმედონ ისე, როგორც ყოვედღიურობა კარნახობთ“.

ანუნა ბუკიას ობიექტივი ასახავს საზღვარზე მცხოვრები ადამიანების ისტორიას. ისინი რუსი ჯარისკაცების ბლოკპოსტს ყოვედღიურად საკუთარი სახლის ეზოდან უყურებენ. ეს ადამიანები ომში დღემდე არიან ჩართულები, რადგანაც მათთვის კონფლიქტი ყოველდღიურობაა; მათთვის არაფერი

დასრულებულა, ყოველი ახალი დღე ომის პირველი დღის შეხსენებაა.

„ბევრი მათგანი არ იღებს იმ აფხაზურ-რუსულ საბუთს, რომელსაც არიგებენ, იმ მოტივით, რომ რაც უფრო მეტი იქნება ამ საბუთის მფლობელი, მით ნაკლები იქნება საქართველოს მოქალაქე იმ ტერიტორიაზე, ამიტომაც ურჩევნიათ, ჩუმად იმოძრაონ საზღვარზე და დარჩნენ შეუმჩნეველნი“.

ფილმის ცენტრალური ხაზი ერთ კონკრეტულ ოჯახზე გადის, რომლის წევრები აფხაზეთიდან არიან და ამჟამად თბილისში ცხოვრობენ, თუმცა ყოველ ზაფხულს კონფლიქტის ზონაში ჩადიან და საზღვარს კვეთენ.

„ამ ოჯახს, სხვების მსგავსად, ძალიან ბევრი დილემა აქვს; მიჩვეულები არიან პატარა სივრცეს, ამხელა ქალაქი, ამ ტემპით და მოთხოვნებით მათთვის ახალია, ბევრი რამის სწავლა უწევთ, კომუნიკაციის თავიდან დაწყება. სამი შვილიდან ორი უკვე სტუდენტია, ერთი სკოლას ამთავრებს. ამ ოჯახს მუდამ თან ახლავს ერთგვარი რომანტიზმი, რომელიც მამისგან დაჰყვებათ – მისი ლტოლვა ბუნებისადმი, ლიტერატურისადმი შვილებშიც ვლინდება. მამა ცდილობს, დათრგუნოს პრაგმატიზმი თავის გარშემო და შვილებს რაღაც იდეალისტური შთაუნერგოს. დედა კი ხიდი და ფარია, რომელმაც რაღაც მანქანებით შვილების უზრუნველყოფა, მათთვის განათლების მიცემა და მომავლის დასახვა შეძლო. როდესაც ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს ვუყურებთ, რომელიც საოცრად ასრულებს ჯენის ჯოპლინის სიმღერებს და ამჟამად ცნობილ ბენდში მღერის, რთულია წარმოიდგინო, რა გზას გადის კონფლიქტის ზონამდე, მერე იქ გადასვლისა და უკან დაბრუნებისას. ეს იქნება ფილმი იმაზე, თუ როგორ ჩამოაყალიბა ეს ადამიანები მათმა ისტორიამ“.

მთვარი კი, რასაც ანუნა მაყურებელს არ შესთავაზებს, იქნება სენტიმენტალური ისტორია აფხაზეთიდან – ისტორიები, რომლებიც ბევრჯერ მოგვისმენია და გვინახავს.

„მე თავად ვარ აფხაზეთიდან და მჯერა, რომ თუ ამ ისტორიების გააზრება გვსურს, სხვადასხვა კუთხიდან უნდა შევხედოთ მათ. პირიქით წარმომიდგენია, ეს არის საოცარი ისტორია ადამიანების, რომლებიც არიან დაუსრულებელ ომში შესულები და ამ ვითარებაში ისწავლეს თვითგადარჩენა. თავად ეს 20 წელი იქცა უკვე მორევად და ამ დინების საწინააღმდეგოდ ცურავენ ფილმის გმირებიც. ენგური არის დამცავიც, საფრთხის შემცველიც, დამაკავშირებელიც და საზღვარიც. ენგურის ტემპზეა მათი ცხოვრება აწყობილი – ხან შრება და მოწანწკარებს, ხანაც ისე ადიდდება, რომ კეტავს გზებს. ბევრი აქვთ სათქმელი და ახლა აქვთ მდუმარების პერიოდი; ვფიქრობ, ესეც ასახვაა, დაიღალნენ და დადუმდნენ, ეს უნდა გადამეღო“. ⣿

თინას კინო

[მაკა კევლიშვილი]

დასაწყისი – საღეჭი რეზინი „პედრო“

არცთუ ისე ხშირია, თუმცა, ბოლო დროის სიახლეების გათვალისწინებით, თანამედროვე ქართული კინოს, მით უფრო ქართული დოკუმენტური კინოს ისტორიის ფურცლებზე იმ ქართველ რეჟისორთა გვარები იწერება, რომლებმაც მრავალ საერთაშორისო პროექტსა თუ ფესტივალზე დიდ წარმატებას მიაღწიეს. ქართველი რეჟისორი თინათინ გურჩიანი ამ ისტორიის განსაკუთრებული ნაწილია. კინოწარმატება მის ცხოვრებაში ბავშვობაში, 7-8 წლის ასაკში დაიწყო. თანაკლასელთან დადებული „ნიძლავი“, 100 საღეჭ რეზინ „პედროზე“, რომ ის აუცილებლად კინორეჟისორი გახდებოდა, მოგებული აქვს. იმის სურვილიც, რაც მის გარშემო იყო – ცხოვრება და რეალობა – ყველაფერი კინოდ ექცია, სწორედ ბავშვობიდან იღებს სათავეს. თბილისში დაბადებული რეჟისორი, 19 წლის ასაკში სასწავლებლად გერმანიაში მიდის და ბაბელსბერგის კინოაკადემიაში, მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურის სპეციალობით, კინოსარეჟისორო ფაკულტეტს ამთავრებს. „დაახლოებით ოცი წელია, ამ ორ ქვეყანას შორის ვმოძრაობ და თავს ორივეგან სახლში ვგრძნობ.“

თინათინ გურჩიანის ფილმმა „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ ძალიან მოკლე ვადაში საფესტივალო ჩვენებებისა და გამარჯვებების უპრეცედენტო რაოდენობას მიაღწია. საერთაშორისო კინოასპარეზზე „კარგ სავიზიტო“ ბარათად ჩაფიქრებულმა დოკუმენტურმა სურათმა, 13 პერსონაჟითა და 13 „ნატურალური“ ამბით, მსოფლიოს უამრავი ფესტივალის ჟიური და მაყურებელი მოხიბლა.

ნიონი, ამსტერდამი, სანდენსი...

რეჟისორის კიდევ ერთი პროექტის წარმატებული დასაწყისი დიდ ინტერესს იწვევს და მოლოდინებს ამძაფრებს. „ნიონის დოკუმენტური კინოს ფესტივალი ათწლეულების მანძილზე საავტორო კინოს უმნიშვნელოვანეს კინოფესტივალად ითვლებოდა. როდესაც გავიგეთ, რომ ის ქართულ კინოზე ფოკუსს ამზადებდა და ახალ პროექტებს ეძებდა საქართველოდან, გადავწყვიტეთ, ჩვენი წვლილი შეგვეტანა ქვეყნის ღირსეულად წარმოსაჩენად. ჩვენი პროექტი საუკეთესოდ ცნეს. ამის შემდეგ უკვე დაფინანსება მივიღეთ ამსტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალის იდფა-ბერტა ფონდისგან (IDFA-Bertha Fund), ამ თვეში პასუხს ველოდებით სანდენსისგან და სხვა ფონდებშიც ვაპირებთ შეტანას. ARTE-სთან შეთანხმება უკვე მიღწეული გვაქვს“. მიუხედავად იმისა, რომ პროექტს მსხვილი საპროდუსერო კომპანიებიდან კოპროდუქციის შეთავაზება აქვს, რეჟისორი და ჯგუფი საბოლოო თანხმობას არ იძლევა. ამით ცდილობენ მინიმუმამდე შეამცირონ სხვა ქვეყნებისა და სხვა პარტნიორების პროექტში მონაწილეობის რიცხვი, რათა ეს ავტორთა საბოლოო უფლებებზე არ აისახოს. შემოდგომის ბოლოსთვის რეჟისორი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.



ფოტო: ხათუნა ხუციშვილი

გმირები

„სიყვარული და ეროტიკა, მოგონებები, რომლებიც ცხოვრების საღამოს ჟამს გვრჩება“, – ასე ახასიათებს თინათინ გურჩიანი ახალი ფილმის „სატრფიალო. პასტორალის“ თემას და აღნიშნავს, რომ ფილმში გამოყენებული იქნება სიყვარულის თემაზე შექმნილი ქართული ფოლკლორი და სპეციფიკური ეროვნული სასიყვარულო ტრადიციები. საინტერესოა, რომ ფილმის გმირები მოხუცები იქნებიან.

პერსონაჟებისადმი რესიჟორის განსაკუთრებული დამოკიდებულება ახალი არ არის, ეს მის წინა ფილმშიც კარგად ჩანს („მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“). „როდესაც დიდი ხნის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი, ჩემი პირველი მხატვრული ფილმის მოსამზადებლად, აღმოვაჩინე, რომ სახეები, რომლებიც ჩემს ირგვლივ იყო, სხვა ინფორმაციას ინახავდა, სხვა ისტორიებს ჰყვებოდა, ვიდრე ჩემი ჩაფიქრებული ფილმები. ამიტომ გადავწყვიტე, გამეკეთებინა ფილმი რეალური ადამიანების რეალური ისტორიებით, ფირზე გადმომეტანა „მათი“ კინო. გამოვაცხადეთ ქასთინგი, რომელზეც მოვიწვიეთ ყველა, ვინც თვლიდა, რომ მათი ცხოვრება, მათი ისტორიები, მათი ყოფა „კარგ კინოს“ გააკეთებდა.“ გადამღები ჯგუფის დიდმა პასუხისმგებლობამ ფილმის გმირების მიმართ, რომლებიც თავიანთი ცხოვრების გასაზიარებლად რეჟისორის კამერის ობიექტივში მოექცნენ, თავისი შედეგი გამოიღო... ისინი 150 ქვეყნის მაყურებელმა გაიცნო. „გადაღების პროცესშივე ვხედავდით, რომ ძალიან ემოციური მასალა გვიგროვდებოდა, რომელიც გულგრილს არც ერთს არ გვტოვებდა. ჩვენი გადამღები გუნდის წევრები გერმანიიდან იყვნენ და ქართული ენა არ ესმოდათ, მაგრამ ისინი უსიტყვოდაც ზუსტად გრძნობდნენ „კარგ“ და ავთენტურ გმირებს და მათ ემოციებს. ამით უკვე გადაღების პროცესშივე იტესტებოდა ჩვენი მასალა „უცხო“ მაყურებელზე.“

„სატრფიალო. პასტორალიც“ ელის თავის გმირებს...

პროცესი დაწყებულია; როგორც მაშინ, რეჟისორი ფილმის გმირების ქასთინგის გამოცხადებას რეგიონული და ცენტრალური მედიასაშუალებებით აპირებს. სექტემბრის ბოლო კვირაში გადამღები ჯგუფი გერმანიიდან ჩამოვიდა და ფილმის პირველი ნაწილის გადაღებაც დაიწყო. რეჟისორის გათვლით, გადაღებები ზაფხულში უნდა დასრულდეს.

იდეა

თინათინ გურჩიანის ინსპირაცია ცხოვრებიდან მოდის. ნამდვილი გმირებითა და ისტორიებით შექმნილი ფილმები მისთვისაც და მაყურებლისთვისაც, რეალურ პერსონაჟთა სახეების, გრძნობებისა და ემოციების გამოხატვას ემსახურება. „მიუხედავად იმისა, რომ განცდილიდან იბადება ფილმები, არასდროს მინდება, ჩემს პირად ცხოვრებაზე მოვყვე, ჩემი კონკრეტული პირადი ისტორიები გადავიტანო ეკრანზე, რამდენადაც საინტერესო უნდა იყოს ისინი. არ მიყვარს, როდესაც ქალ რეჟისორთა ფილმებში მათი კონკრეტული ბიოგრაფიები იკითხება“.

მიუხედავად იმისა, რომ ფილმის სცენარი გადაღების პროცესში არ არსებობს, მისთვის, როგორც რეჟისორისთვის, დოკუმენტური კინოს ხიბლი, ავანტიურა და ამავდროულად, სირთულეც სწორედ ამაშია. „ყოველი სცენა ერთგვარი მოგზაურობაა, რომლის ფინალიც წინასწარ არ ვიცი. საფინალო ვარიანტი ბევრია, ისევე როგორც ცხოვრებაში. მთლიანი ფილმის ხედვა, ფორმა და სტრუქტურა ყოველთვის წინასწარ მაქვს, მაგრამ მისი ცალკეუ-

თინათინ გურჩიანის ინსპირაცია ცხოვრებიდან მოდის. ნაძვილი გმირებითა და ისტორიებით შექმნილი ფილმები მისთვისაც და მაყურებლისთვისაც რეალურ პერსონაჟთა სახეების, გრძნობებისა და ემოციების გამოხატვას ემსახურება.

ლი ელემენტები და ემოციური შეფერილობა, განწყობა, სიმძაფრის ხარისხი უკვე გადაღების პროცესში თვითონ გმირების ცხოვრებას და მომხდარ მოვლენებს მოაქვს. საბოლოო შედეგი ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა.“

რეჟისორის აზრით, იდეასა და დრამატურგიასთან ერთად, იმისთვის, რომ დოკუმენტური კინო ეკრანებზე გადიოდეს და ფართო მაყურებლის გულამდე მიაღწიოს, შესაბამისი ხარისხიც აუცილებელია. ამისათვის კი შესაბამისი დაფინანსებაა საჭირო. „მე კატეგორიულად არ ვეთანხმებით ეროვნული კინოცენტრის სტრატეგიას, რომელიც დოკუმენტურ და მხატვრულ კინოს გადაღების სირთულისდა მიხედვით განასხვავებს და დოკუმენტური კინოს თითო პროექტზე მხატვრული კინოპროექტის დაფინანსების მაქსიმუმ ერთ მეათედს გასცემს, უმეტეს შემთხვევაში კი – ნაკლებსაც. ჩემი აზრით, ეს კარგ შედეგებს არ მოუტანს ქართულ დოკუმენტურ კინოს, რომელიც განვითარების ისედაც არცთუ ისე მაღალ საფეხურზეა. დოკუმენტურ კინოს, თავისი გმირებისა და ისტორიების ავთენტური ემოცურობით, დრამატურგიისა და სტილისტურ ხერხთა მრავალფეროვნებით დღეისათვის გაცილებით მეტი შეუძლია, ალბათ მხატვრულ კინოზე ბევრად მეტიც კი.“ ამის შექმნა მხოლოდ რეჟისორების საინტერესო იდეების, ინიციატივებისა და შესაძლებლობების თანაფარდობით არის რეალური. მაშინაც კი, როცა სამივე მათგანის ერთობლიობას მესამე კომპონენტი – შესაძლებლობა – აკლია, ახალგაზრდა რეჟისორები, თინათინ გურჩიანის მსგავსად, მოტივაციითა და დიდი ენთუზიაზმით ქმნიან წარმატებულ ფილმებს.

ფიცი

თინათინს ფიცი აქვს დადებული. ჯერ კიდევ ბავშვობაში, როდესაც ყველა მოვლენა და ყველა წიგნი, რომელიც მასზე ემოციურად დიდ ზეგავლენას ახდენდა, უნდოდა კინოდ ექცია, დებდა ფიცს, რომ აუცილებლად მოახერხებდა მათ კინოდ გადაქცევას. ზოგიერთი ასეთი ფიცი ფიცად დარჩა, თუმცა არის ისეთები, რომლებსაც ჯერ კიდევ ინახავს. თომას მანის „სიკვდილი ვენეციაში“ ამ მოვლენის ერთი საინტერესო ნაწილია. ბავშვობაში ფიქრობდა, რომ ამ ნაწარმოების მისეულ ვერსიას შექმნიდა და მხოლოდ შემდეგ ნახავდა ვისკონტის ნამუშევარს. დრო გავიდა, „შემდეგ ამ ნაწარმოებმა ჩემთვის აქტუალობა დაკარგა, მაგრამ ის ფილმი დღემდე არ მინახავს. ფიცი ფიცია...“ ⣿

ჩემი ვინილ

(ნინო კალანდია, ილუსტრაცია თათია ნადარეიშვილი)

5 გრძ

You never close your eyes any more when I kiss your lips
And there's no tenderness like before in your fingertips
You're tryin' hard not to show it, baby
But baby, baby I know it
You've lost that lovin' feelin'
Whoa that lovin' feelin'
You've lost that lovin' feelin',
Now its gone, gone, gone whoaohoh

ამ პერიოდში ბრიტანული სატელევიზიო სერიალის Black Mirror-ის გავლენის ქვეშ ვარ და ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარება მაფიქრებს, სამყარო ჩემს თავლწინ ყოველდღიურად იცვლება. სპეცპროექტის, „5 გრძნობა“, იდეაც ფილმის შედეგად აღმოცენებული შეგრძნებებიდან გაჩნდა...

თუ ინდივიდს შეგრძნებების დონემდე დავშლით, საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს ამას კინო: 5 ავტორსა და მათ ესსეებს სპეცპროექტი აერთიანებს, თითოეული მათგანი კინოსა და იმ ერთ გრძნობაზე გიამბობთ, რომელიც მათი მეხსიერებისთვის შეგრძნებების დომინანტია. ასახავენ იმას, რასაც ხედავენ, ესმით, აგემოვნებენ, ეხებიან და ამახსოვრდებათ.

ამ წუთებში სიმღერას ვუსმენ, რომელიც სიყვარულის შეგრძნების შესაძლო დაკარგვასა და იმაზეა, თუ როგორ ნელა ილევა ის. ამბობენ, სიყვარული 5 ძირითად შეგრძნებას აერთიანებს, აერთიანებს და უგულებელჰყოფს, დიახ, იღებს – აერთიანებს უარყოფს. სწორედ ამას უწოდებენ ბრმა სიყვარულს, არც ერთ შეგრძნებას რომ არ აღიარებს.

კინომ ადამიანის და მისი, შესაძლოა, მთავარი, აუხსნელი გრძნობის – სიყვარულის ეკრანზე გადატანა სცადა. ხუთი შეგრძნება კინოში ეტაპობრივად ჩაერთო, ზუსტად ისე, როგორც ნამდვილი სიყვარულისას ხდება; პირველად მატარებელი შემოვარდა, თვალმა დაინახა და შეეშინდა, შემდეგ თვალთან ერთად ხმაც ჩაერთო, მუნჯი კინო კი ნოსტალგიურ წარსულს დარჩა; ახლა კინოთეატრებში სპეციალური ფირფიტების დარიგებაც დაიწყეს, რომლზეც ხელის გასმით ეპიზოდებში სხვადასხვა სუნის აღქმა შეგიძლიათ;



ნოგე

კინოს ჯერ არ აქვს საშუალება, გემოები გაგასინჯოთ, თუმცა, შესაძლებელია, ამ შეგრძნებას სწორედ მაშინ ვიყენებთ, როცა კარგი ფილმის ნახვის შემდეგ მისი გემო დიდხანს მიგვყვება – მოდით, ამას რეცეპტორის მეხსიერება ვუწოდოთ.

სულ რამდენიმე წელიწადი დარჩა იქამდე, ვიდრე კინოსამყაროში შეხების შეგრძნება ჩაერთვება. ზუსტად ვიცი, რომ ეს დრო დადგება და ისიც ვიცი, რომ ამას ნამდვილად მოვესწრები. ეს იქნება შოკი თითოეული ჩვენგანისთვის, ხოლო ბუნებრივი მოვლენა – ჩვენი შვილებისთვის. ისინი შეძლებენ მთვარი გმირის კანს შეეხონ, შესაძლოა დასწრების ეფექტი იმდენად მაღალი იყოს, რომ თქვენ ფილმის გმირიც კი გახდეთ, თქვენთვის სპეც სცენარიც დაიწერება, შეძლებთ ჩაერთოთ და იმოქმედოთ. კინო შეძლებს დაიტიოს ყველა შეგრძნებითი სიმულაცია. მაგრამ ყველაზე მთავარი ის მომენტი იქნება, როდესაც კინოეკრანიდან გმირი გადმოვა; დიახ, შეხვალთ დარბაზში, მოკალათდებით ეკრანის წინ, გახსნით გამაგრილებელ სასმელს, მოიმარჯვებთ ბატი-ბუტის ყუთს და ჰოპ, მოშიებული პერსონაჟი ჩაყოფს ხელს თქვენს ბატი--ბუტიან ყუთში. მოდით და, მოულოდნელობისგან წონასწორობას ნუ დაკარგავთ? ამ დროს შიშით, მოულოდნელობით, სიხარულით თუ ნებისმიერი სხვა გამღიზიანებლით გამოწვეული ვესტიბულარული აპარატის დისფუნქცია წამიერია: აქროლდებით და დაეშვებით... წონასწორობის შეგრძნება, რომელიც სწორედ ვესტიბულიარული აპარატით იმართება, სივრცეში ორიენტაციას და მდგრადობას უზრუნველყოფს. მეცნიერები დღემდე დავობენ, შეიძლება თუ არა ის ადამიანის ძირითად შეგრძნებებში ჩათვალონ.

თუ შეყვარებულობის პერიოდში თქვენზე იტყვიან რომ დაფრინავთ, ანუ მიწაზე მყარად არ დგახართ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სიყვარულმა ყველა ის ბარიერი დაძლია, რომელიც სხვა შეგრძნებამ ვერ შეძლო; ხოლო თუ თქვენი სიყვარული ხელიდან სათითაო შეგრძნებებად გეცლებათ, ეცადეთ, მყარად დადგეთ ფეხზე და სივრცეში სიმძიმის ცენტრი სწორად გაანაწილოთ; გახსოვდეთ, რომ სამყარო იცვლება ყოველღდიურად და ამის ნახვა ღირს.

P.S. შეგიძლიათ იპოვოთ ეს სიმღერა. ის სიყვარულის დაკარგვას შეგრძნებების შეცვლით ასახავს: You've Lost That Loving Feeling

ხმა და ხმაური

[ნიკო ნერგაძე]

ერთი ამერიკელი მეგობარი მყავს, რომელიც ჰოლივუდში, ცნობილ კინოსტუდიაში მუშაობს ხმის რეჟისორად. საღამოს ვსვამდით, სიტყვას მოჰყვა და ვკითხე, – რომელ კინოს აქვს ყველაზე მაგრად ხმა გაკეთებული– მეთქი. კინო არ ვიცი, მაგრამ სცენას გეტყვიო, – მიპასუხა.

აქ ერთი წამით დავაპაუზებ და გამოგიტყდებით, რომ ის ტიპი ჩემი მეგობარი არ არის. ერთი ინტერნეტფორუმიდან ვიცი. არც დაგვილევია არასდროს, არც ვიცნობ საერთოდ და არც ის ვიცი, რა ჰქვია სინამდვილეში. მაგრამ, რაც წავიკითხე, ჩანდა, რომ თავისი საქმე იცოდა.

მოკლედ, ყველაზე მაგარი სცენა, ჩვენი საქმის კუთხით, მგონია, რომ არის ეპიზოდი „სოციალური ქსელიდან“, როდესაც კლუბში სხედან და ლაპარაკობენო. ფილმი კი მინახავს, მაგრამ, ცხადია, ის სცენა არ მახსოვდა და იუთუბზე ვნახე. ბევრი არაფერი ხდება – კლუბში სხედან ცუკერბერგი, მისი მეგობრები და ჯასტინ ტიმბერლეიკი და ლაპარაკობენ. ის ტიპი ასე ხსნიდა თავის არჩევანს, – ძალიან რთული გასაკეთებელია, რომ თან აჩვენო, რომ ხმაურიან ადგილას არიან, კლუბში, და თან ყველა სიტყვა გესმოდესო.

მე კი ის სცენა, როგორც გითხარით, სულ არ მახსოვდა, მაგრამ დავფიქრდი და მივხვდი, რომ ალბათ მართალი იყო. ხმა ბუნებრივი უნდა იყოს, ამიტომ მას მაშინ უფრო აქცევ ყურადღებას, როდესაც ცუდადაა გაკეთებული. ამიტომაცაა, რომ ნამდვილი პროფესიონალის ნაშრომი შეუმჩნეველი რჩება ხოლმე.

სამაგიეროდ, ძალიან კარგად ჩანს ხოლმე, როგორ იმუშავეს ფილმზე; ოღონდ, ტექნიკური წუნისთვის ხაზის გასმა, მგონი, ცუდ ტონად ითვლება. იცით, რამდენი ფილმი მინახავს, რომელიც თავიდან ბოლომდე გადახმოვანებულია და სიცარიელის შესანიღბად მუსიკა ადევს? მინიმუმ ხუთი, რაც ახლა გამახსენდა. ისე ალბათ მეტია.

არადა, პროფესიონალები საქართველოშიც არიან. ზოგი დილის 7 საათზე დგება, სიჩუმის ხმა რომ ჩაწეროს. ზოგჯერ მათაც აფასებენ.

უმეტესად კი მაინც ჰგონიათ, რომ ესენი ან ცოტა გიჟები არიან, ან კი ძალიან ატრაკებენ.

ახლა სრულიად საპირისპიროც ვახსენოთ – აი, ხმა რომ წინა პლანზე გამოდის და გულში გირტყამს; სიმღერა რომ კადრს შეერწყმება და ერთად რომ სულ სხვა რაღაც გახდება. აი, „კურსდამთავრებულში“ რომ საიმონის და გარფანკელის სიმღერებია. ქართული სიტყვა „დააკვდა“ მე მგონი, მაგისთვის მოიფიქრეს. ან „დონი დარკოში“ ის ტიპი Tears for Fears-ის სიმღერის ქავერს რომ მღერის. თან ისე, რომ აღარც არავის ახსოვს, რომ Mad World მაგისი არაა.

კარგი სიმღერა საშუალო ფილმსაც გადაარჩენს. გახსოვთ, მიშელ პფაიფერიანი Dangerous Minds? რა თქმა უნდა, გახსოვთ. ყველას ახსოვს. პროდუსერთან, ჯერი ბრუკჰაიმერთან ინტერვიუ წავიკითხე, სადაც იხსენებს, – როდესაც ფილმი ფოკუს ჯგუფებს ვაჩვენეთ, ყველა დაიჯღანა, – ეს რა სისულელე ვნახეთო. რა შეცვალეს ფილმში? ფილმში – არაფერი, უბრალოდ ქულიოს „განგსტას პერედაიზი“ დაადეს. ჰოდა, აჰა, ყველას ახსოვს ეს 1995 წლის მართლაც, უკეთეს შემთხვევაში, საშუალო ფილმი.

(ამასთან არაფერ შუაშია, მაგრამ ქულიოზე უნდა გითხრათ – რამდენიმე წლის წინათ, კონცერტის დროს გადაწყვიტა, ხალხში გადამხტარიყო, რომ, ხომ იცით, იმათ დაეჭირათ და ხელებზე გადაეტარებინათ. ოღონდ არავინ დაიჭირა. ქულიოც ძირს დაეხეთქა. ამ დროს ვიღაც ოხრები ეცნენ და ძვირიანი საათი და ძეწკვები შეხსნეს. ფეხსაცმელებიც კი მოპარეს. ეს ისე, ვიფიქრე, უნდა გცოდნოდათ.)

ქართულ ფილმებში ნაკლებად მახსენდება, რომ აი, – „დააკვდეს“ სიმღერა სცენას. საუნდტრეკებზე არ ვლაპარაკობ („ის აქ არის“ რომ მესმის ხოლმე, ახლაც მაჟრიალებს) და არც იმას ვამბობ, რომ ქართულ კინოში ძალიან ბევრი კარგი სიმღერა არ არის (ნეტა მუსიკალური ნიჭი მქონდეს – ეგრევე „მე და ჩემ ძველ ტყავის ჩანთას“ გავმიქსავდი). მაგრამ უმეტეს შემთხვევებში, ძველ ქართულ ფილმებში უფრო სასიმღერო ნომრებია ხოლმე, არა? ანუ, მოქმედება ჩერდება და სიმღერას ვუსმენთ. აი, მაინცდამაინც არ მახსენდება, მანამდე არსებული სიმღერის რეკონტექსტუალიზაცია რომ ხდებოდეს სადმე. (ყველა სტატიაში უნდა იყოს ერთი გრძელი, უცხო სიტყვა მაინც.)

ისე, უკვე ბევრი წელია, ქართული კინოსთვის აღარც კარგი სიმღერები იწერება. ერთი ნიაზის სიმღერა მახსენდება, მესამე ყარაბაღის საუნდტრეკი – ნინი ბადურაშვილი რომ მოულოდნელად სრულიად გადასარევ მისამღერს მღერის.

სხვა არ მახსოვს.

ოჰ, რამდენი სიყალბე გამოსჭვივის ხოლმე ქართველი მსახიობების აბსოლუტური უმეტესობის ხმებიდან. მძულხართ, გესმით? მძულხართ! ⣿

სინემა-სუნები

[გიორგი კეკელიძე]

ჯერ სალომე კიკალეიშვილი შემეხმიანა, მერე სადღაც ნინო კალანდია შემხვდა და დამიზუსტა, – ეგრე წარმომიდგენია, შენ კინოზე და სუნებზე უნდა დაწეროო; სურნელებაზე ანუ. გათვლა ეგეთი იყო, პარადოქსული საქმე მეწარმოებინა – ის, რაც იგრძნობოდა, მაგრამ წარმოდგენა შეიძლება.

ვეჭვობ, სულ ტყუილი მოლოდინი ჰქონდა ნინოს. ორჯერ შევხვედრივართ ნეიტრალურ ყავაზე და ინტელექტუალური კაცი ვგონივარ. ალბათ ასეთი წინადადები უნდა მეწერა: ბერტოლუჩის უდაბნოს ქვიშის სუნი მოაქვს, ქარის სუნი და სიცხის. აბა, სხვა რა არის, „ცის საბურველქვეშ?“ კიმ კი დუკი კიდევ თევზის ქერცლის სუნია. კუნძული. ნავები. თევზზე შორეულად გამახსენდა და „პოლინა პლაჟზე?“ ტალღების შეუმჩნეველ მარილში არეული სიტყვების სუნია რომერი. უაზრობა გამოდის? აბა, რა არის ეს გაუთავებელი დიალოგები. ყნოსვას გაგიუქმებს. გრინუეის მზარეული ხომ საერთოდ შემწვარი კაცის სუნს აყენებს და ჯობს, მეზობელი ოთახიდან უყურო. და ალმადოვარი, თუ ალმოდოვარი? თუ როგორ იწერება? ვიცი, რომ ამაზე ქართველი კინომცოდნეები დღემდე დაუნდობლად დავობენ. პედრო არის იაფი ბორდელის შესასვლელის სუნი – რეზინის, ჭუჭყიანი ფარდის და გზააბნებული სუნამოების. ბუნების სუნი გნებავთ? – რა თქმა უნდა, იასუძირო ოძუს უძირო ჩასუნთქვა გვიანდელ ყვავილებში. სინთეზური? რამე ზბიგნევ რიბჩინსკის. თეოდოროს ანგელოპულოსი. ნისლის ნოტიო სუნი. განუმეორებელი რამ. რადგან ბერძნებზე მიდგა საქმე, ამერიკაც გავიხსენოთ – კასავეტესი. ნიკი არა, ჯონი. სუნების მონაცვლეობა ჩრდილებივით. დაბნევა. სხვა ცხვირის მოთხოვნა. მაიკლ ლი? მაიკლ ლის სუნი არ აქვს. აი, ხომ მაგრად მივაყარე. თან დაგარწმუნეთ, რომ სხვანაირი კინოც ნანახი მაქვს, თან უნდა გითხრათ – სულ სხვა მიმართულებით წერას ვაპირებ.

„რაბინია იზაურას“ მიმართულებით. პირველი სუნები მანდ იყო. ოღონდ ეკრანიდან კი არა, „ფეჩიდან“. ბარბარიზმებით ვწერ, რადგანაც სუნსაც ბარბაროსული ეთქმოდა. დამწვარი ხაჭაპურის. თან ძროხა აღარ იწველიდა და შესაბმისად: ვაშლის ხაჭაპურის. ამაზე საშინელი არაფერი შეგეყნოსოთ. მაგრამ ცნობისმოყვარეობის სურვილი ხანდახან შიმშილსაც ძლევს. ამიტომაც ამოოხრვები თქვენ უფრო გეკუთვნოდათ იზაურა და ლეონსიო, ვიდრე ხაჭაპურს. დაე, ეს უკანასკნელი შურით ხელმეორედ დაიწვას.

„დვაოინოი უდარ“. ვან დამი. ეს არის მეზობლის გახურებული პრისტავკის სუნი. ძველია, რუსულია და მალევე უშვებს, მთელ ფილმს ეს სუნი გასდევს ყნოსვით საუნდტრეკად.

ახალი წლის სუნი – „ირონია სუდბი“ ანუ „გაამოთ“. ან „კუჩხი ბედინერი“. საგანგებოდ ვთქვათ, რომ ეს საერთოდ მკვლელი რამაა – არ იცი, საიდან მოდის. ჩვეულებრივი ზამთარია, ერთი რიგითი დღე, მაგრამ სუნი კი სხვა აქვს. ცაც სხვანაირია – ღრუბლიანი თუ უღრუბლო. საშობაო ღვეზლისა არ იყოს – ახლა ყველგან აცხობენ, მაგრამ იმ დღეს განსაკუთრებულია. ცხადია, განწყობის საქმეა, თუმცა მცირე ჯადოზღაპრობაც მგონია.

კუბრიკის „ფართოდ დახუჭული თვალები“ პირველ კურსზე ვარ თუ სადღაც ახლო-მახლო, და ის დროა, მასონები და დობროლუბოვი და როზენკრეიცერები და ლოჟები და ორგიები და სხვა მისთანანიც. ეს ფილმიც ამაზე გვეგონა და მთელი სამეგობრობო ვუყურებდით, ვითარცა ჩვენი მომავალი მოქმედების ერთგვარ ინსტრუქციას. ამ ფილმს მდარე ლუდის სუნი და მიწის თხილის სუნი აქვს, და სავარაუდო მსოფლიო მართვისას მონახვეჭი ვირტუალური მილიონებისაც.

ზოგჯერ პოპ-კორნის სუნიც შეიმჩნევა. აი, მეგობარი წავა და ხათრით გაყვები. მრავლტანჯული დი კაპრიო, რეპი და ფიცჯერალდის გაბახება. აქ უკვე პოპ-კორნი ხდება მთავარი და ვინმე საინტერესო თუ ზის უკან, თვალის პერიოდული გაპარება.

არის ფილმები, რომელთაც ლოგინის თეთრეულის სუნი აქვს, „გერლფრენდთან“ ერთად რომ უყურებ თავზეზეწარგადაფარებული. რამე ისეთი, არადუნე და კარგი. კოენების მოხუცების ადგილი აქ არ არის, ანდერსონის მაგნოლია და თუნდაც ტარანტინოს ნაბიჭვრები. რომ არ უნდა ჩაგეძინოს და შიგდაგიშ გადალაპარაკებაც შეიძლება.

ეს არის ჩემი სინემა-სუნები; ნაწილი, რაც გამახსენდა. სხვებზე მერე დავწერ. ისე გემოებზეც არ იქნება უინტერესო. ⣿


JEAN CLAUDE VAN DAMME
BLOODSPORT
a escrava
Isaura
Kiki

მექსიკური წიწაკა

[დიანა ანფიმიადი]

ყველაფერი ურთიერთკავშირშია – ამას ჩემი ცხოვრების ერთ ყველაზე რთულ საღამოს მივხვდი, როცა სახლში მისვლამდე ბაზარში გავიარე და ყველა სახის, ფერისა და ჯიშის წიწაკა ვიყიდე, რაც იშოვებოდა. მერე შინ მისულმა სამზარეულოს მაგიდასთან მოვიკალათე, გვერდით დიდი ჭიქით წყალი მოვიდგი და ყველა წიწაკა შევჭამე, ყველა! – წითელიც, ყვითელიც და მწვანეც... წარმოიდგინე, რამდენი საყვირი აყვირდა ერთხმად, რამდენი შუქნიშანი აინთო, მაგრამ, სამაგიეროდ, დეპრესიას გადავრჩი.

სწორედ იმ, მწარე და სურნელოვან საღამოს ვნახე ეს ფილმი, წიგნი წაკითხული მქონდა.

საერთოდ, ვერ ვიტყვი, დიდი კინომანი ვარ-მეთქი, მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი ზორბა შეიძლება ბაბუა-ჩემზე მეტად მიყვარს; და ჩემი გენიალური თანამემამულის, თეო ანგელოპულოსის რამდენიმე ფილმი ცხადში ხომ ნანახი მაქვს და სიზმრადაც რამდენჯერმე, მაინც წიგნები მირჩევნია. ჰოდა, იქნებ ამიტომაც, ეკრანიზაციები მაინტერესებს განსაკუთრებით.

ლაურა ესკიველის „როგორც წყალი შოკოლადისთვის“ შემთხვევით წავიკითხე, კულინარიული რეცეპტების ძებნისას; ამ წიგნის მიხედვით შექმნილი ფილმიც, როგორც გითხარით, კულინარიულ-ემოციური შემოტევისას ვნახე.

ლაურა ესკიველი ძალიან ცნობილი მექსიკელი მწერალია, მაგიური რეალიზმის წარმომადგენელი. მასზე ამბობენ, მარკესი რომ ქალი იყოს, მისნაირად დაწერდაო.

თავისი ყველაზე ცნობილი რომანი „როგორც წყალი შოკოლადისთვის“ 1990 წელს გამოაქვეყნა, რომანმა ძალიან დიდი წარმატება მოუტანა ავტორს, სხვადასხვა ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა და მის მიხედვით გადაღებული ფილმი კი არაერთი კინოფესტივალის გამარჯვებული და კინოგაქირავების ლიდერი გახდა.

სიყვარული დიდი ძალაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მას რაიმე დაბრკოლება ეღობება. ეს დაახლო-

ებით იგივეა, ორთქლი არ გამოუშვათ ქვაბიდან, სადაც სიმინდის წვნიანი იხარშება. წიგნში მოთხრობილი თუ ფილმად გადმოცემული სწორედ ამ გზით იქცევა კულინარიულ ვულკანად, რომელიც თავის გზაზე არავის ინდობს.

ალფონსო არაუს ფილმის მთავარ გმირს, ტიტას, რომელსაც მემკვიდრეობით გადმოეცა კულინარიული ჯადოქრობის ნიჭი, წინაპართა წეს-ჩვეულების მიხედვით სიყვარულის და გათხოვების უფლება არ აქვს. მან, როგორც უმცროსმა ქალიშვილმა დედას უნდა მოუაროს. არადა, ის შეყვარებულია, მისი სიყვარული ორმხრივია – პედროსაც უყვარს იგი, თუმცა, ტიტას დედისგან უარის მიღების შემდეგ მის უფროს დაზე ქორწინდება, იმისთვის, რომ საყვარელ ქალთან ახლოს იყოს – აი, ასეთი არეული და ჩახლართული ამბავია.

მე არ ვაპირებ ფილმის მხატვრულ ღირსებებზე, მის პრობლემატიკაზე, მაგიურისა და რეალურის შერწყმასა და მოკლედ, ასეთ ამბებზე საუბარს, გითხარით, დიდი კინომანი არ ვარ მეთქი... უბრალოდ, მინდა რამდენიმე სრულიად ჯადოსნურ რეცეპტზე მოგიყვეთ, რომელიც ჯერ ხომ წიგნიდან დავიზეპირე, ხოლო როცა ეკრანზე ვნახე, უფრო სწორად ვიგემე, მერე არასდროს დამვიწყებია. ეს ის კერძებია, მექსიკური სამზარეულოს უზარმაზარი საბადოდან, რომლებიც ცვლიან პერსონაჟთა ბედს, რადგან წინაპართა რეცეპტები, როგორც ეთნოკულტურა, საუკუნეებით დაგროვილი ცოდნა, ამბის მთავარი გმირის, ერთი ჩვეულებრივი მექსიკელი გოგოს ძალა და თავისუფლებაა.

საშობაო ღვეზელები სარდელით, საქორწინო ნამცხვარი „ჩაბელა“, რომლის ცომის მზადებისას ტიტამ იმდენი ცრემლი ჩააყოლა, რომ ლამის მთელი სტუმრები დაწამლა. შინაური მწყრები ვარდის ფურცლებით – ამ კერძის მზადებისას სატრფოს ნაჩუქარი ვარდის თაიგული გამოიყენა, რომელიც ისე მაგრად ჩაიხუტა, რომ ეკალმა დაკაწრა და შეყვარებული გოგოს სისხლმა წითლად გააფერადა ვარდები. სისხლმა და ვარდის ესენციამ ჩვეულებრივი კერძი აფროდოზიაკად აქცია და სასწაულები დაატრიალა.

ინდაურის რაგუ სეზამითა და ნუშით, ღორის კუდის წვნიანი – სამკურნალო კერძი, გახუხული პური ნაღებითა და სხვადასხვა ხმელი ხილით, ნამდვილი მექსიკური შოკოლადი და სამეფო კრენდელები – შოკოლადი სამნაირი კაკაოთი მზადდება, ხოლო საშობაო კრენდელებს უზრუნველი ბავშვობის გემო აქვს.

წიგნის ფინალში, ბოლოსდაბოლოს ნებარდართული სიყვარულისას მისი სატრფო მეტისმეტი ემოციისგან კვდება; ტიტაც თავს იკლავს – ცეცხლისგან თავის დაღწევას არც ცდილობს. თუმცა, ცოცხალია მისი რეცეპტები შთამომავალთა სამზარეულოებში, რეცეპტები ძველი მექსიკისა, რომელიც ცეცხლზე შემომდგარი შოკოლადივით თუხთუხა და გემრიელია.

გემრიელი ფილმის მეტი რა მინახავს, მაგრამ ასეთი დასამახსოვრებელი ჩემთვის არც ერთი ყოფილა. ⣿

კინო, როგორც არამხოლოდ OBSERVABLE UNIVERSE

[გიორგი კიკონიშვილი]

ტრივიალურად დავიწყოთ – თვალი ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანოა, რომელიც, როგორც გვეუბნებიან, გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ რეალობა. ის, რასაც თვალით ვხედავთ, არის უტყუარი, – ამბობენ მეცნიერები. თუმცა, დიდი ეჭვი მაქვს, კინორეჟისორები ასე არ უნდა ფიქრობდნენ.

ასტრონომიაში არსებობს ასეთი ტერმინი – Observable Universe – ხილვადი სამყარო, ანუ, სამყაროს მხოლოდ ის ნაწილი, რომელსაც ვხედავთ კაცობრიობის მიერ შექმნილი ყველაზე ძლიერი ტელესკოპიდან. სხვა ყველაფერი, რაც მის მიღმაა და ჯერ არ გვინახავს, რაკიღა ჰაბლზე უფრო ძლიერი ტელესკოპი ჯერაც არ გაგვიშვია კოსმოსში, მხოლოდ ფანტაზიების, თეორიებისა და ვარიაციების საგანია.

თუკი ჩვენი, ადამიანის თვალის ზომას, თუკი ჰაბლის ტელესკოპის ზომას მთელს ამ ხილვად სამყაროს ზომასთან შევაფარდებთ, მიღებული მასშტაბები იმდენად შიშისმომგვრელად გაგვიცრუებს იმედს, რომ ამ ხილვად სამყაროში ჩვენს თვალს, თავს, ჩვენს მიერ შექმნილ საუკეთესო

ხელოვნების ნიმუშებს, ყველაზე გიგანტურ ნაგებობებს, დედამიწას და ჩვენს საკუთარ გალაქტიკასაც კი, რომელსაც ყოველ დღე, შეუიარაღებელი თვალით ვუყურებთ ცაზე, მინიატურულ პიქსელადაც ვერ ვიპოვით სამყაროს რუკაზე. ამიტომაც ამბობენ მასშტაბებით შეშინებული ჭკვიანი მეცნიერები ასე განწირულად, რომ სამყაროს შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ. თუმცა, მგონი ტყუიან.

მეცნიერები ფრთხილი ხალხია. მათ, რა თქმა უნდა, აქვთ ფანტაზიები, თეორიები, სამყაროს მუშაობის მილიონი ინტერპრეტაცია, მაგრამ საკმარისია დავუსვათ კითხვა, – „რატომ ხდება ეს?“ – რომ ვითომ სხვა არაფერზე ფიქრობენ, სხვა არაფერი დაუშვიათ, არ უფანტაზიორიათ, გიპასუხებენ მხოლოდ იმას, რაზეც ხილული ფაქტის დადება შეუძლიათ. სამაგიეროდ, მათზე ბევრად არაფრთხილები, შეიძლება ითქვას, თავხედებიც კი ვართ ჩვენ – არამეცნიერები. ჩვენ შეგვიძლია ყველაფერზე ვიფიქროთ, ვიმაიმუნოთ, დავუშვათ, არ დავუშვათ, წარმოვიდგინოთ და დავინახოთ; დავინახოთ მაშინაც კი, როცა თვალს ვხუჭავთ – სიზმარში და შემდეგ, მეცნიერებისგან განსხვავებით, რომლებმაც ჯერ დანამდვილებით არ იციან, რა არის სიზმარი, გაუთავებლად, თავდაჯერებულად ვიტიტინოთ, რატომ ვნახეთ ეს სიზმარი? რისი გამოძახილია ან რა გველის?

ჩემნაირი პერვერტი ვუაერისტისთვის, ხან ფარულად, ხან კი სრულიად თავხედურად რომ ვაკვირდები ყველაფერსა და ყველას – ყველგან, თვალი სწორედაც რომ განსაკუთრებული მნიშვნელობის ორგანოა. თვალი და გონება, რომელიც მიღებული ვიზუალური ინფორმაციის მილიარდი სახით გადამუშავებისა და ინტერპრეტირების უფლებას მაძლევს (ხომ ვთქვი, მეცნიერი არ ვართქო?). ვუყურებ ჩაცმული ადამიანის სხეულს და წარმოვიდგენ მას გახდილს, მერე ჯამბაზის ფორმაში, მერე სექსის დროს, მერე ლექციაზე, სამსახურში, ბანაობისას, ძილისას და.ა.შ. თვალისა და გონების, ანუ ვიზუალური აღქმა-გამოსახვისა და ფანტაზიის ეს კომბინაცია, თქმადაც კი არ ღირს, რომ ყველაზე „კინოშნიკური“ ამბავია. პერვერტი ვუაერისტის ჯოხი მხოლოდ ჩემზე რომ არ გადატყდეს, თავადაც ხომ


M51 - Whirlpool Galaxy
CVn
Lyr
Vega
Sheph 1
M92
M13 - Great Cluster
CB
Alphecca
Boo
Kornephoros
Arcturus
Muphrid
+28-Nov
+4-Dec
+9-Dec
+14-Dec
+19-Dec
+24-Dec
+29-Dec
+3-Jan
X F
Z O H
L D A T
T A L O E
L D O T F
O E H L T A D
L D O L D A T F
E O T L D A N O H

გახსოვთ, რამდენ ვიზუალურ იმიჯად ისახება და ლაგდება ერთი მარტივი გამოსახულება თქვენს გონებაში? დავინახავთ და იმ წამიდან ისე ადვილად ავაწყობთ, დავშლით, შევინახავთ ან გადავაგდებთ ნებისმიერ გამოსახულებას, ვაპამპულავებთ ჩვენს ნებაზე, რომ ნამუსიც კი არ შეგვაწუხებს, რატომ ვიკისრეთ ჩვენს თავზე ღმერთის ფუნქცია და რატომ გადავაწყეთ სამყარო.

და ასე აწყობს და შლის სამყაროს – კინო! შექმნის დღიდან, ზუსტად იმ წამიდან, რაც ძმებმა ლუმიერებმა კაცობრიობას ჯადოქრობა მოუწყვეს და მათ თვალწინ, კინოეკრანზე, იმ წუთას იქ არარსებული უზარმაზარი მატარებელი ჩააქროლეს, იმ წამის ჩათვლით, როდესაც ჯეიმს კამერონმა სრულიად ახალ პლანეტაზე ცოცხალ არსებათა ახალი რასა შექმნა ზღაპრულ სამყაროში – „ავატარი“. აწყობს, შლის და აპამპულავებს რეალობას, რომელსაც ჩვენც, ფრთხილი მეცნიერებივით, ვუწოდებთ მხოლოდ იმას, რასაც ვხედავთ.

მაგრამ, სად გადის ზღვარი რეალურსა და ირეალურს, ხილულსა და უხილავს შორის, რა თქმა უნდა, არც მეცნიერებმა იციან, არც რეჟისორებმა და არც ჩვენ – არამეცნიერმა მაყურებლებმა. საკმარისია, ლუმიერების კინოჩვენების დასრულებისას მაყურებლისთვის გვეკითხა, რა საგანი დაინახეს, დიდი ეჭვი მაქვს, ყველა მათგანი გვიპასუხებდა, – „უზარმაზარი მატარებელი“, თუმცა ალბათ არავინ იტყოდა, რომ სინამდვილეში მათი თვალები მხოლოდ კინოეკრანს მისჩერებოდა.

შესაძლებლობა იმისა, რომ დავინახოთ ის, რაც აქ და ახლა არ არსებობს და ვერ დავინახოთ ის, რაც ჩვენს თვალწინაა, ნამდვილად გვიცრუებს წარმოდგენებს ჩვენი Observable Universe-ის შესახებ. ჭკვიანი მეცნიერისა და დამჯერი მსმენელის მითი მომენტალურად ინგრევა, როგორც კი მივხვდებით, რომ ჩვენი, მაყურებლის გარდა, არსებობს რეჟისორი, რომელიც პროექციით „გვაბოლებს“; უფრო მეტიც, ჩვენი მოუსვენარი გონება იმასაც დაუშვებს, რომ მაშასადამე, არსებობს ღმერთი, რომელიც ზუსტად ასე „აბოლებს“ ჰაბლის ტელესკოპში მომზირალ ასტრონომს (რომელიც შემდეგ ჩვენ „გვაბოლებს“, რომ მან „დაინახა“) და აი, აქ კი ნამდვილად სასიამოვნოა იმის წარმოდგენა, რომ სინამდვილეში, ჩვენ, ყველა, არა უბრალოდ ხილული რეალობის, არამედ ჩვენი საკუთარი თვალით დანახული, უთვალავი ჯადოქრული პროექციის გროვაში ვარსებობთ, ვსხედვართ და პირდაღებულნი ვუმზერთ კინოეკრანს. ⣿

კანი, კინო და ფუნქციები

[მაკა ლდოკონენი]

ა) სუნთქვა, დაცვა, თერმორეგულაცია, სეპონირება, ექსკრეტორული, მეტაბოლური, ენდოკრინული, რეცეპტორული, იმუნური – ეს კანის ფუნქციებია. საქმე ზუსტ მეცნიერებასთან მაქვს, ამიტომ ვერაფერს დავამატებ ან გამოვაკლებ.
ბ) „ფილმს დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული უნდა ჰქონდეს, თუმცა, მითითებული თანმიმდევრობის დაცვა სავალდებულო არ არის", – ეს ფრანგი კინოკრიტიკოსის ჟან-ლუკ გოდარის სიტყვებია.
გ) კანის ანატომიური ფუნქციების კინოხელოვნებასთან დაკავშირება დღეს ჩემი ამოცანაა, ამიტომ „გ)" პუნქტის შემდეგ საქმეზე გადავალ.
კინესტეტიკი გარემოს აღქმისა და ინფორმაციის გადამუშავების მიხედვით, ადამიანები თურმე აუდიალებად, ვიზუალებად და კინესტეტიკებად ვიყოფით. კინესტეტიკისთვის გარე სამყაროს აღქმის მთავარი ინსტრუმენტი კანია – კანით უნდა წაიკითხოს, შეიცნოს, დაიმახსოვროს და მომავალში გაიხსენოს კიდეც.
ზუსტი ციფრები სმარტ-მიდგომები წამში 1 000 000 ბიტ ინფორმაციას ვიღებთ, ჩვენი სხეულის ყოველ სანტიმეტრზე საშუალოდ 25 რეცეპრტორია განთავსებული, თითის წვერზე კი 3000. წუთში 75 კილომეტრი სიგრძის ნერვული ბოჭკოები ანგარიშს აბარებს ტვინს ყველაფრის შესახებ, რაც ჩვენს კანს ეხება. შეგრძნება, სამყაროსთან ჩვენი ფიზიკური კავშირის გარდა, სამყაროში ჩვენს ინდივიდუალურ არსებობას და მის არაორდინალურ აღქმასაც გულისხმობს. ჩვენი შეგრძნებების ზღვარს განა ის კანი ადგენს, რომელშიც ვცხოვრობთ? აკი, შეხების გარეშეც მშვენივრად შევიგრძნობთ, თუნდაც, კინოს რომ ვუყურებთ: იქ არ ვართ, მაგრამ გადავაადგილდებით, სხვას ვნებენ, ჩვენ კი გვტკივა, სხვა მიირთმევს, ჩვენ კი ვაგემოვნებთ, სხვას უყვარს, ჩვენს მუცელში კი პეპლები დაფარფატებენ, სხვა განიცდის, ჩვენ კი თვალზე ცრემლი გვადგება. მეცნიერული დოგმები უგულვებელყოფილია, არავითარ მერკელის უჯრედებში, კრაუზეს სხეულებსა და რუფინის დაბოლოებებში თანამიმდევრულად გამავალ იმპულსებთან არ გვაქვს საქმე და მუდამ ასე ხდება ობსკურის კამერიდან თუ ფა-

რადეის მოწყობილობიდან მოყოლებული, თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებამდე.

სხეულით დამახსოვრებული ჩემში კინესტეტიკი მოვიხმე, თვალები დავხუჭე, სმენა დავიხშე, სურნელები უგულვებელვყავი და ... ორი ფილმი დამაჩნდა სხეულზე.

Un Homme et Une Famme (კლოდ ლელუშის „ქალი და მამაკაცი“) იმპროვიზაციის ორიგინალური მეთოდები, სპონტანური დიალოგები, შავ-თეთრი და ფერადი კადრების მონაცვლეობა სმენისა და თვალის განსაკუთრებულ დაძაბვას არ მოითხოვს. ფილმი მარტივად იწყება (დედა შვილს „წითელქუდას“ უამბობს) და მარტივად გრძელდება, ვინაიდან უბრალო, ადამიანური ემოციებით დატვირთული პასაჟები მოჩანს: მამაკაცი ქალს საკუთარი ხელით აჭმევს, ბოკალით ღვინოს ასმევს, ცხენებზე სხედან და ქალი მამაკაცს თვალიდან რაღაცას უღებს, მამაკაცს სკამზე ხელი უდევს და ქალის მკლავს ეხება, 20-იან წლებში პოპულარულ სატრფიალო სიმღერას ავტომობილის რადიოში ბოლომდე უსმენენ, მათი რეაქციები დეტალიზებულია, მამაკაცი მანქანიდან გადმოდის, შემოუვლის, კარამდე მიდის, აღებს, ქალი გადმოდის... რეჟისორს სურს, კანის რეცეპტორიდან ტვინამდე და უკან მომავალი გზა სკურპულოზურად გადმოსცეს, ამიტომ წამები წუთებამდე ხანგრძლივდება, შესაბამისად, შეგრძნებებიც მძაფრდება.

„თუ მსახიობმა უნდა იტიროს, ჯობს, ზურგიდან გადაიღოთ, მისი ცრემლების დემონსტრირება საჭირო არ არის, ისედაც ყველამ იცის, როგორ ტირის ადამიანი. უმჯობესია მისი ზურგი აჩვენოთ, უფრო მეტად იმოქმედებთ წარმოსახვაზე“, – ეს ქშიშტოფ კიშლოვსკის სიტყვებია. სწორედ მსგავსი რაკურსები აქცევს 28 წლის კლოდ ლელუშის ფილმს შეგრძნებად – ერთ „მარტივ“ შეგრძნებად სიყვარული რომ ჰქვია და შეხების გარეშე კანის ყველა რეცეპტორის გაღიზიანებას გულისხმობს.

(კიმ კი-დუკის „ცარიელი სახლი“) ქალი საკუთარ თავს (ფოტოსურათს) დაშლის (დაანაკუწებს) და გადააწყობს. მამაკაცი კი სრულყოფილებამდე შეუმჩნეველი ხდება. მანამდე კი სხვის ცარიელ სახლებში ცხოვრობენ: ისვენებენ, მიირთმევენ, ალაგებენ, სარეცხს რეცხავენ, გაფუჭებულ ნივთებს აკეთებენ, სამახსოვრო ფოტოებს იღებენ. თითქმის არ საუბრობენ. ერთი თუ დუმილით სთავაზობს ან ეკითხება, მეორე დუმილითვე იღებს, უარყოფს და პასუხობს. ამგვარი კავშირი ერთმანეთის პრობლემების ღრმად გაგების საშუალებას აძლევთ.

კიმ კი-დუკის ფილმებს ძირითადად სხეულით უნდა უცქირო. კიმ კი-დუკს შეუძლია უსიტყვოდ აგატკივოს, გაგამწაროს, აგაღელვოს, შეგაყვაროს, გაგაფრინოს. კანი ხან გეწვის, ხან ჭიანჭველებით იფარება, ხან ნეტარების ჟრუანტელი გივლის და სწორედ ამ დროს მოდის კინოსა და კანის ყველა ფუნქცია მოქმედებაში, სწორედ ამ შემთხვევაზე ამბობს ბერნარდო ბერტოლუჩი – კინოში იმისთვის დავდივართ, ერთი ოცნება რომ გავიზიაროთო. ⣿

un homme
et une femme
claude lelouch
francis
OLE CROISILLE
RRE BAROUH

"მამა" – წარმატება ლოკარნოში და ახალი სახე ქართულ კინოში

[მაია ცეცაძე]

პოსტსაბჭოთა პერიოდი, მძიმე სოციალური რეალობა, იმ დროისთვის არადამაიმედებელ ყოველდღიურ რუტინაში ჩართული ორი ახალგაზრდა ძმა და მოულოდნელი შეხვედრა წლების წინ გაუჩინარებულ მამასთან... ლადოს და ნიკას მამის მიმართ ბევრი კითხვა დაუგროვდათ, თუმცა მამის დუმილი მათ ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს. უფროსი ძმა ლადო თავს გადახდენილი დრამატული ინციდენტის შემდეგ თავადვე პოულობს ჰაერში გამოკიდებულ კითხვებზე პასუხს – ერთი ოჯახის დრამატული ისტორია ახალგაზრდა კინორეჟისორმა დათა ფირცხალავამ მოკლემეტრაჟიან ფილმში „მამა“ გააერთიანა. მიუხედავად ქრონომეტრაჟის სიმცირისა, ფილმი მოკლემეტრაჟიანი ნამუშევარია, მას მაყურებლამდე სათქმელი ბოლომდე მიაქვს.

„მამა“ საქართველოს ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვებული პროექტია, რომლის განხორციელებაშიც სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კერძო ბიზნესიც ჩაერთო და ფილმის გადაღებაში ფინანსური მონაწილეობა „თიბისი“ ბანკმა მიიღო. აგვისტოში ფილმს ლოკარნოს საერთაშორისო ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა წილად – საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად აღიარეს. შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში, რომელიც საერთაშორისო კინოფესტივალს 1946 წლიდან მასპინძლობს, წელს, ღია ცის ქვეშ მოწყობილ საგანგებო სივრცეში ქართველი რეჟისორების ფილმები 8000-მა მაყურებელმა იხილა. დათა ფირცხალავას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მამა“ კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში, იმედისმომცემი ტალანტების სექციაში „ხვალინდელი ლეოპარდები“ იყო წარდგენილი. აღსანიშნავია, რომ ლოკარნოს კინოფესტივალი ცნობილია, როგორც აღმოჩენების ფესტივალი. მრავალი რეჟისორისა თუ მსახიობის წარმატებული კარიერა ხომ სწორედ აქ, ლოკარნოში დაიწყო.

აღმოჩენა გახლავთ ქართველი მაყურებლისთვის ფილმის მთავარი როლის შემსრულებელი, 24 წლის სანდრო კალანდაძეც, რომელიც ფილმში უფროსი ძმის, ლადოს როლის შემსრულებელია. ლონდონში მცხოვრები ახალგაზრდა მსახიობისთვის „მამა“ ქართველ რეჟისორთან მისი სადებიუტო ნამუშევარია. სანდრო თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მართალია, მისი ცხოვრება და დღის წესრიგი ფილმის გმირისგან სრულიად განსხვავებულია, მაგრამ როგორც თბილისში გაზრდილს, ლადოსთვისაც მისი თანატოლი ბიჭების პრობლემები არც ისე უცხო იყო. ალბათ კიდევ უფრო ამიტომაც არ გაუჭირდა ამ როლის თამაში და როგორც თავადაც აღნიშნავს, გადაღების პროცესშივე გრძნობდა ნელ-ნელა, როგორ იზრდებოდა მასში ლადოს პერსონაჟი. ხელოვნების სფერო ყოველთვის იტაცებდა, თუმცა როდესაც ჯერი პროფესიის არჩევაზე მიდგა, შავი ზღვის უნივერსიტეტში ჩაიბარა. ნახევარ წელიწადში მიხვდა, რომ იქ მისი ადგილი არ იყო და კანადაში გაემგზავრა „ფილმი და ტე-

ფოტო ნიკო ტანიელაშვილი

ლევიზიის“ ერთწლიან კურსზე. კანადიდან ლონდონში გადაინაცვლა, სადაც უკვე სამსახიობო კურსი გაიარა. ქასთინგის შედეგად დრამის წამყვან სკოლაში მოხვდა და ბაკალავრის სამწლიანი კურსის დაუფლებას შეუდგა. ინგლისსა და კანადაში რამდენიმე სპექტაკლში ითამაშა. პირველი კინოროლი კი ინგლისელ რეჟისორთან უილიამ ოლდროიდთან ერგო, ფილმში „ცოდვა“. რომლის გადაღებებიც საქართველოში მიმდინარეობდა. დათა ფირცხალავას საერთო მეგობარმა დააკავშირა, რომლისგანაც ფილმის ქასთინგის შესახებ შეიტყო და მონაწილეობის მისაღებად მივიდა.

სანდრო კალანდაძე: „პატარა ეტიუდი ჩავწერეთ და თავიდანვე გავუგეთ ერთმანეთს. მეც და დათაც მივხვდით, რომ ერთი და იგივე ტალღაზე ვართ, ერთნაირად ვაზროვნებთ. ვიცოდი, რომ კარგი ფილმი გამოვიდოდა, შიგნიდან ვადევნებდი თვალს პროცესს და ბოლომდე მჯეროდა რეჟისორის ხედვის. მინდა, სამომავლოდ ერთად ისევ რაიმე კარგი პროექტი გავაკეთოთ. ქართველ რეჟისორთან ეს ჩემი პირველი თანამშრომლობა იყო. საერთოდ, კინო ცოტა მაშინებს, რადგან თეატრი უფროა ჩემი საქმე. მიმაჩნია, რომ თეატრში უფრო ცოცხალი პროცესია. სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან კინო და თეატრი, მაგრამ დათასთან მუშაობამ მიმახვედრა, რომ არიან რეჟისორები, რომლებთანაც კინოში შევძლებ მუშაობას. მომეცა შესაბამისი სივრცე და დრო, რომ პერსონაჟი გაზრდილიყო ჩემში და არ მეთამაშა ზედაპირულად. ბევრს ვსაუბრობდით პერსონაჟზე, მის ისტორიაზე, თუ სად დაიბადა, გაიზარდა, როგორ გარემოში ცხოვრობდა, რას აკეთებდა... ეს ყველაფერი კი მეხმარება გარდასახვის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის გმირთან საერთო თითქმის არაფერი მაქვს, მაინც არ გამჭირვებია გადაღების პროცესი. გადაღებები ფილმის სიუჟეტს თანმიმდევრულად მიჰყვებოდა და მეც თანდათან უფრო დამაჯერებლად ვგრძნობდი ამ გმირს. თავისუფლებაც მნიშვნელოვანია მსახიობისთვის, რისი უფლებაც მოგვცა დათამ. მაგალითად, ტექსტი რჩებოდა იგივე, რაც იყო აზრობრივად, მაგრამ სიტყვები როგორც გარემოებას მოერგებოდა, ისე შემეძლო შემეცვალა.“

სანდრო მიიჩნევს, რომ ლოკარნოში მიღწეული წარმატება ფილმის შემოქმედებითი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა თავად საფესტივალო პროცესებში ჩართული ნაკლებად არის. მისი ცხოვრების პრიორიტეტი წარმატების მიღწევამდე ჯერ სასწავლო პროცესია. თუმცა, ახარებს ქართული კინოს პროგრესი და ის იმედისმომცემი პროექტები, რომელიც საბოლოოდ ქართულ კინემატოგრაფს წარმატებას მოუტანს.

სამშობლოში არდადეგებზე ჩამოდის; თუმცა, დასვენება აქაც არ გამომდისო, – ამბობს. იმდენად შეეჩვია ლონდონურ სამუშაო ტეპს, რომ დატვირთული დღის წესრიგი ცხოვრების წესად ექცა. სანდრო კალანდაძე: „სამშობლოდან შორს ყოფნა მაინც გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. აქ რომ ჩამოვდივარ აკლიმატიზაცია, აქაურ რეჟიმზე გადმოწყობა მიჭირს. თან როდესაც ვგრძნობ, რომ წასვლის დრო მოახლოვდა, იგივე ტემპს და ურთიერთობებს უნდა დავუბრუნდე, თავიდან ესეც მიჭირს. ლონდონი ცივი ქალაქია არა მხოლოდ ტემპერატურით, არამედ ურთიერთობების მხრივაც. იქ მარტო ხარ, მაგრამ ეს მაინც კარგია, იმიტომ, რომ ვითარდები, ძალიან დიდ დროს უთმობ ინფორმაციის მიღებას.“

ერთი სასწავლო წელი ბაკალავრის კურსზე გასავლელი აქვს. ამბობს, რომ თუკი გასული ორი წელი სასწავლო პროცესი ძირითადად ტრენინგებს ეთმობოდა, მესამე, პროფესიონალური თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი წელია. მსახიობის ოსტატობის გარდა, თეატრის რეჟისურაც ძალიან აინტერესებს. სურს, რეჟისურას ინგლისში ან გერმანიაში დაეუფლოს, იმისთვის, რომ საბოლოოდ მსახიობობა და რეჟისორობა ერთმანეთს შეუთავსოს. არც მორიგ ფილმში მონაწილეობას გამორიცხავს და არც სამშობლოში სპექტაკლის დადგმის ალბათობას. იქამდე კი ჯერ შემოქმედებითად კიდევ უნდა გაიზარდოს, ბევრ რამეზე დაფიქრდეს და, ვისთვის ბანალური, მაგრამ საკუთარი თავისთვის მნიშვნელოვანი მისია შეასრულოს – სამშობლოს გამოადგეს. ⁞⁞

ცხოვრების წესი

ნინო კალანდია, მაკა კევლიშვილი / ფოტო ნიკო ტარიელაშვილი

გახსოვთ დიაფილმი? პოზიტიურ ფირზე ფოტოგრაფიულ გამოსახულებათა რიგი, რომელიც თითოეულ ჩვენგანში ბავშვობის გახსენებას იწვევს. მოდით დავიწყოთ თავიდან, იმ პერიოდიდან, როცა კინო ნელ-ნელა იქმნებოდა და იხვეწებოდა. ვიდრე შექმნილი ფილმები 638G ტექნოლოგიების დახმარებით ეკრანიდან გადმოვა ან პირიქით – ეკრანში ჩვენს ტრანსპორტირებას შეძლებს, შევხედოთ დიაფილმს, იმ ადამიანების ცხოვრების წესზე შექმნილ ფოტოპროექტს, რომლებსაც განსხვავებული წვლილი შეაქვთ კინოს განვითარების პროცესში, პორტრეტებს მიღმა კი, აუცილებლად დაინახავთ ტექსტში გაცოცხლებულ კადრებს მათი ცხოვრებიდან.

ფოტოპროექტი ექპერიმენტია, ეს არის ერთგვა-

რი მოკლემეტრაჟიანი ფილმი კინორეჟისორზე, კინომსახიობზე, მწერალსა და სცენარისტზე, კინომცოდნეზე, კინოს მხატვარსა და კინომუსიკის შემქმნელზე. ფოტოპროექტი „ცხოვრების წესი“ წარმოგიდგენთ კინოსფეროს ექვსი განსხვავებული პროფესიონალის ისტორიას, რომელიც ფრაზების გავრცობით, მათი დასრულებით და ასოციაციური მეთოდით აისახება. ჩვენ არ გიამბობთ მათ საქმიანობასა და მათ სფეროში მიმდინარე სიახლეებზე; გვსურს დაგანახოთ თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი პერსონაჟები ახლო ხედით. შევეცადეთ, მოკლე ინტერვიუებით წარმოგვეჩინა მათი ცხოვრების წესი, რომლებშიც, ფრაზებზე უფრო მნიშვნელოვანი, ფრაზებს შორის დარჩენილი სივრცეა.

არჩილ ქიქოძე

მწერალი

ბავშვობაში მქონდა სათამაშო... დიდი ცხენი. ერთ დღესაც გაღვიძებულს ცხენი სხვა ადგილზე გადაადგილებული დამხვდა. რომ ვიკითხე, თუ რა მოხდა, მითხრეს, – მოეპრიანა და წავიდაო. ეს „მოეპრიანა“ ჯადოსნური სიტყვა მეგონა. ვფიქრობდი, რომ ღამე სათამაშოები მოპრიანებას იწყებენ. ვითომ მეძინა ხოლმე, მინდოდა, მომეტყუებინა სათამაშოები, რომ მოძრაობა დაეწყოთ.

ყველა ადამიანს აერთიანებს... პლანეტა, რომელსაც ვიყოფთ, ყველას უნდა იყოს ბედნიერი.

ყველაფერი მოსაწყენი იქნებოდა... სიყვარულისა და შეყვარებულობის გარეშე.

როცა მარტო ვარ... ძალიან კარგად ვარ. არ მესმის ადამიანების, რომელებსაც არ უყვართ მარტოობა.

მიყვარს... როცა გამომდის საქმე.

ქართულ კინემატოგრაფში... ახლა არის რამდენიმე კარგი ფილმი და კიდევ მეტი გაკეთდება, თუ ახალგაზრდებს საშუალება მიეცემათ.

90-იანები... ისეთი რამეა, რაც ჩემი თაობის ადამიანებისთვის მუდმივად ჩვენს გვერდით არის, ისე, რომ თან არ გვინდა იქით გახედვა. ეს იყო ჩვენი საზოგადოებისთვის დიდი გამოცდა, რომელიც ბევრმა ვერ ჩააბარა.

ყველაზე დიდი პრობლემა... ინფანტილიზმია, ზრდის „არსურვილი“, რეალობის თვალებში ვერჩახედვა.

ჩემს ქალაქს... იმდენად კარგად ვიცნობ, რომ თავს უფლებას მივცემ, არ მიყვარდეს. ქალაქი, რომელსაც სულ გავურბივარ და სულ ვუბრუნდები.

რაც ასაკში შევდივარ... ჭკვიანი ქალები მომწონს.

თუ კითხულობთ წიგნებს... ეს ძალიან კარგია. ადამიანი შეიძლება ორმა რამემ გაზარდოს – წიგნის კითხვამ და მოგზაურობამ. წიგნის კითხვაც თავისებური მოგზაურობაა.

მაქვს წესად... ყოველთვის თან მქონდეს ყვითელი რვეული – ჩანაწერებისთვის.

ტელეფონი... მახსენებს ცუდ ამბავს, ხშირად გამორთული მაქვს, ძალიან ცოტა ადგილი დარჩა საქართველოში, სადაც არ იჭერს და იქ მიყვარს ყოფნა.

სიტყვა... სახიფათო რამეა, სიტყვის ძალის მჯერა.

ჩიტები... პერიოდულად პურს მაჭმევენ.

თეო ხატიაშვილი

კინომცოდნე

ჩემი დაკვირვებით... ადამიანებზე მათი თითები და ხელის მოძრაობა ბევრ რამეს ამბობს.

არ მაინტერესებს... როგორ ცხოვრობენ ჩემი მეზობლები.

ჩემი მშობლები... კარდინალურად განსხვავდებიან ჩემგან, თუმცა დიდი როლი მიუძღვით ჩემს ჩამოყალიბებაში. სწორედ იმიტომ, რომ არ მოინდომეს ჩემი „გამოსწორება“, ვარ ასეთი, როგორიც ვარ.

მეშინოდა და მეშინია... მარტოობის, თუმცა მიყვარს კიდეც. ამ წინააღმდეგობრიობას ჩემზე უკეთ ალბათ ბუნუელი ახსნის, – „მიყვარს მარტოობა, ოღონდ იმ პირობით, რომ პერიოდულად ჩემი მეგობრები შემოივლიან“.

ჩემი ქალაქი... უჟანგბადო, ეგზოტიკური, უპატრონო, მაგრამ მაინც (ჯერ კიდევ) ძალიან ლამაზია.

როცა ხარ ახალგაზრდა... გაქვს მეტი სიგიჟის ჩადენის უფლება და საშუალება.

სექსუალურობა განისაზღვრება... ბევრი ფაქტორით – ზოგჯერ შეიძლება ეს იყოს გარეგნობაში გამოხატული (პირველ რიგში, თვალებში), ზოგჯერ ქცევაში (განსაკუთრებით ცეკვისას)... ძალიან ინდივიდუალურია.

შენით ყველაფერს მიხვდები... უბრალოდ ადამიანები არ უტყდებიან თავის თავს.

სამყარო ყოველთვის იქნება... ამოუცნობი.

ის, რაც ყველა ადამიანს აერთიანებს... არის სიკვდილის შიში.

90-იანებში... ვცხოვრობდით ნაცრისფერ რეალობაში. რაღაც ფრაგმენტები ამოვარდნილი მაქვს, იმიტომ, რომ სტრესული იყო და არც მინდა, მახსოვდეს.

კინო... არსებობს 100 წელია და იარსებებს, სანამ ადამიანები იარსებებენ.

ქართული კინემატოგრაფი... მე მგონი, ცოტა მითიურია, თუმცა უდავოდ არსებობს, რომელსაც ძალიან დიდი ჩავარდნა ჰქონდა ბოლო ათწლეულებში. იმედი მაქვს, რომ რაღაც ახალი დაიწყება.

კინო უნდა გადაიღო ისე... რომ შენ თავთან იყო მართალი. ვიღაცას კი არ უნდა ეკეკლუცო, რაც ნაღდად გაწუხებს (ან გახარებს), ის გადაიღო.

კინოში ყველაზე მომხიბვლელი... სწორედ გზის მოტივია. პირველად მახსენდება ხოლმე ფელინის „გზა“, მერე გუნეის „გზა“, ასევე ჩარლის ფილმების დასასრული, გზაზე მიმავალი მაწანწალა ჩარლით, „უდარდელი მხედარი“ და ასე უსასრულოდ...

დიდი ხანია, მაწუხებს კითხვა... როდემდე იცხოვრებს ჩვენი საზოგადოება პოლარიზებული კატეგორიებით: ცუდი-კარგი, მტერი-მოკეთე, აგენტი-მეგობარი...

უნდა გიყვარდეს... საკუთარი სისუსტეებიც, თუმცა ტკბობაში არ უნდა გადახვიდე, უნდა მიიღო შენი თავი რაციონალურად.

გიორგი გიორგანაშვილი

მსახიობი

ბავშვობაში მქონდა... ძალიან ბევრი კონსტრუქტორი, მე და ჩემ ძმას გვეძახდნენ ძმებ კონსტრუქტორებს; გვქონდა ასევე თვითმმფრინავები, რომლის დეტალებიც წებდებოდა; ჩემი ძმა ხატავდა, მე ვაწყობდი და მთელი ოთახი იყო ეს ჩვენი აეროდრომები, პოლიგონები, ტანკები და ჯარისკაცები, ქალაქი გვქონდა გაშენებული.

არიან მოხუცები... რომლებიც შინაგანად ახალგაზრდებად რჩებიან მუდამ. დროის გარდა, ადამიანს ყოვედღიურობა აბერებს.

ხელოვანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი... გახსნილობაა – თუ არ ხარ გახსნილი, თუ არ შეგიძლია სამყარო შემოუშვა შენში, ხელოვანი ვერ გამოხვალ.

სიამოვნებით ვითამაშებდი... კასავეტესთან – მსახიობიდან გამომდინარე ფილმს აკეთებს და ალბათ – ამიტომაც.

მინდა ვისწავლო... ყველაფერი, რაც არ ვიცი. არ მაქვს გავლილი ქასთინგის ფსიქოლოგია. ჩვენთან ეს არ ისწავლება. ვხვდები, რომ მჭირდება უფრო თავისუფალი ვიყო ქასთინგზე და უკეთ წარმოვაჩინო თავი.

კარგია სცენარი... როცა წაიკითხავ და ხედავ, ზუსტად იცი, რა უნდა გააკეთო შენ, უკვე წარმოგიდგენია ეს ყველაფერი ვიზუალურად.

ამ ეტაპზე მუსიკა... მხოლოდ ფონია. 2 წლის წინათ დავიწყე აუდიოწიგნების მოსმენა; ამან, სამწუხაროდ, მუსიკა მეორე პლანზე გადაწია.

სიზმარში... ვაცნობიერებ, რომ სიზმარში ვარ, გამომდინარე აქედან, უფრო თამამი ვარ. ვფიქრობ, ეს ერთი კარგი კარი მაქვს შეღებული.

წელს ვიგრძენი... გული, აღმოვაჩინე, რომ მაქვს და მივხვდი – სჯობს, მოწევას შევეშვა.

თეა თელია

კინოს მხატვარი

ყველაფერი დაიწყო მაშინ... როცა დავიბადე... სულ ვხატავდი.
როცა ვმუშაობ... არ ვცხოვრობ, მხოლოდ ვმუშაობ.
მჯერა... რომ ყველაფერი უფრო უკეთესად იქნება, ვიდრე არის.
იუმორის გრძნობა... მგონი, მაქვს და მგონია, რომ იუმორმა გადამარჩინა საერთოდ.
ბავშობაში მქონდა ბევრნაირი სათამაშო... მე და ჩემი ბიძაშვილი ვაკეთებდით თოჯინების სახლებს. ის არქიტექტორი გამოვიდა, მე – მხატვარი.
ხატვა მიყვარს... და ხან არ მიყვარს – მაშინ, როცა გადადის რუტინაში, როცა უინტერესო შეკვეთაზე ვმუშაობ.
ჩემი ქალაქი... მინდა, რომ იყოს მწვანე.
20 წელიწადში... მე მექნება სხვა პროფესია, ჯერ არ ვიცი რა.
ჩემი საყვარელი ფერი... ყვითელია, მიყვარს სიცხე, მზე, სინათლე.
არ ვიცი... როგორ ვცხოვრობდით ინტერნეტსამყაროს გარეშე.
სამყარო ყოველთვის იქნება... საინტერესო.
ორი რამ, რაც ცალ-ცალკე ვერ წარმომიდგენია... თეთრი და შავი.
მინდოდა... გამოვსულიყავი ექიმი,ოპერაციებს ვუკეთებდი თოჯინებს.
ყოველთვის ვინახავ... ნახატებს და ჩანაწერებს.
გზა... უნდა იყოს მწვანე.
მენანება... დაკარგული იდეები.
შოკოლადი... ერთადერთი ტკბილეულია, რომელიც მიყვარს, ისიც – მწარე.

ქეთი მაჭავარიანი

რეჟისორი

ჩემი დაკვირვებით... თუ ერთი ინგრედიენტი მაინც გაქვს, რაღაც კერძს გააკეთებ.
ყოველთვის მჯერა... რომ სიკეთე გაიმარჯვებს.
ყველაფერი მოსაწყენი იქნებოდა... რომ არ იყოს პრობლემები და პრობლემებიდან გამოსავლის ძიების პროცესი.
წარმატებაა... როცა იმას დაასრულებ, რაც დაწყებული გაქვს და არ მიატოვებ შუა გზაში.
როცა ვმუშაობ... სხვა არაფერი არ მახსოვს.
მეშინია... სიმაღლის და მარტოობის.
ჩემი ქალაქი... დღეს არის ყველაზე არაპრაქტიკული, განწირული და უპატრონო.
20 წელიწადში... 20 წლით უფროსი ვიქნები.
განვიცდი კრიტიკას... მაგრამ კრიტიკა საჭიროა, რათა მერე რამე შეცვალო შენში და გააუმჯობესო. საქართველოში კრიტიკოსები არ წერენ, მომისმენია კომენტარები ჩემზე როგორც ადამიანზე, მაგრამ არა ჩემს შემოქმედებაზე.
კინო ბევრნაირად უნდა გადაიღო... ისე, რომ მაყურებლის ნაწილს მოეწონოს, მარტო შენთვის არ უნდა იყოს, თუმცა ის უნდა გადაიღო, რაც იცი და გრძნობ.
ქართული კინემატოგრაფი... ახლა არის ერთ-ერთ საინტერესო ფაზაში. სწრაფად ვითარდება, გამოდის მძიმე პერიოდიდან; ენთუზიაზმის წყალობით, რომელიც ეყრდნობა კარგ გამოცდილებას, ჰაერიდან არაფერი ჩნდება.
ბევრი დრო დავხარჯე... სანამ მივხვდი, რომ ყველას არ უნდა ენდო. რაღაც პერიოდი ბარიერი არ მქონდა, იმაზე მეტად ვენდობოდი, ვიდრე საჭირო იყო; კრიტიკული დამოკიდებულება საკმაოდ გვიან გამოვიმუშავე.
ერთი სამკაული მქონდა... საყურე, ძალიან მიყვარდა, შეგნებულად გავაჩუქე.
ყოველთვის თან დამაქვს... წითელი პომადა და ტელეფონი.
სახლი... ყოველთვის ასახავს ადამიანს – როცა შედიხარ, ყოველთვის ხვდები, ვინ არის ის ადამიანი; ერთგვარი სარკეა ადამიანის, რა თქმა უნდა, როცა თვითონ ქმნის ამ სახლს.

ნიკა მემანიშვილი

მუსიკოსი

ყველაფერი დაიწყო მაშინ... როცა 4-5 წლის ასაკში პირველად მოვხვდი ოპერის თეატრში, იქ გადავწყვიტე, რომ სწორედ ამ სფეროს ვუკავშირებ ჩემს ცხოვრებას.

პირველ კურსზე... ბიბლიოთეკაში რაღაც ნოტი აღმოვაჩინეთ. ვერ ვხვდებოდით, რა იყო, უცნაური დამწერლობით იყო შესრულებული, როდესაც დავიწყეთ მისი შესწავლა და წყაროების მოძიება, აღმოჩნდა, რომ მისი ანალოგი არ არსებობს; ეს იყო ჩვენამდე მოღწეული პირველი საოპერო ნიმუში. ჯაკომო პერის მიერ დაწერილი ოპერა „ევრიდიკე“. მთელი ოპერა გავშიფრე და გავაორკესტრე და იმ დროის საუკეთესო სტუდენტური ძალებით დავდგით.

ვფიქრობ წარმატებაა... როცა საკუთარი თავით უკმაყოფილო ხარ, როდესაც სხვები შენით კმაყოფილები არიან.

ორკესტრის ხელმძღვანელობას სჭირდება... ყველა ის თვისება, რომლიდანაც არც ერთი არ მაქვს.

მჯერა... რომ გაცემული სიკეთე ყოველთვის ბრუნდება, მაგრამ სულ სხვა მხრიდან.

მინდა ვისწავლო... ელექტრონული მუსიკის ახალი ტექნოლოგიით კეთება.

ბევრ ფილმებს შორის... რომელიც მინახავს, ყველაზე მეტად იმოქმედა ლარს ფონ ტრიერის ფილმმა „წყვდიადში მოცეკვავე“.

ერთი წლის წინ მივხვდი... რომ კულინარია ხელოვნების ბრწყინვალე დარგია. პარიზში, გრანდ პალეში, საქველმოქმედო საღამოზე მსოფლიო შეფ მზარეულების მიერ მომზადებული კერძები დავაგემოვნე, ეს იყო დაუვიწყარი.

ერთადერთი სახლი... რომელიც გამაჩნია, არის რაჭაში. სხვაგან დროებით ვცხოვრობ.

ჩემი ქალაქი... ეს არის მზე, სევდანარევი გამოხედვები, რაც ალბათ პოლიტიზირების მაქსიმუმით და ეკონომიკური შესაძლებლობების მინიმუმით არის გამოწვეული; და ბეჰემოტი... 13 ივნისის მომდევნო დილას, როგორც კი მზე ამოვიდა, აივანზე გამოვედი და დავინახე ერთადერთი ბედნიერი არსება – რომელიც იყო ბეჰემოტი; წყლისა და ტალახის ამხელა მასა მის აღტაცებას იწვევდა, ეს ბედნიერების აურა რაღაც სინათლის და იმედის მომცემი იყო.

20 წელიწადში... მინდა, რომ ჩემი ქვეყნის მოქალაქეებმა არ იცოდნენ არც ერთი დეპუტატის სახელი და გვარი. სანაცვლოდ კი, მიიღონ ინფორმაცია ხელოვნებაზე.

მედია: მონოლოგიდან დიალოგამდე

[ქეთო გიორგობიანი]

1956 წელს, როდესაც თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ლურჯა“ კანის კინოფესტივალზე საუკეთესო საბავშვო ფილმის ნომინაციაში იმარჯვებს, ფილმის ვერც ერთი თანაავტორი კი ცერემონიალს ვერ ესწრება, Screen Advertising World Association-ის წევრები უკვე მეორედ ატარებენ რეკლამის საერთაშორისო ფესტივალს.

რომელიც, სხვათა შორის, სწორედ კანის კინოფესტივალის ინსპირაციით შეიქმნა დევიზით – სარეკლამო რგოლების შემქმნელები, კინემატოგრაფისტებზე ნაკლებად არ უნდა ფასდებოდნენ. ერთი სიტყვით, სანამ დასავლური სამყარო რეკლამის ხელოვნების დარგში აყვანითა და მისი საფესტივალო „მასალად“ ქცევითაა დაკავებული, საბჭოთა კავშირში რეკლამის მხოლოდ პროპაგანდისტული ფორმა არსებობს, კინო კი მკაცრ ცენზურას გადის და საერთაშორისო ფესტივალებზე მოპოვებული აღიარების შესახებ ავტორები ხშირ შემთხვევაში, ვერც კი გებულობენ. (ისე კი, რეკლამას ვინ ჩივის მოარული ხმებით ხომ სსრკ-ში სექსიც არ არსებობს!).

არადა მალე დასავლეთ სამყაროს სექსუალური რევოლუცია, ჰიპები, LSD, ენდი უორჰოლი და მასთან ერთად, არტის კომპიუტერიზაცია და ინდუსტრიალიზაცია მოიცავს. ერთი სიტყვით, დასავლეთში პოსტმოდერნიზმის ხანა ე.წ. „მაღალი და მდაბალი“ ხელოვნების აღრევას, ინსტალაციური არტის წარმოშობას გამოიწვევს, რაც შედეგად 90-იანებსა და ტელევიზორის კომპიუტერით ჩანაცვლების პროცესს მოიტანს.

და მაინც, ყველა გზა კანისკენ მიდის – ისეთ ანტიდეკადენტურ ხელოვნებაშიც კი, როგორიც რეკლამაა, თვით ჰოლივუდისა და „ოსკარის“ სამშობლოც აღიარებას კვლავ კანის რეკლამის ფესტივალზე ეძებს. და როგორც ფრანგმა ფილოსოფოსმა, ჟან ბოდრიარმა იწინასწარმეტყველა, სამყარო ნელ-ნელა უახლოვდება მომენტს, როდესაც ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, კაცობრიობას აუცილებლად გაუჩნდება კითხვა – ადამიანი მართლაც ბუნების შვილია თუ, კლონირების პროდუქტი.



სწორედ ტექნოლოგიური წინსვლა და სამყაროს დიგიტალიზაცია გააგრძელებს ინსტალაციური არტით დაწყებულ პროცესს და მედიის ფორმებს მონოლოგის რეჟიმიდან დიალოგში გადაიყვანს. დღეს აღარაა გამიჯნული მთხრობელი და მსმენელი, მოქმედება და მაყურებელი.

პრაქტიკულად, კინომ დიდი ეკრანებიდან ჯერ კომპიუტერის მონიტორზე, შემდეგ კი ჩვენს მობილურ დივაისებზე გადმოინაცვლა; შედეგად მივიღეთ მუდმივად განახლებადი ინტერაქციული შინაარსი სოც.მედიებისა და კომპიუტერული თამაშების სახით, სადაც ყველა ჩვენგანი საკუთარი დრამატურგიის მთავარი პერსონაჟია.

„დღეს უკვე კეთდება თამაშები, რომლებიც შესრულების ხარისხით ჰოლივუდის ფილმებს არ ჩამოუვარდება და არც ნაკლები ბიუჯეტი აქვთ“, – მეუბნება ლაშა გოგუა, საქართველოში ერთ-ერთი პირველი მობილური თამაშების შემქმნელი კომპანიის, „გიზგიზას“ დამფუძნებელი, – „აქ ყველა დეტალს ექცევა ყურადღება: პერსონაჟის ვიზუალს, გარემოს – ფანტაზიის განვითარების შესაძლებლობა შეუზღუდავია. დღეს, როდესაც მედია ასეთი გადატვირთულია, რთულია, მიიქციო მომხმარებლის ყურადღება. ნიშურ ხელოვნებას საკუთარი მომხმარებელი ჰყავს, თუმცა არ ვიცი, რამდენად მომგებიანია ეს ბიზნესისთვის. ამიტომ, კომერციის სფერო ტექნოლოგიურად უფრო სწრაფად ვითარდება. უკვე არსებობს ვირტუალური „დივაისები“, სადაც იკეთებ სათვალეს და ალტერნატიულ რეალობაში ხვდები, შიგნით ხარ – თამაშში. ვფიქრობ, კინოსამყაროც ამ მიმართულებით განვითარდება. შესაძლოა, კონკრეტულ სიუჟეტში შენ, როგორც მაყურებელი, მესამეხარისხოვანი პერსონაჟი იყო და თავად ღებულობდე დრამატურგიის განვითარებაში მონაწილეობას. ეს ყველაფერი ფანტასტიკის სფერო აღარ არის. ამ ტექნიკის გამოყენება უკვე ეროტიკულმა საიტებმაც კი დაიწყეს“, – გამოვტყდეთ, რამდენმა ჩვენგანმა აღიქვა ფანტასტიკის ჟანრად სპაიკ ჯონზის ფილმი Her, ისტორია მამაკაცისა და ელექტრონული „დივაისის“ რომანტიული სიყვარულის შესახებ. ეპოქაში,

სადაც წინ მჯდომ ადამიანთანაც კი, კონტაქტის ნორმალურ ფორმად ელექ-ტრონული მიმოწერა მიიჩნევა, ინტიმური ურთიერთობები კი დიდი ხანია, გასცდა ფიზიკურ საზღვრებს და ვირტუალური სექსი უკვე აღარავის უკვირს. შესაძლოა, ვირტუალური ასისტენტი, რომელიც მამაკაცს ყველა პრობლემას უგვარებს, მას დროის სწორად გადანაწილებაში ეხმარება, სასარგებლო რჩევებს აძლევს და ნამდვილი ქალისგან განსხვავებით, არც პრეტენზიები აქვს მეტი დროის დათმობასთან დაკავშირებით, ჩვენს ეპოქაში საუკეთესო პარტ-ნიორადაც კი აღიქმებოდეს (საინტერესოა, რას იტყვიან ამაზე ფემინისტები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ ჰიჩკოკს თავის ფილმებში ქალის როლის უგულებელყოფაში ადანაშაულებდნენ).

„კინო, ისევე, როგორც ხელოვნების სხვა ფორმები, დღეს ერთმანეთს შეერწყა და ინტერაქციული გახდა. რასაც ადრე ვკითხულობდით, ახლა „ვაკლიკებთ“, შესაძლოა, ამ კლიკით შინაარსიც კი შევცვალოთ. 7 წლის წინათ ჩვენ ვიყა-ვით ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ სმარტფონი. თითქოს, ჩვენში არა-ფერი შეცვლილა, მაგრამ დღეს ყველანი სმარტფონში ვართ ჩამძვრალი. სა-ხეზე გვაქვს მომხმარებლების შექმნილი ვიდეოები, რომელთა პოპულარობაც უსაზღვროა. ვფიქრობ, ყველაზე დიდი ცვლილება მედიამ სწორედ აქ განიცადა – ადრე თუ ყველაფერი დაგეგმილი და კულტურულ ჩარჩოში მოქცეული იყო, შეიძლებოდა მსჯელობა, რას ნიშნავს კარგი სცენარი, კარგი კადრი, დღეს ნა-ხავ რომელიმე 2-წუთიან სამოყვარულო ვიდეოს, სადაც არც კადრია სწორად დაყენებული, არც სცენარია გამართული, მაგრამ აქვს უამრავი ნახვა და მო-წონება. მთავარი აქ არის შედეგი, მივიდეთ მომხმარებლის გულამდე და არა წესები, რომლის გათვალისწინებითაც ვღებულობთ შედეგს“, – ამბობს ლევან ლეფსვერიძე, კომპანია „ლივინგსტონის“ გუნდის წევრი, რომელმაც საქართ-ველოს ლუდ „34“-ის კამპანიით წელს კანის საერთაშორისო რეკლამის ფესტი-ვალის პირველი ჯილდო – ბრინჯაოს ლომი მოუტანა. მიყვება იმ შთაბეჭდილე-ბების შესახებ, რაც კანში მიიღო, – „უკვე შემუშავებულია ტექნიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ 360-გრადუსიანი ფილმი – საითაც მაყურე-ბელი თავს მიატრიალებს, იქით განვითარდება სიუჟეტი.

გამოდის, რომ ყველა მათგანი საკუთარ ფილმს ნახულობს, რადგან გამო-რიცხულია, ორმა ადამიანმა ერთდროულად, ერთი და იგივე რამ დაინახოს.“

გამოდის, რომ სიუჟეტის დეცენტრალიზაციასთან ერთად, ფიზიკური და ვირ-ტუალური რეალობის სრული აღრევა ხდება; რა არის ეს, თუ არა ბავშვობაში დაბრუნების ბუნებრივი ვნება, რომელიც ალბათ ქვეცნობიერად, არასდროს გვტოვებს, თამაშის სურვილი ხომ ჩვენი ბუნების განუყოფელი ნაწილია, თა-მაშის არქეტიპები კი, როგორც ვიცით, ყველა ეპოქაში, ცივილიზაციასა თუ კულტურაში უცვლელი რჩება. გამოდის, რომ ტექნოლოგიური პროგრესისა და გადმოცემის ფორმების რადიკალურ ცვლილებასთან ერთად, მთავარ მა-მოძრავებლად მაინც ფიქციის როლი რჩება. და თუნდაც იმის ფონზე, რომ როდესაც ორიოდე ათწლეულის წინათ, დასავლეთში უკვე დიგიტალიზაციის ხანა დგებოდა, ყველა სახლში მთავარ მოწყობილობად კომპიუტერი აღიქ-მებოდა, ჩვენთან კი ოჯახის მთავარ წევრად ჯერ კიდევ „კერასინკა“ მოიაზ-რებოდა, პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია – კანში არა მხოლოდ კლასი-კის პროგრამაში, ელდარ შენგელაიასა და სერგო ფარაჯანოვის ფილმებით გვიხსენებენ (სხვათა შორის, Cannes Classics ფესტივალის ორგანიზატორებ-მა სწორედ იმიტომ შექმნეს, რომ ციფრული რევოლუციის ფონზე, ნამდვილი კინოს ფასეულობებისათვის კიდევ ერთხელ გაესვათ ხაზი), არამედ უკვე, სა-რეკლამო რუკაზეც მოგვნიშნეს. ⣿

ახალი ადამის შესახებ

„ადამი მედია პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისთვის“ ახალი პროექტია. ის აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორი ქვეყნების მედია და კინოპროფესიონალებს აერთიანებს. კულტურული ინტეგრაცია და მრავალფეროვნება, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, დისკრიმინაცია და მიგრაცია – ეს იმ თემების ჩამონათვალია, რომელზეც „ადამი“ 6 ქვეყანაში მედია კონკურსს აცხადებს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც ტელემაუწყებლებს, ასევე დამოუკიდებელ პროდიუსერებს/რეჟისორებს, სტუდენტებსა და ჟურნალისტებს. პროექტს, რომელიც გავლენიანი სამაუწყებლო პარტნიორების და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ხორციელდება, საინტერესო ამოცანები აქვს დასახული.

პროექტის ხელმძღვანელია გერმანელი დოკუმენტალისტი შტეფან ტოლცი. მას, ქართველი მაყურებელი საქართველოში გადაღებული მისი ბოლო ფილმით „სრული სვლით დასავლეთისკენ“ იცნობს.

მოდით დავიწყოთ თავიდან. ვინ არის შტეფან ტოლცი და რა უნდა მას, უკვე 24 წელია, საქართველოში?

როცა 1990 წელს საქართველოში ჩამოვედი, ნამდვილად არ ვფიქრობდი, რომ აქაურობა ჩემი მეორე სახლი გახდებოდა. არეული პერიოდი იყო – ქვეყნის უკანასკნელი დღეები კომუნისტური რეჟიმის ქვეშ, ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა. მაშინ სადღაც ოცდახუთიოდე წლის ვიქნებოდი და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, როგორც სულ პირველი სტუდენტი დასავლური ქვეყნიდან. არა მხოლოდ ქვეყანა იყო ჩემთვის ,,ეგზოტიკური“, არამედ მე თვითონაც ,,ეგზოტიკური“ ვიყავი ქართველებისთვის. გარდა იმისა, რომ მაქსიმალურად ბევრ ქართულ ფილმს ვუყურე (რამდენიმე შემოსაცმელ-

ში შეფუთნული, ხანდახან სულ მარტო ვიჯექი გაუთბობელ კინო-დარბაზებში), ენის სწავლაც დავიწყე, რამაც რამდენიმე ოჯახისა და ქართული კინოსამყაროს განთქმული არტისტის სახლისა და გულის კარი გამიღო; ამ არტისტთა შორის იყვნენ თენგიზ აბულაძე, ელდარ შენგელაია, რეზო გაბრიაძე, თემურ ბაბლუანი. ცხადია, ეს პოლიტიკურად მძიმე პერიოდი იყო, ისევე როგორც მომდევნო წლები, მაგრამ ჩემთვის საქართველოში გატარებული პირველი წელიწადნახევარი ალბათ ცხოვრებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დრო არის. ჩემთვის ეს ლამის უსასრულო საგანძურის ძიება იყო, კონკრეტული კინოენის აღმოჩენა, რომელსაც აქამდე არასდროს შევხვედროდი. მართალია, არ ვფიქრობ, რომ ყოველი ქართული ფილმი გენიალურია, მაგრამ ქართულ კინოში უდავოდ ერია ბრილიანტები, რომლის შესახებაც დასავლურ ქვეყნებში თითქმის არავინ არაფერი იცოდა, რამდენიმე კინოექსპერტის გარდა. დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში მიცხოვრია. მიყვარს საფრანგეთი და კალიფორნია, ხოლო ჩემმა, როგორც რეჟისორის სამუშაომ არაერთი ადგილი აღმომაჩენინა – დაწყებული ჩინეთით, კუბათი დამთავრებული, ან კიდევ იემენი თუ კანადის კლდოვანი მთები. მაგრამ ჩემი, როგორც რეჟისორის, სულის სამშობლო თბილისია და არა ნიუ იორკი, მიუნხენი ან პარიზი – და სულერთია, რომელი ქვეყნის პასპორტი მაქვს ან სად დავიბადე.

რატომ დოკუმენტალისტიკა?

ბევრი ადამიანი დოკუმენტურ ფილმებს, შესაძლოა, მეორახარისხოვან ფილმებად, არანამდვილ ფილმებად აღიქვამს, რაღაც ისეთად, რის გამოც კინოში არ მიდიხარ და რაშიც ფულს არ იხდი. მაგრამ როცა მიუნხენის კინოსკოლაში დოკუმენტალისტიკის ძალა აღმოვაჩინე, ეჭვიც არ შემპარვია, რომ ეს ის იყო, რისი კეთებაც მინდოდა.

კიოლნში საკუთარი კინო საპროდუსერო კომპანია Filmpunkt დააარსეთ. რა პროექტებზე მუშაობთ ამჟამად?

სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებში ვსპეციალიზდებით. ამჟამად, Filmpunkt სამ დოკუმენტურ ფილმშია ჩართული, ბიუჯეტი კი, ჯამში, 1,8 მილიონს შეადგენს, რაც ჩვენს ბიზნესში დიდი ფულია. აქედან მხოლოდ 10% მოდის ტელევიზიიდან. ეს არ არის კარგი ტენდენცია, იმდენად, რამდენადაც საზოგადოებრივი ტელევიზია უფრო მეტს უნდა დებდეს შემოქმედებით დოკუმენტალისტიკაში, რადგან ეს ერთ-ერთი საუკეთესო ფორმაა, ჩვენი საზოგადოების განვითარებაზე იფიქრო; და ეს, თავის მხრივ, საზოგადოებრივი ტელევიზიის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

ამ მომენტში, ფილმის CAHIER AFRICAIN-ის თანაპროდუსერები ვართ. ესაა ფილმი ქალზე, რომელიც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (სადაც ამჟამად სამშვიდობო მისიაში ქართველი ჯარისკაცები მონაწილეობენ), სამოქალაქო ომის დროს გააუპატიურეს. ფილმის რეჟისორი შვეიცარიელი ჰეიდი სპეკონია, ხუთ წელზე მეტია, რაც იმ ქალების ისტორიებს ადევნებს თვალს, რომლებიც არ გაჩუმებულან და ომის დანაშაულებათა მოწმეებად მოგვევლინენ. ასეთი დანაშაული კი ომის დროს განუწყვეტლივ ხდება და ყოველთვის ყველაზე სუსტს ურტყამს.

ჩემი პარტნიორი კომპანიაში, ტომას რიდალცჰაიმერი, ამჟამად ორ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობს. ერთს ჰქვია ,,გულისწადილის ფერი“ (The Color of Yearning) და სვამს კითხვებს იმის თაობაზე, თუ რა ამოძრავებს ადამიანებს, რა მოთხოვნილებები გვაქვს, რა გრძნობებს მივდევთ, რატომ ვდგებით ყოველ დილას და ვფიქრობთ, რომ ცხოვრებას აზრი აქვს. რაღაც უნდა იყოს, რისკენაც მივილტვით. ხუთ სხვადასხვა ქვეყანაში გვქონდა გადაღებები და ახლა პოსტ-პროდუქციის ეტაპზე ვართ.

მეორე დოკუმენტურ ნამუშევარს ტომასი ენდი გოლდსუორთისთან ერთად აკეთებს. ენდი ბუნებაში მუშაობს და ჩვენს პლანეტაზე კაცობრიობის მიერ დატოვებულ ნაკვალევს იკვლევს, ტომასი კი ამ ახალი ფილმისთვის მას, რამდენიმე წელია, კამერით დაჰყვება. ამ ფილმის (სამუშაო სახელი: ,,ადამიანური შეხება“ [The Human Touch]) თანაპროდუსერი ედინბურგული Skyline Productions-ია. 2017-ში გამოვა.

როგორც ვიცი, ერთ-ერთი პროექტი ქართულ თემას და ქალებს უკავშირდება.

დიახ, 2013 წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ჩემი უკანასკნელი ფილმის პრემიერის შემდეგ ჩემთან ბრიტანელი მსახიობი მარიამ დ’აბო მოვიდა. როგორც იცით, ის ცნობილი ქართველი გენერლის, კვინიტაძის ქალიშვილია, რომელიც 1921 წელს, ვიდრე საქართველო საბჭოთა რესპუბლიკად იქცეოდა და დამოუკიდებლობას დაკარგავდა, ბოლშევიკებს ებრძოდა. მარიამი დაინტერესებულია, რომ თავისი ისტორია მოჰყვეს – რომ მას ქართული ფესვები აქვს და რომ გაარკვიოს, რას ნიშნავს ეს ფესვები მისთვის. ასე რომ, საფუძველი ჩავუყარეთ პროექტს იმ დამოუკიდებელი ქალი არისტების შესახებ, რომლებიც დასავლეთ ევროპაში ცხოვრობენ, მაგრამ თვლიან, რომ მათი ნიჭი და კარიერა საქართველოსთანაა დაკავშირებული. ნინო კირთაძე, როგორც პარიზში მცხოვრები ქართველი რეჟისორი, ამ პროექტის ნაწილი იქნება. ასევე, გვინდა რომელიმე ქართველ მუსიკოსთანაც ვიმუშაოთ – მაგალითად, ხატია ბუნიათაშვილთან ან ქეთი მელუასთან. მარიამის დედა ახლა 95 წლისაა და როგორც პირველი ქართველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას ქალიშვილი, ერთ-ერთი უკანასკნელი მოწმეა 1921 წლის ქართული ემიგრაციისა. სამწუხაროა, რომ პროექტი ჯერ არ დაფინანსებულა, არადა ამ ქალბატონს იმდენი რამ აქვს მოსაყოლი...

მგონი, უკვე დროა, ვახსენოთ დღესდღეობით თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი – „ადამი მედიის პრიზი კულტურული მრავალფეროვნებისათვის“. საიდან მოვიდა მისი შექმნის იდეა?

ჩემი კარიერის მანძილზე რამდენიმე კინო, თუ სატელევიზიო ჟიურიში ვიყავი, მაგრამ ერთი ასეთი ჟიურის როლი ბოლო წლებში ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა. ვგულისხმობ ,,ევროპულ CIVIS მედია პრიზს ინტეგრაციისა და კულტურული მრავალფეროვნებისთვის“. ეს პრიზი ერთგვარ ქსელად იქცა მაუწყებლებსა და შემოქმედებით ტალანტებს შორის მთელი ევროპის მასშტაბით; ფილმებზე, ჟურნალისტების პასუხისმგებლობასა და საჯარო მედიაზე საუბარი ჩემთვის ყოველწლიური შანსია, შევხედო, რა ხდება ევროპაში; რა ტენდენციებია, რა პრობლემები, რა როგორ ვითარდება; ვინ დგანან მედიაწყაროების უკან და ვინ არიან გადაწყვეტილების მიმღებები სხვა ქვეყნებში. სამწუხაროდ, „CIVIS მედია პრიზი“ მხოლოდ ევროკავშირისა და შვეიცარისთვის არის ღია. ამდენად, როცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ აპირებდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის კულტურისა და მედიის სფეროებში პროექტები დაეფინანსებინათ, ვიფიქრე, რომ შესაძლოა, კარგი აზრი ყოფილიყო, თუ CIVIS-ის გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მედიაპროფესიონალების ერთმანეთთან დაკავშირების მიზნით, საკუთარი, დამოუკიდებელი მედიაპრიზი დაარსდებოდა. სახელწოდება „ადამი“ ქართული სიტყვიდან – ,,ადამიანი“ – მოდის, რადგან, რა გასაკვირია, მინდოდა, ამ პრიზზე პატარა ქართული ანებეჭდი დამეტანა. ადამი პირველი ადამიანი იყო ჩვენს პლანეტაზე. ჰოდა, სწორედ ამას ეხება ჯილდოც. ფილმების გაკეთება უკეთესი პლანეტის შექმნის მიზნით – ,,ადამიანებისთვის“.

ჩემი აზრით, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ფული იქნება თითოეული ექვსი კატეგორიის ჯილდოსთვის გამოყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ ეს არის შანსი, ფილმები სხვადასხვა ქვეყნის გადაწყვეტილების მიმღებებს წარედგინოს. ეს ერთმანეთის გაცნობისა და ურთიერთობების შენარჩუნების კარგი საშუალებაა, ურთიერთობები კი მნიშვნელოვანია. უმცირესობების საკითხებსა და მრავალფეროვნების, როგორც პოზიტიური და არა ნეგატიური მოვლენის მიღებას, ჩვენი საზოგადოებების მომავლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. „ადამი“ ამ საკითხებს ფანარს მიანათებს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მედიაწყარო – საზოგადოებრივი თუ კერძო ტელევიზიები და ონლაინ მედია – ამაში ჩაერთოს. ეს არის მთავარი ამოცანა, რაც მე და ჩემს გუნდს გვაქვს.

რა საპრიზო კეტეგორიები აქვს კონკურსს?

კონკურსი ექვს კატეგორიაში გამოვაცხადეთ: მხატვრული ნამუშევრები და გასართობი პროგრამები, დოკუმენტალისტიკა და სრულმეტრაჟიანი არამხატვრული ნამუშევრები, ახალი ამბები და მოკლემეტრაჟიანი არამხატვრული ნამუშევრები, ვებგვერდები, ვებვიდეოები და პრიზი ახალგაზრდა რეჟისორებისა და ჟურნალისტებისთვის, რომელთა ასაკი 28-ს არ აღემატება. მონაწილეებს შეუძლიათ, ჩვენი ვებგვერდის საშუალებით – www.adamimediaprize.eu – ყველა დეტალს გაეცნონ. რეგულაციები ექვსივე ენაზე ვთარგმნეთ, ასე რომ, გარიყულად თავს არავინ იგრძნობს. განაცხადის შემოტანის დედლაინი 2015 წლის 25 ოქტომბერია. ნოემბერში კიევში, დასავლეთ ევროპიდან და მონაწილე ქვეყნებიდან მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, ჟიურის

სესიებს ჩავატარებთ. 10 დეკემბერს თბილისში დაჯილდოების ცერემონია გაიმართება, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი კი ცერემონიას პირდაპირ ეთერში გააშუქებს.

„ადამი“–ს გვერდში უდგანან ისეთი გავლენიანი მედიაორგანიზაციები, როგორიცაა Civis მედია ფონდი, ევროპის სამაუწყებლო კავშირი. ვფიქრობ, ეს უკვე მნიშვნელოვან მხარდაჭერას გულისხმობს.

ცხადია, ჩვენი აქტივობების კოორდინირებას CIVIS მედია ფონდთან ვახდენთ, რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. გარდა ამისა, ამ ინიციატივის კოორდინირება EBU-სთანაც (ევროპის სამაუწყებლო კავშირი) ხდება და „დოიჩე ველესთანაც“. ორივე ინსტიტუცია, მრავალი წელია, აღმოსავლეთ ევროპის მედიისთვის მუშაობს და მე მოხარული ვარ, მათი ფართო ქსელის გამოყენება რომ შემიძლია. ჩვენს ნაბიჯებს, ასევე, DGO-სთან (გერმანული ასოციაცია აღმოსავლეთ ევროპის კვლევებისათვის) განვიხილავთ, რომელიც გერმანიის იმ საუკეთესო მეცნიერებსა და ინტელექტუალებს აერთიანებს, რომლებიც ამ რეგიონს იცნობენ. ძალიან მიხარია, რომ ახლა ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციაც გვეხმარება, როგორებიცაა უკრაინისა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლები, უკრაინაში არსებული ,,ინტერნიუსი“ ან ,,შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიისთვის“. თუმცა, იმედი მაქვს, კიდევ უფრო მეტ რეგიონულ და ადგილობრივ პარტნიორს ვიპოვით, რადგან ეს არ უნდა დარჩეს ,,გერმანელების გაკეთებულ პრიზად“, არამედ საერთაშორისო ინიციატივად უნდა იქცეს, რომელსაც თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ორგანიზაციები დააფინანსებენ.

დაბოლოს, რას ელოდებით „ადამისგან“?

იმედი მაქვს, „ადამი“ რეალური იმპულსი აღმოჩნდება, რომელიც ამ ექვსი ქვეყნიდან რამდენიმეში მაინც სატელევიზიო სტრუქტურების ცვლილებებს წაიქეზებს. საზოგადოებრივი სერვისის მაუწყებლობის გააზრება ჯერ ისევ პროცესშია. ადამიანები კვლავ მიჩვეულნი არიან აზრს, რომ ,,გადაწყვეტილებებს ბოსი იღებს“ და არ სურთ, რომ თავად მიიღონ გადაწყვეტილებები ან კი, არ აქვთ ამის უფლება. მაგრამ საზოგადოებრივი ტელევიზია ხალხს ეკუთვნის და არა ხელისუფლებას. თუ გაძლიერდება სამოქალაქო შეგნება იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს, დამკვეთი რედაქტორები და გადაწყვეტილების მიმღებები ამ ინიციატივიდან დიდ სარგებელს ნახავენ. მჯერა, რომ „ადამის“ შეუძლია თვალების ახელა, როგორც ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების თემებზე, ისე ახალ სატელევიზიო ფორმატებსა და კინოსტილებზე. ამდენად, თუ რამდენიმე წლის შემდეგ უფრო მეტად და გაუმჯობესებულად გაშუქდება ეს საკითხები, მაშინ ეს დიდი წარმატება იქნება. და თუ ფილმები, რომელთაც აქამდე მხოლოდ ეროვნულ დონეზე აჩვენებდნენ, „ადამის“ მეშვეობით დასავლეთ ევროპისა ან სხვა ქვეყნების მედიის ყურადღებას დაიმსახურებს. ეს დიდი შანსი იქნება რეჟისორებისთვის, ახალი პროექტებისთვის პარტნიორები იპოვონ. მე ამის მჯერა, სხვაგვარად, ამ ინიციატივას არც წამოვიწყებდი. ახლა კი, საქართველოსა და დანარჩენი ხუთი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნის მედიაპროფესიონალებზეა დამოკიდებული, რომ ეს ინსტრუმენტი საკუთარი მომავლისთვის გამოიყენონ. ⣿

ძველი კადრები ახალი რაკურსით

[მერიკო ქაჯაია]

სამსართულიან, უზარმაზარ საცხოვრებელ სახლს შორიდან ვამჩნევ. ფასადი მდიდრულია, დახვეწილი ორნამენტებით – ქვებზე ფრინველები და ყვავილებია გამოსახული. ჩემთვის საინტერესო აივანი რკინის მოაჯირებს მიღმა მოჩანს.

– „მეღვინეთუხუცესს ეშინოდაო სიმაღლის, ეს აივანი კიდევ მოსახერხებელი ყოფილა გადასაღებად. ადრე უფრო ლამაზი იყო. ახლა „ბრეზენტით“ არის გადახურული“, – პროდუქტებით ხელებდატვირთული მაცხოვრებელი ვიწრო, მწვანესახურავიან აივანს მიჩვენებს.

ბევრჯერ ჩამივლია ამ ქუჩაზე. მინახავს „დათა თუთაშხიაც“. თუმცა აივანი, სადაც ფილმში, დათა თუთაშხია და გრაფი სეგედი საუბრობენ, ცოტა უფრო წარმოსადეგი წარმომედგინა.

– „როგორ შეიძლება აივანზე მოხვედრა, ახლა ვინ ცხოვრობს ამ სახლში“?

– „სულ უბრალო ადამიანები ვცხოვრობთ. ყოველ შემთხვევაში, ხელოვნებასთან არავის გვაქვს კავშირი. მარტო მელიაა საზოგადოებისთვის ცნობილი. შემოდი შიგნით სადარბაზოში, ნახე რა ლამაზია“; ცნობილი სახლის „უბრალო“ მაცხოვრებელს უზარმაზარი ხის კარის შეღებაში ვეხმარები; ვფიქრობ, რომ გამიმართლა. ამ სახლში არავის ვიცნობ. ნაცნობის გარეშე კი შიგნით შეღწევა შეუძლებელი მგონია.

ამ სახლს რომ საინტერესო ისტორია აქვს, ეს ერთი შეხედვითაც ცხადია – ბევრჯერ გინახავთ მარმარილოთი მოპირკეთებული, უზარმაზარჭაღიანი და ბროლის მინებიანი თბილისური სადარბაზო? 1910-იან წლებში ასეთი ინტერიერის შექმნა თბილისელ ვაჭარს, ბოზარჯიანცს არქიტექტორ მიხეილ ოჰაჯანოვისთვის დაუვალებია. საჭირო მასალა კი, პარიზიდან და ვენეციიდან თვითონ ჩამოუტანია.

– „მერე კონკურსშიც მიიღო ამ სახლმა მონაწილეობა. ვერცხლის მედალი აიღო, როგორც თბილისის საუკეთესო ნაგებობამ; და მარტო „დათა თუთაშხია“ კი არა, „ნინოც“ აქ არის გადაღებული, „გაზაფხულის 17 გაელვებაც“... ახალი ნაცნობი ბოლო ინფორმაციას მაწვდის, ბოდიშს მიხდის დროის უქონლობის გამო და მემშვიდობება. სადარბაზოში კიდევ რამდენიმე წუთი ვჩერდები. მესამე სართულის შვიდმეტრიანი ჭერის არსებობა უნდა გადავამოწმო.

შემდეგი კინო-კადრ-შეჩერება შორს არ არის. ასათიანის 14 ნომერში, ბეთლემის კიბეზე ავდივარ. აგურის კედელს აბრა ამშვენებს: „ბეთლემის ქუჩის კიბე. არქიტექტორი ტიმოთე ბელოი. 1850წ. მშენებლობა უსასყიდლოდ განახორციელეს თბილისელმა ოსტატებმა – ამქრებმა“. თითქოს არაფერი შეცვლილა წლების შემდეგ. თითქოს მხოლოდ პერსონაჟების დაბრუნებაა საჭირო – სოფიკო ჭიაურელი, გარეცხილი სარეცხი და რამდენიმე სიტყვა. მაგრამ ყველაფერი ასეთი მარტივი არ არის – კედელზე უზარმაზარი, ლურჯი წარწერა მხვდება, – „მანქანას ნუ გააჩერებთ“. ეს კადრი „ვერის უბნის მელოდიებიდან“ არ მახსოვს. არც იმაზე მაქვს წარმოდგენა, კიბეებით შემოსაზღვრულ კედელთან მანქანა როგორ უნდა გააჩერო, თუმცა ალბათ ასეთებიც ხდება.

პირველი, ვისაც აქ ვხვდები ქერა, წითელშორტებიანი ბიჭუნაა, საკუთარ თავს ნარდს ეთამაშება. ნარდზე საუბრით ბიჭუნას მეზობლის ყურადღებას ვიქცევ – ხის ფარდულიდან შავპუდელიანი, ძალიან გამხდარი მამაკაცი მესალმება:

– „ხშირად მოდიან ამ ადგილის სანახავად, ნახავენ და მიდიან. ყურადღება რომ სჭირდება, მოვლა და გაფრთხილება არ აინტერესებთ“.

სახლი, რომლის ფანჯრიდანაც წლების წინათ ვარდომ გარეცხილი სარეცხი გადმოყარა, ახლა საწყობად არის ქცეული – აქ თავდაყირა დგას მაგიდები და სკამები, ჩამსხვრეულია ფანჯრის მინები, უკვე დიდი ხანია, ყოველთვის და ყველასთვის ღიაა კარიც.

ყველასთვის ღიაა თბილისის ერთი ძალიან ლამაზი ეზოც. შესვლითანავე თვალში გხვდება სიძველისგან გახუნებული ცისფერი, ხვეული კიბე. საცხოვრებელ სახლებსა და კიბეს ათამდე თოკი აკავშირებს. თოკებზე, თაროზე დაწყობილი წიგნების სიზუსტით, ფერად-ფერადი სარეცხია გაფენილი. სარეცხის მეპატრონეები აივნებიდან იყურებიან, აქ ერთმანეთზეც და ეზოზეც ყველამ ბევრი რამ იცის:

– „აი, ამ კიბეზე გადაიღეს „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, ნახე, ოღონდ მესამე საფეხურზე მაღლა არ ახვიდე, ავარიულია და საშიშია“.

საფრთხის მიუხედავად, ეზოს ჩემ გარდა რამდენიმე ტურისტი და მხატვარი სტუმრობს. ობიექტივიც და ფუნჯიც ცისფერი, ხვეული და უსწორმასწორო კიბის ასახვას ცდილობს.

– „სულ გვყავს სტუმრები, მაგრამ მალე მიდიან ხოლმე. მარტო ეგენი კი არა, მაცხოვრებლებიც ხშირად იცვლებიან. ისე, მგონი, საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი გვყავს – აი, პირველ სართულზე ცხოვრობენ მეგრელები, მეორეზე მეგრელები, მესამეზე მეგრელები“, – ხუმრობს ახალგაზრდა მამაკაცი და მეორე სართულზე ავყავარ.

აქ ცხოვრობდა სერგო ზაქარიაძე, კიდევ ლადო ასათიანის და, და თვითონ ლადოც ცოტა ხანს – უზარმაზარი ნახატებით, უამრავი ფუნჯით და საღებავებით მიხვდებით, რომ ახლა ამ სახლში მხატვრის სახელოსნოა – „Paris, 2011, მამუკა ცეცხლაძე“, – ვკითხულობ ნახატის უკანა მხარეს. ამ ადგილიდან მთლიანად ჩანს ხვეული კიბე. მასპინძელს ვეკითხები, ხომ არ იცის, რას უპირებენ ამ კიბეს , – „არ აპირებენ რესტავრაციას?“

– „მოვიდნენ რამდენჯერმე და ნახეს, – ძვირი ჯდებაო, 10 ათასზე მეტი“, – საუბარში ბებო გვერთვება.

– „ეს შენობები ყველა ავარიულია, ამბობენ, – უნდა დავანგრიოთო; პერსპექტივაში ამ კიბესაც იგივე ბედი ეწევა. ჩვენ კიდევ ახალაშენებულ ბინებში გადაგვიყვანენ“.

– „გინდათ მერე გადასვლა?“

– „როგორ არ გვინდა, თუ უკეთესს მოგვცემენ, რატომ არ უნდა გვინდოდეს?“

გავიფიქრე, რომ ახალაშენებული კორპუსები ტურისტებისთვის და მხატვრებისთვის საინტერესო არ იქნება, ალბათ არც ჩემნაირებისთვის. ხმამაღლა არაფერს ვამბობ. ახალგაზრდა მამაკაცს ვემშვიდობები, მადლობას ვუხდი, რომ დრო დამითმო.

მეორე სართულიდან ბოლოჯერ შევავლე მზერა ცისფერ, უსწორმასწორო, ძალიან ძველ კიბეს. მწყინს, რომ ასე მარტივად დათანხმდნენ ამ ისტორიის დანგრევას, რომ სერგო ზაქარიაძის და ბელა მირიანაშვილის კიბის ნახვა შეიძლება მხოლოდ ფილმში მოგვიწიოს; რომ ხვეული კიბე, რომელზეც გიორგი და ლამარა ადიოდნენ, რესტავრაციად არ ღირს მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან, ძალიან ძვირი ჯდება – 10 ათასზე მეტი!

ჯვარეღინი მეხსიერება

ეოგონებები
საღომე ბენიძე,
ანუნა ბუჭია

~ სახლამდე ~

~ მანამდე ჩემი სახლი იყო მამაჩემი, რომელიც ომში არ მომკვდარა, მაგრამ წლების შემდეგ ომმა მომიკლა.
ჩემი სახლი იყო ჩემი ძაღლი, რომელსაც სიმინდის ყანაში ვემალებოდი და ზუსტად სამ წუთში მპოულობდა.
ჩემი სახლი იყო სათამაშო – სამზარეულო გარნიტური, რომელიც ნაძვის ხის ქვეშ დამხვდა.
ჩემი სახლი იყო ყველის კვერები, სხვადასხვა ფორმის, რომელსაც დედა ჩემთან ერთად ამზადებდა.
ჩემი სახლი იყო მანდარინის ხეები, რომელსაც სამზარეულოს ფანჯრიდან ვწვდებოდი და ჯერ კიდევ მწვანეს მივირთმევდი.
ჩემი სახლი იყო ფერადი მძივები და ათას ერთი ხარახურა, რომელიც ბლომად მეყარა ფუთებში და ბებია-ჩემის სახლში გადამქონდა.
ჩემი სახლი იყო ჩემი ბავშვობა, ყველაზე ლაღი და ბედნიერი, რომელიც აქამდე მაძლებინებს.

~ ახლა ჩემი სახლი არის დედა-ჩემი, რომლის იმედი და თავიდან დაწყების ნიჭი მუდამ მაოცებს.

~ მერე ჩემი სახლი იქნება ჰამაკი, რომელსაც გავკიდებ მანდარინის ორ ხეს შორის, დაწვები და ხელს ჩამოვუშვებ, კავკასიური ნაგაზის აცქვეტილ ყურებს რომ მივეფერო, და იქნებ მისმა წინაპარმა მაპატიოს, რომ მივატოვე.
ჩემი სახლი იქნება ოცნება, რომ ოდესმე ტრიალ მინდორში ვიდგები, მუხლამდე მოზრდილ ბალახს გადავწევ და ფეხებთან აღმოვაჩენ პატარა ტაფას სამზარეულო გარნიტურიდან.



საღოვე ბენიძე

თქვენს წინაშეა პროექტი „ჯვარედინი მეხსიერება“. საღოვე ბენიძე აფხაზეთში მატარებუდ მისი ცხოვრების პირველ 4 წელს იხსენებს, სოლო ანუნა ბუპია ერთი თვის წინ ნანახ სოხუმს. კონტრასტი, რომელიც იძენება მხატვრული ტექსტითა და დოკუმენტური ფაქტებით, ეთვონებებით და რეალურად ნანახით, ეს არის მცდელობა დავამონტაჟოთ ორი აღმიანის მეხსიერება და წარმოგიდგინოთ ნაწური ფილმი, რაღგან ამ ფილმის მაყალება მერ მოვახერხეთ.

~ ზღვა ~

ზღვასავით არაფერი მიყვარს. ბევრი ზღვის ფერი მინახავს, ბევრი ზღვის ხმა მომისმენია. არასდროს მყოფნის. სულ ვფიქრობ, ის ზღვა, რომელიც არ მახსოვს, ის ზღვა, რომელიც აფხაზეთშია, სულ სხვანაირი უნდა იყოს.

შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც ომის მერე ზღვას არ ნახულობენ, ზღვაში არ შედიან, რადგანაც მათთვის ზღვა სისხლიანია. ჩემები არ დადიან ზღვაზე და არ აღიარებენ არცერთ სხვა წყალს. ეს ზღვა იყო კარგიც და ჩვეულებრივიც. კარგი იყო, რადგანაც ჩემი თვალით ვიხილე, ის რაზეც ამდენი ხანი მიყვებოდნენ და არ მახსოვდა; ჩვეულებრივი იყო, რადგანაც ისე არ ხმაურობდა, როგორც წარმომედგინა, თოლიებიც არ იყვნენ. თოლიები საერთოდ არ მინახავს. ეს იყო ახალი ზღვა, ვიგრძენი, რომ ჩემია.

ანუნა ბუკია

~ ხიდი ~

ზუგდიდში ხშირად მიწევს ჩასვლა. ასეთი სამსახური მაქვს. ე.წ. საზღვრისპირა რეგიონებში აქტიურად ვმუშაობთ. ენგურის ხიდთან მისვლას ყოველთვის ვერიდები. ვერიდები, თვალი გავუსწორო ჩემი ცხოვრების ყველაზე მტკივნეულ რეალობას, ვერიდები იმაზე ფიქრს, რომ ხიდი ყოველთვის არაა დამაკავშირებელი, ზოგჯერ შეიძლება, გამყოფიც იყოს.

ჩემთვის სამი ხიდია...
პირველი ენგურის ხიდია, რომელიც ყანყალებს, სულ ვფიქრობ – ნეტავ რამდენს გაუძლებს. ამ ხიდის იქეთ სხვანაირი ჰაერია, სიმწვანეა, ეს სულ ჩემი შეგრძნება მგონია, მაგრამ სხვებიც ამბობენ, – შეიძლება რამდენიმე მეტრით მოცილდე ენგურის სათავეს და ციტრუსი, რომელიც არ ხარობს აქეთ, იქ უკვე ყვავის.
მეორე ხიდი, სოხუმში რომ შევედი მაშინ აღმოვაჩინე, თურმე ქალაქი ხიდებით იკვეთება, ბეტონის ხიდები შესასვლელთან არის გაკეთებული, მის მიღმა იშლება სოხუმი.
მესამე ხიდით ილორში გადავედით. ხიდის ქვეშ დავინახე რკინიგზა, მთელი პერიმეტრი გასუფთავებული იყო, რუსული მანქანები და სამხედროები იდგნენ, რკინიგზა გაჰყავდათ. მანდ კიდევ ერთხელ გავაცნობიერე, რომ რკინიგზის გაყვანა – ეს არ იქნება დაკავშირება, ეს იქნება დაშორება, დამატებითი გასასვლელი ხაზი შენი გვერდის ავლით.

ფოტო: ნიკო ტარიელაშვილი

~ ენა ~

დედა დღემდე ამბობს, – ომი რომ არ დაწყებულიყო და აფხაზეთში გვეცხოვრა, ჩემი შვილიშვილები ალბათ რუსულად ილაპარაკებდნენო. თვითონ იმერეთში გაიზარდა და მრავალენოვან გარემოსთან შეგუება ძალიან გაუჭირდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ცალი ფეხი ყოველთვის ენგურს აქეთ ედგა, ოთხმოცდაათიანებამდეც.

შესვლისთანავე ბრძანებასავით მივიღეთ, – ქართულად არ ისაუბროთ, ილაპარაკეთ მეგრულად და რუსულად. თავს შებოჭილად ვგრძნობდი. მაგრამ სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ ამ დათმობაზეც წავედი. იქ ბევრი ცხოვრობს, ვინც მეგრულად საუბრობს; ისინი ისე აღიქვამენ, რომ მეგრული ენა არ არის ქართული ენის ნაწილი. აფხაზური საუბარი არ გამიგია. რუსულად საუბრობენ ადგილობრივები და ჩამოსული ტურისტები.

~ ომი ~

მამაჩემი ომის დაწყებამდე გარდაიცვალა. ოჩამჩირეში, სოფელ არადუში დავასაფლავეთ, იქ, სადაც გაიზარდა. საფლავზე დარგული პატარა პალმა მახსოვს და მტვრიანი ჰაერი, რომელიც სასაფლაოზე იდგა. აფხაზეთის მიწა მამაჩემია.

უკან რომ წამოვედი, რაღაცა ლოდები მომეხსნა გულიდან. ვიგრძენი, რომ კიდევ მოვალ, მაგრამ ვერ ვიგრძენი, რომ მოვალ როგორც ჩემს მიწაზე. მე ვიყიდი ამ მიწას, ხელახლა ვიყიდი მას.

~ ფერი ~

სიზმარში ხშირად ვხედავ ჭიქაში ჩალაგებულ ფერად საწრუპებს, ახლა რომ კოქტეილის ჩხირებს ვეძახით. ეს ჩემი ბავშვობის ყველაზე ჯადოსნური ფერებია, ყველაზე თვალისმომჭრელი ნათებაა, ომამდელი, სიკვდილამდელი, ცრემლებამდელი. ჭიქა კარადაში დგას, კარადა – სასტუმრო ოთახში, სასტუმრო ოთახი სახლის მეორე სართულზეა, სახლი – ოჩამჩირეში, სოფელ არადუში. ეს ჩემი ოჯახის სახლია.

ღია ცისფერი, თეთრი და მწვანე. სულ მესმოდა, რომ სოხუმი თეთრი ქალაქია, თუმცა თეთრს აქვს თვისება, თუ სადმე რამე სუფთად არ არის შესრულებული, უცებ ჩანს და თეთრი აღარ არის, ჭუჭყშეპარული სითეთრეა, ახლა ქალაქი შეღებილია, მაგრამ თეთრი არ არის, გადაღებილი თეთრია. ცისფერი იყო ცა და ზღვა და ეს იყო განსხვავებული ცისფერი ჩემთვის.
იყო მწვანეც – ბუნებას შეჭმული აქვს ყველაფერი, ის შეჭრილია იქ, სადაც ადრე იყო სიცოცხლე. ამას არ გამოუწვევია პოზიტიური შეგრძნება, ბუნება ველურად გადასულია შენობებზე და მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს მიტოვებულის შეგრძნებას ტოვებს.

~ სათამაშო ~

მზით განათებულ ეზოში ჰულაჰუპი ტრიალებს. ვერცხლისფერი რგოლი სხივებს ირეკლავს და ბზინავს. კადრში ერთმანეთს ენაცვლება ჰულაჰუპი და ჩემი ბიძაშვილის შიშველი ფეხები, ჰულაჰუპი და ფეხები, ფეხები და ჰულაჰუპი... იქვე ჩემი ველოსიპედიც დგას უქმად. სამი წლის ვარ. ველოსიპედის ტარება და ჰულაჰუპის ტრიალი ვერც მერე ვისწავლე.

ორი ძმა მყავს. სათამაშოების უზარმაზარი ყუთი გვქონდა, ამ ყუთში ჩამსვეს, ზედ სათამაშოები დამაყერეს და ჩამკეტეს. დიდხანს მეძებდნენ, სად ვიყავი. აი, ეს მოგონება ამომიტივტივდა იქ ჩასულს. უკვე ვეღარ ვარჩევ, რამდენია ამ მოგონებებიდან მონათხრობი და რა ნაწილია ის, რაც ნამდვილად მახსოვს. სოხუმი ასოცირდება ძალიან ბევრ სათამაშოსთან. ზუგდიდში რომ გადმოვედით, მახსოვს, რომ გვქონდა განსხვავებული სათამაშოები, რომელიც იქაური ბავშვებისათვის იყო უცხო და ეს ძალიან მეამაყებოდა. ეს სათამაშოები დღემდე გვაქვს.

~ კაბა ~

კაბების მოყვარული გოგო რომ გავიზრდებოდი, მამაჩემმა ალბათ თავიდანვე იცოდა. ერთხელ კუბოკრული კაბა მოუტანია ჩემთვის, პატარა, ფრიალა, მოლურჯო-მოიისფრო. სოხუმში უყიდია. დედამ თქვა, რომ მოვიდა, პერანგის ჯიბეში ჰქონდა ჩაკეცილიო. ალბათ მამების ნაჩუქარი კაბები გოგონებს განსაკუთრებით უხდებათ.

როდესაც გავხდი 3 წლის, მამაჩემმა მაჩუქა ყვითელი კაბა თეთრი საყელოთი, ბალიშზე დამხვდა. კაბა ზუგდიდშიც გადმომყვა და ძალიან მიყვარს. ჩასვლისას ეს კაბა გამახსენდა. ის მახსენებს მამაჩემს სოხუმში.

~ ილორი ~

ილორში რომ მომნათლეს, წლის და ორი თვის ვიყავი. მომნათლეს მაშინ, როცა მამაჩემი გარდაიცვალა. ილორი ჩემი ცხოვრების პირველი მოგონებაა. სულ მგონია, რომ ყველაზე ბედნიერი ვიქნები, თუ ჯვარსაც ილორში დავიწერ.

ჩავედი შეგრძნებით, რომ ეს არის ძლიერი სალოცავი, რომელიც საბჭოთა დროსაც კი იყო და ტაძარში ხალხი ინათლებოდა. პირველი რაც ვნახე, იყო კონდიციონერის დიდი ყუთები, რომელიც მთელს კედელზეა გაკრული, ასევე ბევრი მავთული და ელექტროხაზები. ყველანაირი შეგრძნება დავკარგე, როგორც კი შევედი; არ მქონდა შეგრძნება, რომ სალოცავში ვარ. გუმბათის ნაწილში ქართული ფრესკები ჟამთასვლისგან გაშავებულია, იქვეა

საათი, კალენდარი და ქართული წარწერა. კამერა ჩავრთე და ვიღებდი. მინდოდა გადამეღო ბევრი და მეჩვენებინა, რომ ეს ყველაფერი შორს არის სულიერებისგან. ვფიქრობდი, რა აფერხებს ამათ, რომ ეს წარწერები და ფრესკები არ შეათეთრონ.

~ მოძრაობა ~

საით მივდივარ? იქით, საითაც მინდა, რომ მივდიოდე. საკუთარი ცხოვრების მართვა ვისწავლე, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება, დინებების დამორჩილება. ვიცი, როგორია წარმატების გემო, ვიცი, რას ნიშნავს, როცა ზურგს არავინ გიმაგრებს და ყველაფერი მარტომ უნდა აკეთო. ტკივილი და მწარე გამოცდილება იმუნიტეტს აძლიერებს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი ფიქრი, რომელიც ჩემს ყოველ ქმედებას გასდევს, ისაა, რომ კარგი მამის კარგი გოგო ვიყო, კარგი ერთადერთი გოგო, რომელსაც მემკვიდრეობად ყველაზე დიდი რამ – მამის კეთილი სახელი ერგო. ეს ყველა ჯილდოზე, ყველა მიღწევაზე მნიშვნელოვანია.
ყოველ აღდგომას, როცა მთელი საქართველო თავისი ფესვებისკენ იღებს გეზს, მამაჩემის საფლავზე დარდი განსაკუთრებით მაწუხებს. ხშირად მიფიქრია, გადმოვასვენებდი თუ არა მამას აფხაზეთიდან, რომ შემეძლოს. ალბათ არა. ალბათ კი არა, არა. მისი საფლავი ერთადერთია, რაც ჩემს ბუნდოვან მოგონებებთან, სიზმრებსა და ფერწასულ კადრებში შემორჩენილ ბავშვობასთან მაკავშირებს. მამაჩემის საფლავი ძაფია, რომელიც მუდამ მიმართავს ჩემი მოძრაობის ტრაექტორიას აფხაზეთისკენ. ამ ძაფს ვერასდროს გადავჭრი.

იქ, რომ ჩავედი, მეგონა, რომ რაღაცა დამთავრდებოდა. რაღაც იპოვის თავის ლოგიკურ დასასრულს და დაიწყება ახალი. ასე არ მოხდა. რაღაც ჩავიდა, ამოვიდა და გაგრძელდა, ეს მოძრაობა მაინც გრძელდება, თუმცა ვფიქრობ, რომ უფრო მშვიდად. მოძრაობა არის სინდრომი. ეს არის საშინელება, როცა ვფიქრობ ხოლმე, რატომ არ მინდა ომი – მთავარი მიზეზია, რომ არავინ მემეტება ამ კატასტროფული ენერგიისთვის. ადამიანები მოძრაობენ მომავლისკენ, ეს კიდევ არის მოძრაობის ჟინი, სულ რაღაცას ამტკიცებ, გინდა სულ რაღაც გადალახო, გადაცურო, გადაკვეთო, გადახტე. მოძრაობა იქ ახალ ფაზაში გადავიდა, ახლა თითქოს მინავლდა, ამ მოძრაობის დაღლა ამ ეტაპზე განეიტრალებულია. წამოსვლიდან 24 წლის მანძილზე ამ ენერგიით დაღლილი ვიყავი, მომდევნო 24 წელი ამ სიმძიმით სიარული არ მინდოდა.

აივანი მახსოვს გრძელი და ფართო, და სახლის ნეგატივი. სახლის უკან მაღალი ხეები შრიალებდნენ. მათ შორის გაბმული ჰამაკში მუდამ მზე იღვრებოდა. არასდროს მიკითხავს, რა ხეები იყო. ჩემით გადავწყვიტე, რომ – მსხლები.
ვიცი, რომ ჩვენი სახლი ომის დროს არ დანგრეულა. მარტო რომ ჩავიდე იქ, ვერ მივაგნებ.

სულ ვიცოდი ჩემი სახლის მისამართი – მარქსის ქუჩა 12, ბინა 39. სოხუმში ჩასულს, როცა მკითხეს, სად ვცხოვრობ – დამავიწყდა. არადა, ზეპირად ვიცი, პირადობასაც არ ვცვლი, იმიტომ, რომ მას აწერია. ნელ-ნელა აღვიდგინე, რა იყო ახლოს, მერე ნომერიც გამახსენდა. დეიდაჩემს კომპიუტერზე დაყენებული აქვს ფოტო, რომელზეც არის პალმა, სხვა არაფერი ჩანს და როცა ჰკითხავ ამ ფოტოზე გეუბნება, – „აქედან ცოტას გაივლი, მანდ ჩემი სახლია“. მერე ნომრები აირია, ვიცანი იასამნები; დედაჩემი რომ მაძინებდა, აივნიდან ჩანდა, არადა იქ იასამნების ხეივანია, ამას ვერ ვხსნი, ეს იმაზე მეტია, რისი ცოდნაც შემიძლია. კედელი დაცხრილულია, მახსენდება, რომ დედაჩემი ჰყვებოდა, როგორ ჩაუარა ნასროლმა ტყვიამ სამზარეულოში ყოფნის დროს. მერე ვიცანი ნათლიაჩემის სახლი, გრძელი კიბით. მასშტაბები შემეცვალა, მოგონებებში ქუჩა გრძელი მახსოვდა; აღმოჩნდა, რომ გაზრდილი ვარ და სულ სხვა მასშტაბია, ქუჩა პატარაა. აივანი ამოშენებულია. კარებს გადავუღე, კიბესაც, შიგნით არ შევედი. მერე მივხვდი – სახლი შენი მდგომარეობაა. არსად არ მაქვს შეგრძნება, რომ სახლში ვარ. სახლი ჩანთით დამაქვს.

ანუნა ჩანთას ხსნის და მაჩვენებს კენჭებით სავსე პარკს, მეუბნება, რომ შემიძლია ავირჩიო და წავიღო თუ მინდა, ეს ვირჩევ ოთხ ცალს, ღიღ თეთრ კენჭს დედაჩემისთვის, ოდესღაც ვინა რომ იყო და ახლა ეწვანე ქვაღ ქცეულა – დეიდაჩემისთვის, და ორ პატარა ბურთს ჩემთვის და ჩემი ძმისთვის, ვეტი არავინ ეყავს, ეს ოთხი კენჭი ჩემს სახლს ეახსენებს...

დიალექტური კორპუსის ისტორიები — corpora.co

კორპუსი მოიცავს ზეპირ ისტორიებს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ჩაწერილი. ნებისმიერ საძიებო სიტყვაზე თქვენ შეგიძლიათ გაიგოთ ზეპირი თქმები, რომელიც სხვადასხვა დროს და ადგილს წარმოაჩენს, თავისი დიალექტური ხიბლით.

როგორ მოვიდა კინო ჩემს, თქვენს, ქვეყნის, სოფლების, ქალაქების ცხოვრებაში? როგორ მოვიდა და როგორ დარჩა, ან დარჩა კი საერთოდ, რისი და ვისი ადგილი დაიკავა, რითი ან ვისით ჩანაცვლდა?

ჩემთვის წყალტუბოა პირველი კინომოგონება. სამკურნალო აბაზანებზე დადიოდა მზეთუნახავი ბებიაჩემი, მეც თან დავყავდი. ბევრი არაფერი მახსოვს, ჩემი გახამებული კაბის, აბაზანის მარმარილოს და ინდური კინოს გარდა, რომელსაც წყალტუბოს რომელიღაც სანატორიუმის კინოდარბაზში უჩვენებდნენ საღამოობით. და მიუხედავად იმისა, რომ მერე ცხოვრებაში უკეთესი კინოდარბაზები, ფილმები და რეჟისორები ვნახე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც ის იყო, როცა გვერდით ბებია მეჯდა, რომლისაკენ ხშირ-ხშირად ტრიალდებოდნენ წინა რიგებში მჯდომი მაყურებლები და დიდ, ფართო ეკრანზე ცხოვრებისეულ დრამას უკვე მერამდენედ დასტიროდა სქელ და პრიალათმიანი ინდოელი მსახიობი.

ისტორია 1. ანანაძე „ჰოდა, იმ ღამესაც ჩვენ ჯარში, გვარში იყვის მოტაცებულ ტყვეჲ, მიორე დღეს, დილა დაწყებულ, შუადღემდ ვაქეიფებდეთ, ვატარებდეთ, მემრ საჯარეში მივიყვანდეთ, იქ კიდევ მოვიდოდ იმათ გვარითა ერთ-ერთ დამჭსნელი, კაცი, მოიდოდ, დიყჭსნიდ, ერთ ბოთლ არაყს მიყღებდ, ერთ მწვადს მიყღებდ, დიყჭსნიდ ამ ტყვესა›დ, წავიდოდესა›დ მთელ ჩვენ გვარის ქალები, ბიჭები გარმონით სუ იმათ გვარში მივიდოდეთ, მემრე ისენ გადმოიდოდეს, აი ასეთ დროს ვატარებდეთ ერთ კვირაყეს, ეგ იყვ ჩვენ თუშობის გართობაჲ, სხვა არაფერი, აქ კინო-თიატრებ კი არ იყვ.“ / ჩაწერის ადგილი კახეთი, ახმეტა/

ისტორია 2. მაშინ „კინო არ იყო, წარმოდგენა იყო ხოლმე. აექეთ სომხი საყდარი არი, ჩვენთან ხო მანდ წავიდოდით ხოლმე, მანდ ჩაატარებდნენ ხოლმე წარმოდგენაჲ, წარმოდგენაჲ, თან ვერც კი ...
პატარა ადგილია და ვერც კი ვეტეოდით ხოლმე იქა. აქავე, აქავე აკეთებდნენ თითონ ბალღები, ამ სოფლელები. მერე ეს კინო რო მორჩა, ეს წარმოდგენა და რამე, მერე შამაიღეს ეს კინო. მაიტანდნენ, საწყობ წინ გააკრავდნენ ნაჭერ და ჩაატარებდნენ ხოლმე კინოჲ. სკამი არ იყო არაფერი. ზოგი მიწაზე სხდებოდნენ, ზოგ სკამები მიჲქონდა თავიანთი, ტაბურეტკა, დიდი სკამი, პატარა სკამი. ზოგი კიდე მიწაზე ისხდნენ, ბალღები სუყველანი მაჲ.
/ ჩაწერის ადგილი კახეთი, სოფელი კუჭატანი /

ისტორია 3. კავშირი „ფილმი გედეევსოყე ტელევიზიონის ხარეზე და ებნათ, რო ჩონ ქართჯელები ვართ და აი ესეც ქართულ ლაბასია და იქაურ წესები ენახვაღა და იქაურ შუშპრობა ენახვა...“ / ჩაწერის ადგილი ირანი, ფერეიდანი /
კინო ყველგანაა და ყველასთან. ამაში დასარწმუნებლად დასაწყისისთვის სიტყვა „კინო“ ჩაწერეთ დიალექტური კორპუსის თუ საკუთარი მეხსიერების საძიებელში. ⣿

სპეც
რეპორტაჟი

ნიკი კარიმი ახლო ხედით

ნიკი კარიმი ბათუმის საერთაშორისო საავტორო კინოფესტივალზე მხატვრული ფილმების სექციაში ერთადერთი ქალი ჟიურის წევრია და ერთადერთი აღმოსავლელიც. განსაკუთრებული ქალია – აღმოსავლური იდუმალებაც აქვს და დასავლური ელეგანტურობაც. ვუაიერისტულ ვნებებს ადვილად აღუძრავს ადამიანს. არ მიკვირს, რომ ძალიან პოპულარული კინომსახიობია თავის ქვეყანაში.

სერას ფოტოკამერაში ათვალიერებს იმ წამის გადაღებულ თავის ფოტოებს და ზოგიერთით კმაყოფილი ჩანს. სასტუმროს მისაღებში მაგიდა და სავარძლები ძალიან ახლო-ახლოს დგას, მაგრამ ნიკი საკმაოდ უშუალოა და ჩვენ შორის არსებული ასეთი ინტიმური დისტანციაც არ უქმნის უხერხულობას. მზად არის სასაუბროდ.

F/P რამ გადაგაწვეტინათ რეჟისორობა; რამ გიბიძგათ გამხდარიყავით რეჟისორი?

როგორც ჩანს, თავიდანვე მინდოდა რეჟისურაში მეცადა ბედი. მხოლოდ მსახიობის პროფესია არ მაძლევდა საშუალებას გადმომეცა ის ისტორიები და იდეები, რომლებიც თავში მიტრიალებდა საკმაოდ ადრეული ასაკიდან. ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ბევრს ვკითხულობდი და ძალიან ვიყავი შთაგონებული ლიტერატურით. რამდენიმე წელიწადს აბას ქიაროსთამის ასისტენტად ვიმუშავე. ლოკაციების მოძებნა, მსახიობების შერჩევა – ამ ყველაფერს ერთად ვუძღვებოდით. დროთა განმავლობაში ბევრი რამ ვისწავლე. თავიდან დოკუმენტური ფილმი გადავიღე (To Have or Not To Have; 2001), მომდევნო ეტაპზე უკვე მხატვრული ფილმის სცენარის წერას შევუდექი, რომელსაც ორი წელი მოვანდომე.

F/P რამდენად განსხვავდება დოკუმენტური და მხატვრული კინოს გამოწვევები?

მხატვრული ფილმის გადაღების დროს ყველა კომპონენტი წინასწარ მოფიქრებული და აწყობილია. თავიდანვე არსებობს მთლიანი ფილმის უცვლელი კონცეფცია და იდეა. დოკუმენტური ფილმის გადაღება უფრო კვლევის პროცესს ჰგავს. ბოლომდე არასდროს იცი, მოვლენები როგორ განვითარდება, ამიტომ დიდწილად რეალობაზე ხარ დამოკიდებული. [მხატვრული ფილმის შემთხვევაში, შენ უკვე გაქვს ჩამოყალიბებული პირადი შეხედულებები იმ თემაზე, რომელსაც ფილმი ეძღვნება. თითქოს, უკვე მზად გაქვს გარკვეული პასუხები. დოკუმენტურ ფილმზე მუშაობის დროს უამრავჯერ შეიძლება შეგეცვალოს პოზიცია.]

F/P ფიქრობთ, რომ კინოს, გამოსახულებას რეალურად აქვს ძალა, შეცვალოს ადამიანების წარმოდგენები და დამოკიდებულებები?

ნებისმიერ მედიას, დაწყებული მხატვრობიდან, დამთავრებული იმ სტატიით, რომელსაც თქვენ დაწერთ, შესაძლებელია ჰქონდეს გავლენა ადამიანზე, თუ ის აღმქმელს დააფიქრებს. კარგი ფილმი ყოველთვის ახერხებს დააფიქროს ადამიანი იმის მიუხედავად, დაემთხვევა თუ არა მაყურებლის და რეჟისორის გემოვნება ერთმანეთს. ამას გარდა, როგორც ამბობენ, კინოს აქვს თავისი მაგია – ჩაბნელებული ოთახის და ანთებული ეკრანის ეფექტი მართლაც განსაკუთრებით მოქმედებს ადამიანზე.

F/P რომელმა ფილმმა მოახდინა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

ამ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი ფილმის დასახელება გამიჭრდება, მაგრამ ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილებები მაინც უფრო ლიტერატურას უკავშირდება. ჰემინგუეი, დოსტოევსკი, ჩეხოვი, პოლ ოსტერი და უამრავი სხვა ავტორი ახდენს ჩემზე ზეგავლენას. პირველ მხატვრულ ფილმს, რომელიც დამოუკიდებლად გადავიღე, ჯერომ სელენჯერის მოთხრობა დაედო საფუძვლად.

F/P „კარიმი არ განსჯის თავის პერსონაჟებს, ის აკრიტიკებს სისტემას“, – წერს ერთი ავტორი თქვენი ფილმის (One Night) განხილვაში. ეთანხმებით ამ შეფასებას?

მე არავის განვსჯი – არც ადამიანებს და არც სისტემებს; უბრალოდ, ვცდილობ, გადავიღო ფილმები ჩემს საზოგადოებაზე. შესაძლოა, ეს აღქმულია სოციალურ კრიტიკად. როგორც ამბობენ, და მე ვიზიარებ ამ შეხედულებას, ყველა არტისტმა/ხელოვანმა თავის დროზე უნდა ილაპარაკოს. მაგრამ ეს დრო და ამ დროში განვითარებული მოვლენები თუ პრობლემები არ არის ლოკალური. ისინი ნებისმიერისთვის შეიძლება აღმოჩნდეს ნაცნობი და აქტუალური. ხანდახან ნახულობ ამერიკულ, დაბალბიუჯეტიან ფილმს და ამბობ: „უი, ეს ხომ საქართველოშიც ასეა“. ეს იმიტომ, რომ ასე თუ ისე, ადამიანების პრობლემები მთელ სამყაროში მაინც ძალიან ენათესავება ერთმანეთს. მაგალითად, ჩემს ფილმებში ყოველთვის ირეკლება ირანის საზოგადოება, რომელიც ძალიან პატრიარქალურია. ბიჭებს დაბადებიდან ოჯახებშივე შთააგონებენ, რომ ისინი უფრო მნიშვნელოვანნი და ძალაუფლებით აღჭურვილები არიან. კაცები იოლად იჯერებენ ამას. მათ რატომღაც სჭირდებათ დომინაცია. მე, რა თქმა უნდა, ვცდილობ, მაქსიმალურად წინ აღვუდგე და ვებრძოლო ბევრ მსგავს კონსერვატიულ შეხედულებას, მაგრამ ჩემს ფილმებში არასდროს ვამბობ სათქმელს პირდაპირ და ხისტად. არ მომწონს ასეთი დირექტიული მიდგომა. კარგი ფილმი ისეთი ფილმია, რომელიც კაცობრიობას რაღაც ახალს სთავაზობს – შესაძლოა, ახალ მიდგომას კონკრეტული საკითხისადმი. ხანდახან ნახავ ისეთ სურათს, რომელიც ანგრევს არსებულ აზრობრივ ლიმიტებს და უფრო ფართო სივრცეში გადაყავხარ. ეს მშვენიერია და ძალიან მარტივად შეიძლება მოხერხდეს. არ არის საჭირო ადამიანის მარსზე ან მთვარეზე გადასმა, ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ. საკმარისია, აჩვენო ადამიანი კრიტიკულ სიტუაციაში, აჩვენო გზა, რომლითაც ის ახერხებს სირთულეების დაძლევას, აჩვენო რაღაც პოეტური მიდგომა... (რომელიც შეგძრავს)

F/P ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ დასავლური კინოსგან განსხვავებით, რომლის წინაპრადაც ლიტერატურულ პროზას მოიაზრებენ, აღმოსავლური კინო პოეზიიდან იღებს სათავეს.

კი, ნამდვილად ვეთანხმები. სხვათა შორის, მე თვითონაც, როდესაც სხვადასხვა ფესტივალზე ფილმების შეფასება მიწევს, უპირატესობას ისეთ ნამუშევრებს ვანიჭებ, რომლებშიც არსებობს პოეტური ხედვა/პოეტური მიდგომა. საერთოდ მგონია, რომ პოეტური აზროვნება ძალიან მნიშვნელოვანი და საჭიროა ცხოვრებაში.

F/P თქვენი დაკვირვებით, რა ტენდენციებია თანამედროვე კინემატოგრაფში?

წელს იმ კინოფესტივალებზე, რომლებსაც მე ვესწრებოდი, ძირითადად, სოციალური თემატიკის ფილმები იყო წარმოდგნელი. ტექნიკური თვალსაზრისით, ვფიქრობ, ყველაფერი ნაცადი და ამოწურულია. ამ მხრივ, სიახლეები არ არის.

F/P გვითხარით თქვენი მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ – ვიცი, რომ თარგმანის სფეროშიც მუშაობთ...

დიახ, ინგლისურის შესწავლის პარალელურად, მოვკიდე თარგმანებს ხელი. ძალიან მომწონს მარლონ ბრანდო და პირველი წიგნი, რომელიც ინგლისურიდან სპარსულად გადმოვთარგმნე, მისი ავტობიოგრაფია იყო. სულ ახლახან დავასრულე პაკისტანური წარმოშობის ინგლისელი მწერლის ჰანიფ ქურეიშის (Hanif Kureishi) ერთ-ერთი ნოველის (Love in a Blue Time) თარგმნა.

F/P არსებობს თუ არა ირანში სივრცეები, სადაც შესაძლებელია არაკომერციული ფილმების ნახვა. [საქართველოში ეს სფერო მონოპოლიზებულია და დიდ კინოთეატრებში, ძირითადად, კომერციულ ფილმებს უჩვენებენ]

დაახლოებით 2 წლის წინათ ირანის სახელმწიფო გამოვიდა ძალიან კარგი ინიციატივით, რომელმაც ამ მხრივ უკეთესობისკენ წაიყვანა სიტუაცია. ვგულისხმობ პროექტს, რომელსაც ჰქვია „ხელოვნება და გამოცდილება“ (Art and Experience). ირანის კინოთეატრების პროგრამაში გაჩნდა ასეთი, მხოლოდ საავტორო კინოსთვის განკუთვნილი სექცია და გამოიყო დარბაზები. მაგალითად, ჩემი ფილმი „ერთი ღამე“, რომელიც კანის კინოფესტივალზე ვაჩვენე და ევროპის უამრავ ქვეყანაში ნახეს, ცენზურის გამო, ირანში არ იყო ხელმისაწვდომი. ამ პროექტის ფარგლებში რამდენიმე კინოთეატრმა უჩვენა და ჩემს თანამემამულეებს მიეცათ შესაძლებლობა, თავისუფლად ენახათ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი რეჟისორისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მის ფილმს მისსავე ქვეყანაში ნახულობენ და აფასებენ.

ნიკი ყურადღებიანი მოსაუბრე აღმოჩნდა. სავარძლების სიახლოვემ და „ახლო ხედის“ შესაძლებლობამ კითხვა-პასუხის რეჟიმს თავიდანვე წაართვა ოფიციალურობა და დასავლური, ინგლისური ენის პარალელურად, გზა გაუხსნა თვალების, ჟესტების და შორისდებულების აღმოსავლურ ენასაც, რომლებმაც იხსნეს ჩვენი დიალოგი სტერილურობისგან და შესაძლოა, ძალიან ზუსტად ჩაეწერნენ მოცემულ გეოგრაფიულ კონტექსტში: ბათუმში ხომ სულ შეხვედრებია – დასავლურის და აღმოსავლურის.

[თაკო კალანდაძე]

წიგნისა და კინოს ალბალი

წიგნი და კინო ბევრჯერ გადააწყდნენ ერთმანეთს. მსოფლიო კინოს ისტორია, ან რაღა წარსულში ვიქექებით, ბოლო წლების დასავლური კინოც ამ ორი სუბიექტის ურთიერთთანამშრომლობის ნათელი მაგალითია. უკანასკნელი რამდენიმე წელიწადია, ამერიკული კინო განსაკუთრებული ძალით ეკვეთა მხატვრულ ლიტერატურას და არ დარჩენილა არც ერთი ე.წ. „ბესტსელერი“, რომლის ეკრანიზაციაც არ განეხორციელებინოს. თანამედროვე კინოს ახალ-ახალი ნარატივი სჭირდება და საპროდუსერო კომპანიებიც ერთმანეთს ხოცავენ ყოველი ახალი ვერონიკა როთის, ჯეიმს დაშნერის, სიუზენ კოლინზის, სტეფანი მეიერის, გეილ ფორმანის და სხვა მათ მსგავსთა ნაწერების გამო. ფაქტი ერთია, დღეს ხდება ლიტერატურის არა ინტერპრეტაცია, არამედ ეკრანიზაცია. კინო, ხშირ შემთხვევაში, როგორც უფრო ძლიერი მედიუმი, ყლაპავს ლიტერატურას (ცუდი ლიტერატურაც ხომ ლიტერატურაა...) და წიგნის მკითხველს მაშინვე კინომაყურებლად აქცევს, რაც საბოლოოდ, ხელოვნების ამ ორივე მიმართულებას აზარალებს.

ამ მხრივ, ევროპა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია და რამდენადაც აქ საავტორო კინო უფრო ფასობს, ლიტერატურის ადაპტაცია (მისი საუკეთესო გაგებით) ნაკლებად ხდება – ეკრანიზაცია კიდევ უფრო ნაკლებად. რაც შეეხება საქართველოს, ჯერ კიდევ გასაბჭოებამდე იწყება მხატვრული ტექსტების ეკრანიზება/ინტერპრეტაცია და გასაბჭოების შემდეგ ხომ ეკრანიზაციების ისეთ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი, რომ დღესაც ვიმკით მის უარყოფით შედეგებს. იყო მეტ-ნაკლებად წარმატებული პროექტებიც, თუ მათ მიერ მოპოვებულ ჯილდოებს დავეყრდნობით. თუმცა იყო (არის) ისეთებიც, რომლებიც დღემდე მსოფლიო კინოს შედევრებად მიგვაჩნია და სამწუხაროდ, სრულიად უსამართლოდ. მიუხედავად ამისა, ტრადიცია არსებობს და სწორედ მისი საუკეთესო ელემენტების შენარჩუნების მცდელობად უნდა ჩაითვალოს ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსი სახელწოდებით „21-ე საუკუნის ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია“. კონკურსი, მიზნად ისახავს თანამედროვე ქართული

ლიტერატურისა და კინოს კიდევ უფრო დაახლოებას და საბოლოო პროდუქტის 2018 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე წარდგენას. კონკურსის ფარგლებში ხუთი საუკეთესო პროექტიც გამოვლინდა:

1. გურამ ოდიშარიას „უღელტეხილი“, რომელიც მისივე ორი დამოუკიდებელი ტექსტის შერწყმის შედეგად შეიქმნა და ისევ და ისევ აფხაზეთის ომის თემას შეეხება. განსაკუთრებული აქცენტები კეთდება ომის პერიოდში ოპერატორების ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს საქმიანობაზე; 2.ზურაბ ქარუმიძის „ფოქსტროტი“ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური რომანის, „მელიატულეფიას“ მიხედვით იქნა შექმნილი. მოქმედება გასული საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში მიმდინარეობს და საბჭოთა რეჟიმის დამკვიდრებასა და პარალელურად-,მოდერნიზმის დასასრულის ამბებს ასახავს; 3.ეკატერინე ტოგონიძის „ასინქრონი“ ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შეიქმნა და ძირითადი თემა საკმაოდ აქტუალურია – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემები თანამედროვე საქართველოში. თუმცა აქცენტები მხოლოდ ამ ერთ საკითხზე არ კეთდება.

4. მარინა ელბაქიძის „მოქალაქე წმინდანი“ სამწუხაროდ, ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებადღა ქცეულ კონკურს „Pen მარათონის“ ფარგლებში, ერთი დღე-ღამის მანძილზე დაწერილი მოთხრობის, „ბაი ამიგოს“ მიხედვით იქნა შექმნილი და დღეისათვის საკმაოდ აქტუალურ და მტკივნეულ თემას, რელიგიურ ფანატიზმს შეეხება; იმას, თუ როგორ გადაიქცევა ხოლმე საკრალური ობიექტი ბრმა თაყვანისცემის კერად და ამასთან, შემოსავლიან ბიზნესად. 5. რაც შეეხება მიხო მოსულიშვილის „დიდ ძუ დათვს“, ის ამავე სახელწოდების რომანს ეფუძნება და, გინდა არ გინდა, კლასიკური ამერიკული ლიტერატურის ორ დიდ ნაწარმოებთან და ავტორთან ავლებ პარალელს – ჰერმან მელვილის „მობი დიკთან“ და უილიამ ფოლკნერის „დათვთან“. სოფლის მცხოვრებლები და სოფლის თავი, ბიბლიურ-მელვილისეული სახელით აქაბი, დიდ ძუ დათვზე ნადირობას იწყებენ, რომელიც მათ

ფოტო: ნიკოლოზ მდივანი

სახნავ სათესებს, მოსავალს და პირუტყვს დროგამოშვებით ესხმის ხოლმე თავს და მუსრს ავლებს.

რა თქმა უნდა, ამ ნაწარმოებების მხატვრულ ღირებულებებზე ბევრი შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ჟიურიმ სწორედ ამ ხუთი ტექსტისგან შექმნილი „თრითმენტები“ შეარჩია. გარდა ამისა, თბილისს კანის კინოფესტივალის ექსპერტები, იზაბელ ფოვიე და ნიკოს პანაიოტოპულოსი ესტუმრნენ და პროექტის ფარგლებში სამდღიანი დახურული უორქშოფები ჩაატარეს გამარჯვებულ ხუთ ავტორთან და პროდუსერებთან. დაინტერესებული პირებისთვის ერთდღიანი, ღია უორქშოფიც გაიმართა, რომელზეც ექსპერტებმა ისაუბრეს ლიტერატურული ნაწარმოებიდან სცენარის განვითარების, ზოგადად, კინოსცენარის წერის სტანდარტების და ფილმის გადაღებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. უორქშოფი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ნიკოს პანაიოტოპულოსის მასტერკლასზე მსმენელებმა შეიტყვეს, თუ როგორ იყო აგებული რობერტ ზემეკისის ფილმი „გარიყული“, ექსპერტმა მოახდინა მისი კონკრეტულ სცენებად დაშლა და შემდეგ გაასაჯაროვა ყველა ის ხერხი, (მაგ.: სცენარის მრავალსაფეხუროვანი სისტემა, სადაც ყოველ კონკრეტულ საფეხურს აქვს შესავალი, განვითარება და კულმინაცია), რომლის საშუალებითაც ამერიკული კინო, კონკრეტულად კი ჰოლივუდი, ცდილობს ააგოს სცენარი და მაყურებელი ფილმის ბოლო წუთამდე დააბას ეკრანთან. გარდა ამისა, ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ამოვიცნოთ საინტერესო სიუჟეტი მომავალი ფილმისათვის და რომელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ლიტერატურული ნაწარმოები (ორიგინალური იდეა, ნაწარმოების უნივერსალურობა და ტექსტი, რომლის მიმართაც ბევრ ადამიანს გაუჩნდება იდენტობა), რათა სამომავლოდ მისი წარმატებულ ფილმად ადაპტირება მოხდეს. რაც შეეხება იზაბელ ფოვიეს, მან უშუალოდ პროდუსინგზე იმსჯელა და იმ პრობლემებზე, რომელიც ფილმის გადაღებისას შეიძლება წარმოიქმნას.

როგორც უკვე ითქვა, ქართულ კინოს ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციის დიდი ტრადიცია აქვს (დიდი აუცილებლად კარგს არ ნიშნავს ოღონდ) და იგი 21–ე საუკუნეშიც გრძელდება. მიხეილ ჯავახიშვილის, აკა მორჩილაძის, ნუგზარ შატაიძის მხატვრული ტექსტების მიხედვით არაერთი ფილმი იქნა გადაღებული და ამის შემდეგ პროექტს ინიციატორების მიზანი, კინო და ლიტერატურა ერთმანეთს ხელოვნურად დაუახლოვონ, სულ მცირე, გაუგებარი რჩება, რადგან შუამავლობის გარეშეც პოულობს კინო მისთვის სასურველ ნაწარმოებს ეკრანიზაციისთვის. აქედან გამომდინარე, პროექტი „21-ე საუკუნის ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია“ ყველაზე მეტად სცენარის წერის კულტურის ამაღლებას ემსახურება. კულტურის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი პროფესიონალების (პროფესიონალიზმის) აღზრდაზე უნდა ზრუნავდეს (რასაც პირდაპირ თუ ირიბად ემსახურება კიდეც ეს პროექტი), რომლებიც თვითონ გადაწყვეტენ, რომელი ნაწარმოებია მათთვის ღირებული და მნიშვნელოვანი. მანამდე კი, დაველოდოთ, შევთავაზოთ უკვე გამზადებული სცენარები რეჟისორებს, პროდუსერებს, შემდეგ გამოვაცხადოთ კიდევ ერთი კონკურსი გადაღებების დასაფინანსებლად და იმედია, 2018 წლისთვის მართლაც საინტერესო ნამუშევარს ვიხილავთ.

[დავით ცარიელაშვილი]

კინობიბლიოთეკის დიდი რვიანი

კარგი კინო თუ წაგიკითხავთ? მართალია, უცნაური კითხვაა, თუმცა ალბათ ასევე უცნაურად გაიჟღერებს თუ ვიკითხავ, რამდენი ნაბიჯია ლიტერატურიდან კინომდე. როგორც აღმოჩნდა, არც იმდენად ცოტა, როგორც სიყვარულიდან სიძულვილამდე და არც იმდენად ბევრი, როგორც მარათონიდან ათენამდე. ასეა თუ ისე, მსოფლიო კინემატოგრაფში არსებობს საკმაოდ ბევრი კინოშედევრი, რომელიც თავის მხრივ ლიტერატურული შედევრებიდან წარმოიშვა. რამდენად მნიშვნელოვანია ლიტერატურული ნაწარმოების მაღალი დონე იმისთვის, რომ მისგან კარგი ფილმი გამოიძერწოს? თუ კარგი რეჟისორისა და კარგი დრამატურგის ხელში, ცუდი წიგნიც შეიძლება მაღალი დონის კინონამუშევრად იქცეს? ან იქნებ სულაც პირიქით – კარგი წიგნიც კი შეიძლება გაფუჭდეს, თუ ცუდი კინოხელოვანის ხელში ჩავარდა? დამეთანხმებით, საინტერესო თემებია სამსჯელოდ, თუმცა ამჯერად მხოლოდ რჩეულებზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო; წიგნებზე, რომლებიც დიდ ფილმებად იქცა და ფილმებზე, რომლებიც ლიტერატურულ შედევრებს დაეყრდნო; მიზეზი კი ის რვა წიგნია, რომელიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ 2014-15 წლებში „კინობიბლიოთეკის“ სერიით გამოსცა, რვა თავისებურად უნიკალური ნაწარმოები, რომლებმაც უკვე მოასწრეს მკითხველებისა თუ კინომანების გულის დაპყრობა. წიგნები ისეა შერჩეული, რომ ყველა ადამიანი იპოვის თავისი გემოვნების ნაწარმოებს, თუმცა არც იმას გამოვრიცხავ კინომანები ლიტერატურული პირველწყაროს წაკითხვისას იმედგაცრუებულები დარჩნენ, ან სულაც პირიქით, ფილმზე მეტად მოეწონოთ წიგნი; თუმცა განსხვავებების აღმოჩენის, ამბების ცვლილებების და მარტივად რომ ვთქვათ, კარგად ნაცნობი ფილმების წაკითხვის პროცესი ნამდვილად გესიამოვნებათ. მოდით, ჩვენც თვალი გადავავლოთ კინობიბლიოთეკის დიდ რვიანს.

„საუზმე ტიფანისთან“ – ტრუმენ კაპოტე

ნაწარმოები, რომელიც 1958 წელს გამოიცა და რომელმაც, თამამად შეიძლება ითქვას – სამოციანების ამერიკული მოდა შექმნა, რაც, რა თქმა უნდა, 1961 წლის ეკრანიზაციის დამსახურებაცაა. ფილმის რეჟისორის ბლეიქ ედუარდსის განცხადებით, როდესაც მთავარი გმირის, ჰოლი გოლაითლის როლზე ოდრი ჰეპბერნი დაითანხმა, უკვე დარწმუნებული იყო ფილმის წარმატებაში. ჰეპბერნის შექმნილი სახე მართლაც ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელია ამერიკულ კინოში, მისი სტილი კი დღემდე მისაბაძია. თუმცა ფილმამდე იყო კეპოტეს შესანიშნავი წიგნი, რომელიც გარკვეულწილად განსხვავდება ფილმისგან, მათ შორის – განწყობით. ფილმი ბევრად უფრო ნათელი, იმედით სავსე და კეთილია, მისი ლიტერატურული პირველწყარო კი მეტად

დეპრესიული და სევდიანი; ფინალიც კი თითქოს შემთხვევითია, როგორი შთაბეჭდილებაც ფილმის ნახვის შემდეგ ნამდვილად არ დაგრჩებათ. კეპოტე დიდოსტატია, როცა საქმე პერსონაჟების ხასიათს ეხება, მართლაც, ეს ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია, რაც კი ადამიანური სურვილების შესახებ დაწერილა.

„ფორესტ გამპი“– უინსტონ გრუმი

„ცხოვრება შოკოლადის ყუთს ჰგავს, არასდროს იცი, რა შეგხვდება“ – ალბათ ყველას გახსოვთ აღნიშნული ფრაზა ამავე სახელწოდების შესანიშნავი ფილმიდან, რომელიც რობერტ ზემეკისმა 1994 წელს გადაიღო. წიგნი კი 8 წლით ადრე, 1986-ში გამოიცა და, სიმართლე გითხრათ, საკმაოზე მეტად განსხვავდება ფილმისგან. აქ ფორესტ გამპი თავისივე ისტორიის მთხრობელად გვევლინება და ნარატივის მეორე აბზაცს ასევე იწყებს: „დაბადებიდან იდიოტი ვარ“. როგორ გახდება დაბადებიდან იდიოტი ფორესტი ამერიკაში ყველაზე ცნობილი და გამორჩეული ადამიანი, ალბათ კინოშედევრიდან უკვე იცით, თუმცა რომანის წაკითხვის შემდეგ უამრავ ახალ დეტალს აღმოაჩენთ. ეს ის შემთხვევაა, როცა ორივე ნაწარმოები დამოუკიდებლად არსებობს და ორივე აპლოდისმენტებს იმსახურებს.

„ეოხუცებისთვის აღგილი აქ არ არის“ – კორმაკ მაკარტი

კიდევ ერთი ამერიკელი და კიდევ ერთი დიდოსტატი, თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი და არაერთი ლიტერატურული პრემიის მფლობელი, კორმაკ მაკარტი ამჯერად მძაფრსიუჟეტიან თრილერს გვიყვება ყველაზე უფრო წარმოუდგენელი სიუჟეტური განვითარებით და ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი პერსონაჟებით. მთავარი გმირი, ვიეტნამის ომის ვეტერანი ლუელინ მოსი, მისი ანტაგონისტი ქილერი, სახელად ჩიგური და შერიფი ბელი უნიკალურ სამკუთხედს ქმნიან და ნაწარმოების სხვა გმირებსაც სისხლიან დევნაში ითრევენ, თუმცა მხოლოდ ეს რომ იყოს... წიგნი სავსეა მაკარტის ფილოსოფიური შეხედულებებით ცხოვრების და, ზოგადად, ადამიანის რაობის შესახებ. ალბათ ამ საოცარმა ამბავმა არც ძმები, ჯოელ და ეთან კოენები დატოვა გულგრილი, რადგან 2008 წელს არანაკლებ შესანიშნავი ფილმი გადაიღეს, რომელმაც სხვა ჯილდოებთან ერთად 4 ოსკარიც მოიპოვა. არც კი ვიცი, ამ შემთხვევაში რომელი ნაწარმოები უფრო გენიალურია – კორმაკ მაკარტის რომანი, თუ კოენების ფილმი. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ წიგნის წაკითხვა რეკომენდებულია მსოფლიო კინომანთა მიერ.

„შინდლერის სია“ – თომას კენილი

7 ოსკარის მოპოვებას ეხუმრებით? სხვა ჯილდოებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. დიახ, სტივენ სპილბერგი კინოს გროს-

მეისტერია და ეს უკვე აღარავისთვისაა დავის საგანი; თუმცა იგივეს თქმა ნაკლებად შეიძლება თომას კენილიზე, რომელიც ნაკლებად ცნობილი ავტორია საქართველოში. არადა, წიგნს, არც მეტი არც ნაკლები, ბუკერის პრემია აქვს მოგებული. თომას კენილი ავსტრალიელი მწერალია, ხოლო „შინდლერის სია“ სინამდვილეში „შინდლერის კიდობნის“ სახელით გამოიცა, თუმცა ამერიკული წარმატების შემდეგ მსოფლიომ სწორედ „შინდლერის სიად“ გაიცნო. ეს არის რეალური ისტორია ოსკარ შინდლერზე, ებრაელთა ახალ მოსეზე, რომელმაც ათასობით ებრაელი გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნა მეორე მსოფლიო ომის დროს. წიგნი ფილმისგან რადიკალური განსხვავებებით არ გამოირჩევა – თითქმის ყველა მთავარი გმირი და მოვლენა ნამდვილია და ეყრდნობა ფაქტებს, რომლებსაც თომას კენილი დიდი ხნის განმავლობაში აგროვებდა და ისმენდა თავად ოსკარ შინდლერის მიერ გადარჩენილი ადამიანებისგან.

„პის ცხოვრება“ – იან მარტელი

„პის ცხოვრება“ ის ფილმია, რომელიც თუ ჯერ კიდევ არ გინახავთ, ახლავე უნდა გამოძებნოთ 2 საათი და 7 წუთი, ჩაუჯდეთ და უყუროთ. ენგ ლიმ გარისკა და იან მარტელის მართლაც საოცარი რომანის ეკრანიზაცია გადაწყვიტა, შედეგად კი ულამაზესი და შესანიშნავი ფილმი მივიღეთ, რომელმაც 2013 წელს 4 ოსკარი მოიპოვა. ჯილდოების ნაკლებობას არც მარტელი უჩივის, 2002 წელს ბუკერის პრემიის ლაურეატია და დღემდე განაგრძობს ბესტსელერების წერას. „პის ცხოვრება“ დაუჯერებელი ისტორიაა წყნარ ოკეანეში შემთხვევით გადარჩენილ ორ არსებაზე, რომლებიც ერთ მაშველ ნავზე იმყოფებიან: 16 წლის ინდოელ ბიჭზე და ბენგალურ ვეფხვზე. სიუჟეტურ ქარგას იან მარტელის მაღალი ოსტატობა ეტყობა და მკითხველს დასაწყისიდან დასასრულამდე ამბავიდან გამოთიშვის საშუალებას არ აძლევს. ყველაფერი კი საკმაოდ მოულოდნელი დასასრულით გვირგვინდება.

„ფსიქოპათი“ – რობერტ ბლოხი

თუ ამ მიმოხილვის წაკითხვის შემდეგ შხაპის მიღებას აპირებთ, მაშინ ტექსტის ამ ნაწილს ჯობია გადაახტეთ. თუმცა, თუ ალფრედ ჰიჩკოკის ამ უკვდავი შედევრის ნახვა უკვე მოასწარით, მაშინ უკვე გვიანაა, თქვენ განწირული ხართ მარადიული შიშისთვის, რომელიც დაგეუფლებათ ყოველ ჯერზე, როცა შხაპის მიღებისას თვალებს დახუჭავთ. ალბათ სწორედ დიდი მაესტროს, ძია ალფრედის 1960 წლის ოდნავ სახეცვლილი სახელწოდების ფილმს უნდა უმადლოდეს რობერტ ბლოხიც თავისი შემოქმედების პოპულარობას. მართალია, მწერალმა კიდევ ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა ფენტეზის, თრილერის და საშინელებათა ჟანრში, მაგრამ მსოფლიოს ის ყოველთვის ეხსომება დედისერთა ფსიქოპათის, ნორმან ბეითსის

შემქმნელად. კადნიერებაში ნუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში კინოფილმი ჯობნის ლიტერატურულ პირველწყაროს, თუმცა არც წიგნის ჩამოწერა იქნებოდა მართებული. ბოლოსდაბოლოს სწორედ წიგნის საშუალებით შეძლებთ უფრო ღრმად ჩაიხედოთ ნორმან ბეითსის ფიქრებში და უფრო უკეთ გაიცნოთ მისი საყვარელი დედილო.

„სოლარისი“ – სტანისლავ ლემი

წარმოიდგინეთ წყალი, რომელსაც გარშემო წყალი საზღვრავს, ხოლო ჰორიზონტს თუ კარგად დავაკვირდებით არ გაგვიჭირდება წყლის შემჩნევა. სოლარისი იდუმალებით მოცული პლანეტაა, რომელიც მთლიანად ერთ უშველებელ გონიერ ოკეანეს წარმოადგენს. რა უნდა იყოს ამაზე უფრო დამაინტრიგებელი უცხო ცივილიზაციების აღმოჩენით შეპყრობილი დედამიწელებისთვის? ანდა, რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საშიში მკვლევარებისთვის, რომლებმაც არ იციან, როგორ იკონტაქტონ წყლის ამ უმაღლეს გონთან? სტანისლავ ლემის „სოლარისი“ მსოფლიო ფანტასტიკის უპირობო შედევრია, ხშირად მას ფილოსოფიურ ფანტასტიკადაც მოიხსენიებენ, რაც, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია ანდრეი ტარკოვსკის, რომელმაც 1972 წელს თავისი „სოლარისი“ გადაიღო. სტანისლავ ლემის ნაწარმოები კიდევ ერთხელ მოხვდა კინომანთა ყურადღების ცენტრში, სტივენ სოდერბერგის 2002 წლის ფილმის წყალობით.

„ცისფერი მთები“ – რეზო ჭეიშვილი

როგორც მიხვდით, ტკბილი და მშობლიური ლუკმა ბოლოსთვის მოვიტოვე. შეუძლებელია ემოციების გარეშე ისაუბრო ან წერო, როცა საქმე ქართველებისთვის ერთ-ერთ უსაყვარლეს ნაწარმოებს ეხება, ემოციებით კი „ცისფერ მთებზე“ ბევრი რამის დაწერაა შესაძლებელი. ესაა სისტემა, რომელიც სამწუხაროდ დღემდე აქტუალურია, არამხოლოდ საქართველოში. ესაა ამბავი ამ სისტემის აბსურდულობის შესახებ, რომელიც განწირულია დასანგრევად. რეზო ჭეიშვილის ეს უწყინარი და ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ნაწარმოები, რაც კი დაწერილა საბჭოთა საქართველოში, 1983 წელს ელდარ შენგელაიამ ასევე შედევრულ ფილმად აქცია. თავად რეზო ჭეიშვილის აზრით კი, „ეს არ იყო თითქოს კინოს მასალა. სხვას რომ გადაეღო, შეიძლება არაფერი არ გამოსვლოდა...“ ჰოდა, ძალიანაც კარგი, სხვამ რომ არ გადაიღო და დღეისათვის შეგვიძლია ორი თანაბრად შესანიშნავი ნაწარმოებით დავტკბეთ.

მაშ, ჯერ კიდევ არ წაგიკითხავთ კარგი კინო?

[ალექსანდრე ლორთქიფანიძე]

ინდუსტრია
და თანამედროვე
ტექნოლოგიები

საოცარი ახალი სამყარო

[ნიკა ესებუა]

აშშ-ში კომიქსების ოქროს ხანა XX საუკუნის 40-50 წლები იყო. Marvel და DC კი ბაზარზე ორი უდიდესი მოთამაშე, რომლებმაც სამყაროს „სუპერმენი“, „ბეტმენი“, „სპაიდერმენი“, „იქს ადამიანები“ აჩუქეს. რამდენადაც წარმატებული იყო კომიქსები ბეჭდურ სამყაროში, იმდენად წარუმატებელი იყო მათი კინოეკრანიზაციები. 90-იანი წლების მიწურულამდე კომიქსის პერსონაჟებზე გადაღებული ნამუშევრები, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ან ცუდი იყო, რომელსაც პირველწყაროსთან საერთო ძალიან ცოტა თუ ჰქონდა, ან იმდენად მდარე ხარისხის, რომ Youtube-ზე მათი ეპიზოდების ნახვისას ვერ ხვდებოდი, იუმორისტულ სკეტჩს უყურებდი თუ მხატვრულ ფილმს, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა მაყურებელი, კინოთეატრებში მიეყვანა.

90-იან წლებში, როდესაც Marvel-მა რამდენიმე გმირის ეკრანიზაციის უფლებები გაყიდა, კინოკომპანიები კომიქსებში დიდი ფულის ჩადებას ჯერ კიდევ ერიდებოდნენ, ნიადაგს სინჯავდნენ. სწორედ ამ დროს ერთ-ერთი ასეთი პროექტი საკულტო კლასიკად იქცა – რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, საუბარია სტივენ ნორინგტონის ფილმზე „ბლეიდი“. 1998 წელს ვამპირებზე მონადირე უესლი სნაიპსის პერსონაჟი კინოში კომიქსის გმირების არმიას შეუძღვა, რომლებიც დღეს ჰოლივუდის სათავეში იმყოფებიან და მეინსტრიმ კინო-ამინდს ქმნიან.

FILM PRINT

„ბლეიდს“, „ადამიანიობობა“ მოჰყვა, შემდეგ იყო „ბეტმენი“, „სუპერმენი“, „იქს ადამიანები“ და „ფანტასტიკური ოთხეული“. XXI საუკუნის დასაწყისი კომიქსების ეკრანიზაციების ეპოქად იქცა, თუმცა რევოლუცია Marvel Studio-მ მოაწყო.

XXI საუკუნის დასაწყისში Marvel-მა ამბიციური გადაწყვეტილება მიიღო. კომპანიის უფროსებმა საკუთარი კინოსამყაროს შექმნა გადაწყვიტეს – ადგილის, სადაც ათობით სხვადასხვა ფილმი და პერსონაჟი გაერთიანდებოდა. პირველი ნაბიჯი 2008 წელს გამოსული „რკინის კაცი“ იყო, რომელიც მეგაჰიტად და მარველის კინოსამყაროს პირველი ფაზის პირველ ჭანჭიკად იქცა. ჯონ ფავროს ფილმს მოჰყვა ნამუშევრები ჰალკზე, კაპიტან ამერიკასა და თორზე, ამ პერსონაჟებმა კი საბოლოოდ „შურისმაძიებლებამდე“ მიგვიყვანეს. „შურისმაძიებლების“ შემოსავალმა მხოლოდ კინოთეატრებიდან გაყიდული ბილეთებით მილიარდ დოლარს გადააჭარბა. Marvel-ის გეგმის პირველი ფაზა უდიდესი წარმატებით დასრულდა. პროდუსერი კევინ ფაიგი და Marvel-ი ყველა კინოკომპანიისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა. 2009 წელსWalt Disney-მ Marvel-ი შეიძინა; ისევე, როგორც Pixar-ის შემთხვევაში Disney მხოლოდ ერთ რამეს, დიდ შემოსავლებს ითხოვდა. ამის გარანტი, ფაიგი იყო.

Marvel -ის გეგმის პირველი ფაზა უდიდესი წარმატებით დასრულდა, თუმცა ბევრი მიიჩნევდა, რომ კომპანია სადღაც გაიჭედებოდა, რომელიმე ფილმი გაქირავებაში ჩაუვარდებოდა და სამყარო, რომელიც ასეთი სიფრთხილით იგებოდა, დაიმსხვრეოდა. „შურისმაძიებლების“ შემდეგ გამოსულმა ფილმებმა კი საპირისპირო დაამტკიცეს. „გალაქტიკის მცველები“ ფილმია ნაკლებად ცნობილ კომიქსის გმირებზე, რომელიც 2014 წლის ზაფხულის ჰიტად იქცა, იმავე წელს გამოსული „კაპიტან ამერიკას“ გაგრძელებამ კრიტიკოსებისა და მაყურებლისგან ძალიან კარგი შეფასებები დაიმსახურა; „შურისმაძიებლები-2“ კი წინამორბედს არ ჩამორჩა და შემქნელებს მილიარდ დოლარზე მეტი მოუტანა.

კევინ ფაიგი ალქიმიკოსი გახდა, რომელმაც ნებისმიერი მეტალის ოქროდ გადაქცევა ისწავლა. ფაიგის „ფორმულამ“ სხვა კინოკომპანიებიც დააინტერესა და დღეს ჰოლივუდში უმთავრესი ტრენდი კინოსამყაროების შექმნაა. დისნეის მსგავსად, სხვა კომპანიებიც ცდილობენ, სხვადასხვა გმირი ერთ სამყაროში გააერთიანონ და Marvel-ის წარმატების ფორმულა, სახეცვლილი მეთოდებით, მაგრამ იგივე წარმატებით გაიმეორონ.

პირველი ასეთი კინოკომპანია Warner Bros. გახდა. WBDC-ის კომიქსების გმირების კინოსამყაროს შექმნას ცდილობს. თუ Marvel-ის კულმინაცია რამდენიმე ფილ-


No. 4
SPRING EDITION
SUPERMAN
10¢

მის შემდეგ დადგა ნამუშევრით „შურისმაძიებლები“, DC-ის სამყარო პირდაპირ დიდი აფეთქებით იწყება – მომავალ წელს კინოეკრანებზე „ბეტმენი სუპერმენის წინააღმდეგ“ გამოვა. შემქმნელების თქმით, მათი სამყარო უფრო პირქუში და რეალისტური იქნება, ფილმში ორ ყველასათვის ცნობილი სუპერგმირთან ერთად კი კომიქსების სხვა პერსონაჟებიც გამოჩნდებიან, რომელთაც შემდგომში საკუთარი ფილმები ექნებათ. DC-ის საკუთარი „შურისმაძიებლები“ ჰყავს და მას „სამართლიანობის ლიგა“ ეწოდება.„სამართლიანობის ლიგაში“ ბეტმენი, სუპერმენი, ფლეში, კიბორგი, ვანდერ ვუმენი, აკვამენი და სხვაგმირები არიან გაერთიანებულები, რომლებიც ბოროტებას ერთიანი ძალებით შეებრძოლებიან.

ანალოგიური გეგმა აქვს 20th Century Fox-ს, რომელიც „ფანტასტიკური ოთხეულისა“ და „იქს ადამიანების“ კინოეკრანიზაციის უფლებებს ფლობს და მათ ერთ სამყაროში გაერთიანებას აპირებს. ახალი „ფანტასტიკური ოთხეული“ უკვე გამოვიდა, მომავალ წელს „იქს ადამიანების“ ახალი ტრილოგია დასრულდება. გამბიტზე, სამურავსა და დედპულზე ფილმებიც სულ მალე იხილავს დღის სინათლეს, ყველა ერთად კი ჯერჯერობით უცნობ პროექტში გაერთიანდება.

კომიქსების პერსონაჟები არ ჰყავს Universal Studios, თუმცა კომპანიამ გამოსავალი იპოვა და მონსტრების კინოსამყაროს ქმნის. დრაკულა, ფრანკენშტეინის მონსტრი, მუმია, ვან ჰელსინგი და მაქციებზე ნამუშევრები ერთ „ჭერქვეშ“ გაერთიანდებიან და არ არის გამორიცხული მათაც საერთო პროექტში ამოყონ თავი.

Disney მხოლოდ Marvel-ის წარმატებით არ კმაყოფილდება და Star wars-ის სამყაროს შექმნას და გაფართოებას აპირებს. „ვარსკვლავური ომები: ძალის გამოღვიძება“, „ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი VIII“, „ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი IX“, „ვარსკვლავური ომების ანთოლოგია: Rogue One“ – ეს იმ ფილმების ჩამონათვალია, რომელიც ჯედაებზე, სითჰებსა და ლუკასის სხვა ქმნილებებზე ახალ ისტორიებს მოგვიყვება და ვარსკვლავური ომების სამყაროს კიდევ უფრო მასშტაბურს გახდის.

დღეს ჰოლივუდი სამყაროების შექმნითაა დაკავებული. ეს ყველაფერი საწყის ეტაპზეა და რთული სათქმელია, როგორი იქნება შემდეგი ფაზა. Marvel-ი გაჩერებას არ აპირებს და 2019 წლის ჩათვლით გეგმები და ფილმები უკვე გაწერილი აქვს. სხვა კინოკომპანიებს კი წარმატებული სტარტის იმედიღა დარჩენიათ. ⁞⁞

თავის-
უფალი
თემა



ხურვაღეთის ღლიურები

[თაკო კალანდაძე]

აქვეა. თბილისთან ახლოს. იგოეთს გასცდები და სანამ გორამდე მიხვალ, ცენტრალური ტრასიდან მარჯვნივ გადაუხვევ. მანქანას გააჩერებენ. თუ არ გჯერა, დარწმუნდები, რომ პირადობის მოწმობა ბევრად უნივერსალურია, ვიდრე შენი არსებობა. გზა ხსნილია არა იმიტომ, რომ პულსირებ, უფრო იმიტომ, რომ პლასტიკური ბარათი მოგეპოვება.
– რა უნდა გააკეთოთ სკოლაში?
– კინოჩვენებები გვექნება. დისკუსიები. ბავშვებს უნდა ვეურთიერთო. ხრეში. მტვერი. გვერდს ვუვლი ამ სიტყვას – ვასწავლო.

– „კომან სა ვა?“ – შორიდან მეკითხება გელა და მოიჩქარის, რომ ბარგი ჩამომართვას. იხვის ჭუჭულები ხმაურით მოსდევენ. ისმის ინდაურის ჭუკების წიავი და ძაღლების ყეფა. ჩემთვის განკუთვნილ საძინებელში მხვდება „ჰერგოცის ცოლი მაია“. გოია. გახდილი ვერსია. მერიკო ბებოს სათვალეს ძალიან სქელი მინები აქვს. ზაურა პაპა ყურის აპარატს არ იყენებს. ცოლ-ქმარი ისედაც უგებს ერთმანეთს. ისინი არ ჩხუბობენ, უბრალოდ, ხმამაღლა ლაპარაკობენ და საუბრის ბოლოს სულ ეცინებათ.
გელა მოხუცებს ეხმარება. მიწას ამუშავებენ, საქონელს უვლიან და საოჯახო მეურნეობას უძღვებიან, ყველაფრის მიუხედავად.
იმის მიუხედავად, რომ მიწა დახეთქილია. სარწყავი წყალი არ არის. სასმელ წყალს დღეში რამდენჯერმე ურიკებით ეზიდებიან. გაზის მილები მომავალ არჩევნებამდე სამუზეუმო ექსპონატებივით ხელშეუხებლად იდება. სახლებისგან არც ისე შორს.

კედლიდან აძრობენ პატარების ნახატებს და აკრავენ თეთრ ზეწრებს. ამას აკეთებენ გოგონები. ბიჭები მუქ ფარდებს ამაგრებენ ჭიკარტებით. სკოლის დირექტორმა პროექტორი და დინამიკები დაგვახვედრა. ბავშვებს მოსწონთ ქალბატონი იზა, ყურადღებიანი და ენთუზიაზმით სავსე ქალი. „ოქროს ციებ-ცხელება“. თამთა თავშეუკავებლად იცინის.
– კიდევ ვნახოთ რა, მასწ, – მეუბნება თამთას ტყუპისცალი ალეკო. ალეკო 16 წლის იქნება. მკვრივი, შეკრული და ძალიან მოძრავი ბიჭია. ერთხელ ნახირში წავიდა და შემთხვევით რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდა. ატარეს, ატარეს და მალევე დააბრუნეს უსასყიდლოდ. მასწ, – მეუბნება გულწრფელად, ირონიის გარეშე.
ანთებულები არიან ბავშვები. მიხარია.

– ეგეე, იქ. თეთრ კარავს ხედავ? მანქანების საბურავებით აწყობილ სამალავში დგას ფორმიანი ბიჭი.
– ეგ უკვე იმათი ტერიტორიაა. იარაღიან ბიჭებს საუბარი ეკრძალებათ. თვალებში ვუყურებ. ეღიმება და იმორცხვებს. ბავშვები ერთმანეთს დასდევენ და ფოთლებს აყრიან. წყალს ვავსებთ. ისევ სკოლაში ვბრუნდებით.

დევნილების დასახლებაში ჩავდივართ, რომ იქაურებსაც გავაგებინოთ კინოჩვენებების ამბავი. ძირითადად, ცხინვალის სოფლებიდან – ქსუისიდან და თამარაშენიდან არიან წამოსულები. მეექვსეკლასელი ჯონი ყველას თავის ტრაქტორივით მოთახთახე პატარა „პიკაპზე“ გვსვამს და კოტეჯებს შორის გვატარებს. მარიამის თმაში, ნინიკოს თვალებში, ყვავილებში ღობეების გასწვრივ, ხეებში, სიმინდის ყანებში, ფოტოაპარატის ობიექტივში შემოდის მზე საღამოს, 7-ის ნახევარზე.

〰〰〰〰〰〰〰〰

ბავშვებმა გადაწყვიტეს, რომ თამთა ყველაზე საინტერესო პერსონაჟი იქნება ფილმისთვის. დახასიათებები დაწერეს და ფოტოკამერას ცოტათი გაუშინაურდნენ.
„როდესაც თამთა ძალიან პატარა იყო, ღუმელში ბენზინი შეასხა. გაჩნდა ცეცხლი. თამთას მთელი სახე დაწვა. 18 წლის რომ გახდება, სახის ოპერაცია უნდა გაიკეთოს. სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო აკადემიაში ჩააბარებს და ქვეყანას ემსახურება. თამთა ბევრ ბიჭზე კარგად თამაშობს ფეხბურთს. ძალიან უნდა ჭიდაობაზე შესვლა. სახლის საქმეები ეზარება. ცოტა შარიანია. უყვარს ვაშლი და შავი შოკოლადი. ძილის წინ უსმენს მძიმე როკს...“
თამთა უბღვერს პოლიციის მანქანებიდან გადმოკიდებულ სამხედროებს. თავის მოვალეობად მიაჩნია, დამიცვას მათი მზერისგან. ყოველ დილას, სკოლაში წასვლის წინ ერთსადაიმავე ადგილას ვიკრიბებით. ბავშვები თვალის დახამხამებაში მიიტაცებენ ჩემს ჩანთებს და ჯიუტად მიყურებენ. უფლებას ვკარგავ, რამე ვატარო.

〰〰〰〰〰〰〰〰

ბევრად მეტი ყოფილა ადრე. სოფელში არ უკვირთ. მე ვოგნდები. ასეთი ჯანსაღი ხეების რიგი, დიდი ხანია, აღარ მინახავს. ქარის შეუმჩნეველ მოძრაობას სხვათა შორის აფიქსირებს ვერხვის კიდურა ფოთოლი.
– აქ წყალი იყო. ვბანაობდით ხოლმე. ვდგავართ აუზის კიდესთან და ბაყაყებს ვაკვირდებით.
– გველი! დაინახეთ? ყვირის სანდრო. კამერას ვიმარჯვებ. ველოდებით, მაგრამ აღარ გამოდის სამალავიდან. აქვე მიტოვებული შენობაა. კარს ვაჯანჯღარებთ. მერცხლები შედიან და გამოდიან. ჩვენ შევნატრით.

〰〰〰〰〰〰〰〰

ვხედავ, გოგონები თამთას უთვალთვალებენ. ცდილობენ, განმარტოების დროს გამოიჭირონ. ნინიკო კამერას მართმევს და ჩურჩულებს: „კლასშია, მუსიკა აქვს ჩართული და სკამებზე იძინებს.“
ნახეს მიშა კობახიძის „მუსიკოსები“. სასაცილოდ ღიღინებენ კარმენის სუიტას.
აიტაცეს მიშა მდინარაძის კომპოზიცია ნანა ჯანელიძის ფილმისთვის – „ნეტავ, იქ, თეატრი არის?!“.
აიკვიატეს ირაკლი ჩარკვიანის „გადმოვცურავ ზღვას“, რომელიც განსაკუთრებით შთამბეჭდავად გაისმა ზაზა ურუშაძის „მანდარინების“ ფინალის და ვარსკვლავებით უხვად გადაჭედილი მუქი ლურჯი ცის ფონზე. მთელი სოფელი დაესწრო ღია ჩვენებას. ეკრანი – სიგარეტის მოძველებული საბილბორდე რეკლამის უკანა მხარე – თეთრი ბრეზენტი უმასპინძლო სახლის აივანზე გადაკიდეს ბიჭებმა.

ერთ საათზე მეტ ხანს ველოდებით. პატარებმა სირბილი და წუწაობა დაიწყეს.
– მასწ, მე მგონი, მოვიდა – მოცუცქნულ თითს იშვერს ლიზიკო. გიორგის პოლიციის ესკორტით აცილებენ სკოლაში. თვალებით იცინის. სანამ ბავშვები „გაღმა ნაპირს“ უყურებენ, სიცხით დაქანცული პოლიციელები სკოლის ეზოს მწვანედ შეღებილ სკამზე სხედან და უხერხულად ატრიალებენ ავტომატებს. ორი კაცი. დისკუსია მხიარული და საინტერესო გამოვიდა.
– თქვენი ყველაზე აზრიანი ფილმი რომელია? – კითხულობს სანდრო.
– მე საერთოდ არ მგონია, რომ ჩემი ფილმები აზრიანია, – წარბშეუხრელად პასუხობს გიორგი.
ბავშვები იცინიან და სანდროს აშაყირებენ.

– ძალიან მოგვენატრე... კაკლის ძირში... კი, ყველანი აქ ვართ... შენ რომ თმის სამაგრი დაგრჩა, თამთა ხელიდან არ იხსნის...ჰა? ალეკო ყვირის რაღაცას... ბიჭები აღარ გამოდიან... რა ვიცი, მთელი დღეები რაღაცას უყურებენ კომპიუტერში... გელამ მოგიკითხა... ვარსკვლავები? კი, აი, მაგიდაზე ვწევართ და ვუყურებთ...
მეც გრძელ სკამზე ვწევარ. რუსთაველზე. პარკში. ამ პოზაში არალეგიტიმურია იმავე ცის ყურება, რომელსაც „ჩემი ბავშვები“ ხურვალეთში აკვირდებიან. ისეთი ნოსტალგიურები არიან, ვთხოვ, მეც არ გამიმძაფრონ სენტიმენტები.
– შეხედეთ... აქვე ხართ... იმავე მთვარის ქვეშ... რა გაცინებთ?... ერთი ფილმია ცაზე... ვარწმუნებ. კისკისებენ. ტელეფონს ვთიშავ. დაცვის ბიჭმა ჩამიარა და სანამ რამეს მეტყოდა, წამოვჯექი.
თბილისი არის შორს. თბილისი არის შორს. თბილისი არის შორს.

1001 რეცეპტი კინოზე ნანა ჯორჯაძისგან

პატარა ოთახი სხვენში, თვითმ-ფრინავებით – ქაღალდის, მუყაოსი, ხის, ლითონის, დაკიდული ჭე-რიდან, მიკრული და მიხატული კედლებზე... კინორეჟისორს, ნანა ჯორჯაძეს ბავშობიდან უნდოდა მფრინავი გამოსულიყო. მეშვიდე კლასიდან რეჟისორობა გადაწყვიტა, მაგრამ შემოქმედების ძიება ღრმა ბავშობიდან იწყება, მით უფრო, თუ ეს ბავშობა ისეთი ჯადოსნური და ფანტასმაგორიულია, როგორსაც რეჟისორი ჰყვება.

ბედნიერი და თავისუფალი ბავშვობა – „სულ ვხტუნაობდი მაღალი სიმაღლიდან. მერე მივხვდი, ჩამოხტომა კი არ მინდოდა, იმ პროცესის განცდა მომწონდა, სანამ ჰაერში ვიყავი. საოცარი ბავშვობა მქონდა, უბრალოდ არაფერი ხდებოდა ჩვენს ოჯახში, ყველაფერი მაგიით იყო შემოსილი, ჯადოსნური იყო. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი ცხოვრება გავიარე, ჩემი ფილმები ბავშვობიდან იღებენ საზრდოს.

რეჟისორის პირველი პროფესია არქიტექტურაა. შემდეგ სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტობა თეატრალურ უნივერსიტეტში და პირველივე კურსიდან დაწყებული პრაქტიკა.

პრაქტიკა – „კინო მარტო თეორია არ არის, კინო პრაქტიკაა. ჩვენ ამ პრაქტიკას გავდიოდით დიდ ხელოვანებთან ერთად. სცენარის დაწერიდან ფილმის გამოშვებამდე პროცესებში ვიყავით ჩართულები. გარდა ამისა, ყოველ წელს თავად ვიღებდით სტუდენტურ ნამუშევრებს და სწავლის დამთავრების შემდეგ, მეტ-ნაკლებად გვესმოდა კინოგადაღების წვრილმანი თუ მსხვილმანი დეტალები.“ სტუდენტობა, ეკრანის წინ დაღამებული დღეები და დათენე-ბული ღამეები რეჟისორის ფანტაზიის, შემეცნების განუყოფელი ნაწილია.

ბევრი ფილმის ნახვა – „დიდი ოსტატების ფილმებიდან ბევრს სწავლობ. კინო ენის მრავალფეროვნებას, სიუჟეტის მოყოლის ხერხებს, მონტაჟის მნიშვნელობას. ეს გაძლევს საშუალებას შენი ხედვა, ენა და სტილი, შენი ადგილი იპოვო კინოხელოვნებაში.“ რეჟისორის აზრით, სხვა ყველაფერთან ერთად მნიშვნელოვანი კომპონენტია შემოქმედის სინდისი.

შემოქმედის სინდისი და ღირსება. „რაც უფრო „ნიჭიერ პროდუქტს“ ქმნის შემოქმედი, მით უფრო მნიშვნელოვანია მისი კეთილსინდისიერება, პროფესიონალური დამოკიდებულება საქმისადმი. ეს ისწავლება ოჯახში, სკოლაში, უნივერსიტეტში, ადამიანებთან ურთიერთობისას. ნიჭიერი შემომქმედი, რომლისთვისაც კეთილშობილება, ღირსება, სინდისი აბსტრაქტული მიზნებია – უფრო საშიშია, ვიდრე უნიჭო, აშკარა ნაძირალა. საჭიროა ყოველმხრივი განათლება, წიგნების კითხვა, მოგზაურობა, საინტერესო, ადამიანების გარემოცვაში ყოფნა, გარემოს შეცნობა, უამრავი ისტორიის შეგროვება, ყველაფრის ჩაწერა.

უნდა გახდე მოგზაური – „მსოფლიო კულტურას შეგიძლია სახლშიც გაეცნო, თუმცა თუ მოგზაურობის შესაძლებლობა არსებობს, უნდა იმოგზაურო. მე ბევრს ვმოგზაურობდი ფეხით, ავტოსტოპით, ველოსიპედით, მოტოციკლით, მაშინაც, როდესაც საბჭოთა კავშირიდან გასვლის უფლება არ მქონდა. ფეხით მაქვს შემოვლილი საქართველო, საბჭოთა კავშირი და როცა გზა გამეხსნა, მთელი მსოფლიო. ყოველთვის მინდო- და ყველაფერი ჩემი თვალით მენახა.“

მოგზაურობა უცხო ადამიანების გაცნობისა და უამრავი ისტორიისა და ამბის მოსმენის შესაძლებლობაა; იქცე კარგ მსმენელად – ესეც ხელოვნებაა.

მოაგროვე ისტორიები – „კომფორტი მალე მწყინდება; როდესაც კომფორტულად მოგზაურობ, ძალიან ცოტა რამ ხდება შენს გარშემო, დაზღვეული ხარ მოულოდნელი სიტუაციებისგან, ჩემთვის კი მთავარია ახალი ემოცია, თავგადასავალი, ისტორიები, უცნობი ადამიანები, ორიგინალური აზროვნება.“

რეჟისორს სამყაროზე დაკვირვება უნდა შეეძლოს, იმ დეტალების დამახსოვრება, რომელიც სხვისთვის შეუმჩნეველი რჩება. პატარა ნიუანსებიდან საერთო სურათის შექმნა და სხვისთვის გაზიარება უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ამ დროს იბადება მთავარი...

შეამჩნიე დეტალები – „შესაძლოა, დეტალი ფილმთან საერთოდ არ იყოს კავშირში, მაგრამ მაინც მიმიყვანოს ფილმამდე, ვინაიდან დაბადა აზრი, ემოცია, აამუშავა ფანტაზია. ასე მოხდა „რობინზონიადას“ შემთხვევაშიც – როდესაც ჰორიზონტზე დავინახე სილუეტი, როგორ მიყვებოდა ძროხას ხანშიშესული ქალი და მის კუდზე ეჭირა ხელი. ძროხას ბრმა ქალი მიჰყავდა სახლში. ფილმთან ამ კადრს არავითარი კავშირი არ აქვს, მაგრამ ამ ნახატმა მე მომცა ფილმი.“

დროთა განმავლობაში ყველაფერი მეხსიერებაში ილექება და საჭირო მომენტში ხელოვანის შემოქმედებას მრავალფეროვან თვალსაწიერს სთავაზობს. მონტაჟი გონებაში და მონტაჟი სამონტაჟო მაგიდასთან – ის

პროცესია, სადაც რეჟისორს დროისა და სივრცის, მოვლენების საკუთარი ფანტაზიებით გადაადგილება, მართვა შეუძლია .

დაამონტაჟე – „კინო სამონტაჟო მაგიდასთან იბადება. ეს ის პროფესიაა, სადაც მარტო ინტუიცია ვერ გიშველის. ძალიან ბევრი ფილმი, საინტერესო ხედვა და კარგი მსახიობი, ცუდი მონტაჟის გამო, დაკარგულა. კარგი რეჟისორი მონტაჟის პრინციპებში აუცილებლად უნდა ერკვეოდეს, კარგად უნდა ფლობდეს მის სპეციფიკას და, რაც მთავარია, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მონტაჟის როლი და მნიშვნელობა.“

ნანა ჯორჯაძის აზრით, კინოს შექმნასთან დაკავშირებული ყველა პროცესი რეჟისორმა კარგად უნდა იცოდეს, შემოქმედებითი გუნდის წევრებთან მათ ენაზე საუბარი უნდა შეეძლოს.

იყავი ჩართული ყველა პროცესში, გყავდეს გუნდი – „საჭიროა თუ არა ამა თუ იმ ეპიზოდში მუსიკა? ხანდახან სიჩუმე ხომ ყველაზე ძლიერი მუსიკაა... მუსიკის დრამატურგიას კომპოზიტორთან და ხმის ოპერატორთან ერთად სწორედ რეჟისორი განსაზღვრავს. ჩართული ვარ სცენარის შექმნის პროცესში, მუსიკაში, დეკორაციაში, გადაღებაში და მონტაჟში; ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი გუნდი, ვისთანაც კომფორტულად შევძლებ მუშაობას.“

კინოს გადასაღებად საჭიროა მთავრობის ხელშეწყობა და დაფინანსება. ეს განაპირობებს ხარისხს და წარმატების მოპოვების შანსების ზრდას.

დაფინანსება – „კინო ძვირი სიამოვნებაა. დაფინანსების საკითხებში არასდროს ვერევი, ეს პროდუსერის პროფესიაა. თუმცა, დაფინანსებამდე ფილმს დიდი გზა აქვს გასავლელი – კარგი სცენარი, რეჟისორი, ოპერატორი, მსახიობების საინტერესო ანსამბლი. სწორი დაფინანსების გარეშე ფილმის გადაღება შეუძლებელია, ეს ლექსი არ არის, რომელსაც მარტო ნიჭი, ქაღალდი და ფანქარი სჭირდება დასაფიქსირებლად, გადამღები ჯგუფი კი დაახლოებით 60 ადამიანისგან შედგება.“

ნანა ჯორჯაძე კინოისტორიის მოყოლას ჩანაწერებით იწყებს: რა სურს, რომ ფილმით მოჰყვეს? რა აღაფრთოვანებს? რამ იმოქმედა მასზე? სწორედ ასეთი ჩანახატებით იწყება მისი ნებისმიერი ფილმის დაბადება. როდესაც ისტორია იკვეთება, იწყება წერა. გადასაღებ მოედანზე გასული კი ყველაფერს ივიწყებს – რაც უწერია, რა მონახაზიც გაუკეთებია და მთავარს – კინოტალღას მიჰყვება. მისი ფილმები კამერის მიღმა მაშინ იბადება, როცა კამერა უკვე ჩართულია.

იმპროვიზაცია – „გადასაღებ მოედანზე ჩემთვის მთავარია იმპროვიზაციის საშუალება. სცენარიდან და ჩანახატებიდან მრჩება მხოლოდ უხეში სტრუქტურა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ჩემი მოთხოვნით, მსახიობები წინასწარ სცენარს არ კითხულობენ, ამით თავს ვიზღვევ მათ მიერ წინასწარ ჩამოყალიბებული წარმოსახვებისგან. მე წუთიერი და წამიერი რეაქცია მჭირდება, სწორედ ამიტომ, სცენებს გადაღების წინ, საგრიმიოროში ეცნობიან. ეს ცოცხალი პროცესია, ეს არის ნამდვილი იმპროვიზაცია; ცხოვრებაც ასეთი მაქვს, წინასწარ არასდროს ვგეგმავ.“

კინორეცეპტების ნუსხა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს... 1001 წვრილმანითა და რეკვიზიტით სავსე ჩემოდნები, რომლებსაც რეჟისორი წლებია გადაღებებისთვის აგროვებს, კიდევ ბევრ საინტერესო ისტორიას ინახავს...

[მაკა კევლიშვილი]